


ლიტერატურული გზეუტი

№89 28 დეკემბერი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



საინტერესო ვიზიტი

მოზრძანდა რუსთაველის პრემიების კომიტეტში ბატონი დევი სტურუა, საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილი მდივანი იდეოლოგიის დარგში, და მე და მურმანს საჩუქრად მოგვართვა თავისი წიგნები. მისი კეთილი განწყობის საბუთად, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ნაჩუქარ წიგნებზე გაკეთებული წარწერები:

„ბრწყინვალე პოეტსა და განსაკუთრებული პიროვნული ხიბლით დაჯილდოებულ ადამიანს — ბატონ ტარიელს — დიდი სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით.

თქვენი — დევი 5. VI. 2000 თბილისი“

„ჩემო ძვირფასო ტარიელ ბატონო! ღმერთმა უხვად მოგამაძღა მაღალი ნიჭიერება, სადღეღამისო შემართება, სიყვარულისა და რაინდობის დაუოკებელი წყურვილი. სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით —

თქვენი დევი სტურუა 28. X. 1998“

მესამე — რუსულ წიგნზე გაკეთებული წარწერის მოტანის, უბრალოდ, მრცხვენი — მეტისმეტად ჰიპერბოლური შეფასების გამო!

დაახლოებით ამგვარი წარწერებით აჩუქა ბატონმა დევიმ წიგნები მურმან ლებანიძეს.

მოკლედ, დიდი რთული გამოსაცნობი არ იყო ის, რომ ჩვენთან სტუმრად მოზრძანდა მონანიე ცეკას მდივანი, რომელსაც თავისი ცხოვრების გასაგრძელებლად სულ სხვა გზა ჰქონდა არჩეული. მურმანმა და მეც ჩვენს საუბარს საინტერესო სტუმართან მსუბუქი პოლემიკის სახე მივეცით. კერძოდ, გავახსენეთ მას ერთი მწვევე პუბლიკაცია მისი.

ძველებს, დარწმუნებული ვარ, ახსოვთ დევი სტურუას წერილი გაზეთ „კომუნისტი-ში“ სამოციანი წლების დასაწყისში — მონანიევი სამოციანელი მწერლებისა და პოეტების დატუქსავა და ლამის განკარგულების მიცემა პრესისთვის, ფრთხილად ყოფილიყვნენ ამ ექვსმეტანილ ავტორთა მიმართ! გურამ რჩეულიშვილი და კომპანია — მოკლედ, ასეც შეიძლება დაერქვას დევი სტურუას მიერ „გამეტებულ“ მწერალთა ჯგუფს! აი, ეს წერილები გავახსენეთ ბატონ დევის მურმანმა და მე! რას გვერჩოდო, რა გინდოდა ჩვენგანო, დაახლოებით ასეთი იყო ჩვენი ნახევარი საუკუნით დაგვიანებული პრეტენზია მონანიე სტურის მიმართ!

სხვათა შორის, დაიწყო დევიმ თავის მართლება — მე მაშინაც და მერეც, მოგვიანებითაც, მყავდა სანდო და საიმედო კონსულტანტი და მრჩეველი — თქვენი ახლობელი, თქვენი თანამოაზრე, თქვენი მეგობარი! მას ხომ არ შეეშლებოდა, ვინ რას წარმოადგენდა ან დღეს რას წარმოადგენდა! თქვენი თაობის კაცი, თქვენი თანამოაზრე, თქვენი მეგობარი, თქვენი ესთეტიკისა და გემოვნების ადამიანი გახლდათ ჩემი მრჩეველი და კონსულტანტი, და არა ვინმე შემთხვევითი და არასანდო პერსონა! იგი ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა, ჩემს მეზობლად, ხშირად შემოვივლიდა ხოლმე ჩემთან და, თუ მე რაიმე მეექვსეობდა, სწორედ ის მაყენებდა სწორ გზაზე, მისგან ვიღებდი საჭირო ლიტერატურულ ინფორმაციასო!

მე და მურმანმა ერთხანს ერთმანეთს ვუცქირეთ და მერე სიცილი წაგვსკდა, რამაც ჩვენი სტუმარიც გაახალისა. მოკლედ, ბატონმა დევიმ თავი საბუთიანად იმართლა!

მურმანი აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ ჩვენთან ერთად ამ საუბრებს ისმენდა სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ბუღალტერი და მდივანიც, სხვათა შორის — ნაზი გოგიაშვილი, რომელსაც, რამდენადაც ვიცო, შესანიშნავი მესხიერება აქვს (ეს მისმა „დაკითხვამაც“ დაადასტურა...).

პოლიბლოტი ლეკის ავტორი

ზაურ ბოლქვაძის ერთი პატარა ლექსი მოვგაგონო უნდა მკითხველს — ქართული პოეზიის შედევრი ნამდვილი — ჯერ უღიარებელი, სხვათა შორის! საერთოდ, პოეზიის — ნამდვილი პოეზიის — თვისება ისაა, რომ რომელ ენაზეც გინდა, იმ ენაზე ისაუბრებს! გადამფრენი ფრინველების მსგავსად, არის გადამფრენი პოეზიაც — იგი იოლად მიდი-მოდის ქვეყნებსა, ხალხებსა და ენებს შორის! როცა ამ თემაზე —

პოეზიისა და ლექსის თემაზე საუბრობ კაცი, პირველი, რაც გახსენდება, ისაა, რომ ეს თემა მეტისმეტადაა მიჩუმებული ჩვენში. ეს უპირველეს ყოვლისა, მელექსეების დამსახურებაა! მათ არ სურთ იმის აღიარება, რომ ლექსი ყოველთვის არ უდრის პოეზიას, რომ ლექსი მხოლოდ ჭურჭელია პოეზიის, ან შეიძლება ითქვას — მხოლოდ სამოსია მისი, და, ბოლოს და ბოლოს, პოეზია — ნამდვილი პოეზია — ამ ჭურჭლის თუ ამ სამოსელის უქონელიც იოლად გავა ფონს, ესე იგი, ნავა უცხო ქვეყნებში, და სულ იოლად გააცნობს მათ თავს! აი, ერთი ასეთი გადამფრენი ლექსია ზაურ ბოლქვაძის ის პატარა ლექსიც, რომელსაც ახლა გავახსენებ მკითხველს: მე პოეტი ვარ — მინა ვარ, ცა ვარ, მე პოეტი ვარ — სივრცე ვარ, დრო ვარ!



მომენტებზე სიკვდილი — ნავალ! მომენტებზე სიცოცხლე — მოვალ! რაც ზემოთ მოგახსენეთ, ის ყველაფერი ვთქვი და დავწერე არა ზაურის გამო, არამედ მისი საამაყო შვილის — ელისო ბოლქვაძის გამო! ზაური აღარაა, და მის მაგიერ მე ვიფიქრე მისი ლექსის რიმეიქზე, რომლის „ლირიკული გმირიც“ ჩვენი საამაყო პიანისტი ელისო ბოლქვაძეა: მე მუსიკა ვარ — მინა ვარ, ცა ვარ, მე მუსიკა ვარ — სივრცე ვარ, დრო ვარ! მომენტებზე პარიზი — ნავალ, მომენტებზე თბილისი — მოვალ!

თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ „ნაკადულმა“ წიგნი გამოსცა — „ბრძნული აზრების სამყაროში“. რედაქტორი მე გახლდით. წიგნში შეტანილია გენიალური, ნახევრადგენიალური და, უბრალოდ, ნიჭიერი ადამიანების მარტივებით, ბრძნული გამონათქვამებით, აფორიზმებით! თვე თუ თვენახევარი, ამ წიგნის რედაქტირებას რომ დასჭირდა, ჩემთვის იყო საოცარი სიამოვნება, ამასთან ისიც ვთქვა უნდა, რომ ამ წიგნის კითხვისა და გადაკითხვისას ერთხელ არ გამლიძობია! აი, სისულელებზე კი მეცივნეა. ბევრი ვიცინე გაზეთ „ქრონიკის“ კორესპონდენტის, ვინმე ზენდელაშვილის სისულელებზე! ვიცინე დოიაშვილის, ჭუმბურიძის, მრელაშვილის და სხვათა პასკვილებზე! ვუპასუხო? ვის ვუპასუხო! რა ვუთხრა! გაავებინებ რამეს? მეტი არაა ჩემი მტერი!

და როცა მიშა ქვლივიძე — ნალდი პოეტი, ნიჭიერი მხატვარი, ჭეშმარიტი ინტელექტუალი და ათას ქართველში გავლილი კაცი მიწერს — „ცოდვია ამის დამწერი, შენ დაიფარე, ღმერთო“, — ესაა ნამდვილი გამოსარჩლება — მხოლოდ ღმერთი თუ გააჩენს დღეს ჩვენს კულტურაში ნამდვილ სამართალს, სხვანაირად არაფერი გამოვა — შენ გაზრდი ზენდელაშვილს? შენ დააბრუნებ ამ ტანჯულ ქვეყანაში მორალსა და ლოგიკას?

ამაზე და ასე ფიქრისას გაჩნდა ჩემს თავში საინტერესო პროექტი: დავებჭდო ერთად, გვერდიგვერდ, ყოველივე საუკეთესო იქედან, რაც დაუნერიათ ჩემზე როგორც ჩემს კეთილისმყოფელებს, ისე ჩემს ავადმახსენებელ პასკვილანტებს! ეს საინტერესო იქნება — რამდენადაც ვიცო, ამგვარი „პარალელური შეხედულებები“ თუ ქება ქებათა ერთი მხრივ და ლანძღვა ლანძღვათა მეორე მხრივ, არ უნდა გამოვიდეს ცუდი წიგნი! ამ ორსახოვან პროექტს, თუ იგი სასურველ დონეზე

შეიქმნება და გამოიცემა, მკითხველი ნამდვილად ეყოლება!

აი, ეს პროექტი შთამაგონა მიხეილ ქვლივიძის ლექსმა, მოძღვნილმა ჩემდამი, რომელსაც უჯრების დალაგებისას გადავეყარე, და რომელმაც გამიჩინა სინანულის და ერთგვარად სირცხვილის გრძობაც, რომ მიშას სიცოცხლეში ვერაფერი მოვიფიქრე ისეთი, მაღლიერების გრძობის გამოხატვას დამგვანებოდა.

მინდა, მკითხველს მოვგაგონო ის ლექსი, რომლის ავტორიც ნამდვილად დააკლდა ქალაქს — როგორც თბილისს, ისე, ალბათ, მოსკოვსაც...

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ პროექტს, მას ნამდვილად აღარ გადავებ — უკვე 80 წლისა შევესრულდი და, რომ იტყვიან, მოსწრებაზე ვარ...

გთავაზობთ ბატონი მიხეილ ქვლივიძის ხსენებულ ლექსს:

„მწერლის ნითელი წიგნი“ ტარიელ ჭანტურისა წიგნის რეცენზიის მაგიერ

ყდა მომეწონა, გავშალე და ჩავიხედე შიგნით: ეს მართლა კარგი წიგნია — „მწერლის ნითელი წიგნი“. მხიარულიც და მწუხარეც, წუთით რომ არ მოგანყენს და მრავალ მტანჯველ კითხვაზე უტყუარ პასუხს გაგცემს.

ეს უცნაური წიგნია — ონაგრული და ბრძნული, მასში ფართხალებს ჯამბაზის არიტმიული გული, ისმის მათრახის ტკაცუნა, ყფა, ჩხავილი, ღრენა, მაყურებლების ტაში და გააფთრებული სტვენა.

ამ წიგნში ყველაფერია, მონყენილობის გარდა, აქ სინამდვილე ზღაპარს ჰგავს და მოგონილი მართალს, ეს წიგნი თითქოს ლიფტია, შიგ ჩაკეტილი კაცით, რომელიც უხმოდ ბოლთას სცემს — გულმონყალე და მკაცრი.

მან იცის: ყველა სიკეთე, ახალია თუ ძველი, ბოროტებასთან შეხლილი, თავის მოსარჩლეს ელის. ეს უქიმაგო წიგნია, შეუპოვარი ერთობ, ცოდვია მისი დამწერი, შენ დაიფარე, ღმერთო!

— ყვა... ყვა... ყვა...

ყვავები, რომლებიც ტიუტჩევის ლექსში აფრინდნენ, ეტყობა, საქართველოში ჩამოფრინდნენ და ჩვენი პოეტების ლექსებში დაფრინდნენ!

პარალელების მოტანისაგან ამჯერად თავს შევიკავებ! თქვენ თვითონ გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ ტიუტჩევი! არ ინანებთ! კარგ პოეტთან შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნოა, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ პოეზიის მოყვარული ბრძანდებით!

აი, ახლაც, ისევ აფრინდნენ მშობლიური ნახნავებიდან ტიუტჩევის ყვავები!

ქსენოფონია, ქსენოფილია და კომპანია

2011 წლის 31 სექტემბერს „მაესტროზე“ კიდევ ერთხელ გაიმართა საუბარი რობიკო სტურუას თემაზე. ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა! ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბრწყინვალე იურისტის, და ამავდროს უდიდესი გამოცდილების მქონე მოღვაწის, მინდია უგრეხელიძის საუბარმა. ბევრი ძალზე საინტერესო და ჭკვიანური რამ ბრძანა ბატონმა მინდიამ, მაგრამ მე ვიტყვი ორ სიტყვას იმაზე, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო ჩემზე, არამედ, ვფიქრობ, იმ საუბრების თანამონაწილეებზეც.

მოკლედ, ასე: რობიკო სტურუას დასწამეს ქსენოფობობა და ამ მიზეზით იგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტიდან გაათავისუფლეს. მინდია უგრეხელიძემ, გამოცდილმა იურისტმა, ამჯერად ადვოკატობა იკისრა და რობიკო სტურუას დასაცავად მიმართა ყველაზე ეფექტურ ხერხს — მან ისაუბრა ერთი მხრივ ქსენოფობიაზე და, მეორე მხრივ — ქსენოფილიაზე!

ჩემი სათქმელი რომ უკეთ გამოვთქვა, ჯერ ამ სიტყვების — ქსენოფობიისა და ქსენოფილიის განმარტებებს მოგახსენებთ:

ქსენოფობია — უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი.

ქსენოფილია — უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიყვარული.

ახლა ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მართლა და მართლა, რომელია რობიკო სტურუა — ქსენოფობი? თუ ქსენოფილი!

ამდენ ქვეყანაში რომ დადგა სპექტაკლები, ამდენ ქვეყანაში რომ ჩაიჩანა თავისი ბრწყინვალე დადგმები და ამდენ ქვეყანას რომ მოაწონა და შეაყვარა თავი, ამ ქვეყნებს — უდიდესი კულტურისა და ინტელექტის ქვეყნებს მიზანთრობი და ქსენოფობი მოეწონათ და შეუყვარდათ? ისინი — ეს გამოცდილი ხალხები — ვერაფერს მიხვდნენ? ნაცისტში ნაცისტი ვერ გამოიცნეს?

ესე იგი, თუ რაიმე იარლიყის მიკერება გინდა მაინცა და მაინც რობიკო სტურუასთვის, მას ნორმალურმა, გონიერმა ადამიანმა უნდა ქსენოფილის იარლიყი მიაკეროს, ეს კი ის ცოდვა არაა, ამისთვის უმაღლესი პროფესიონალი სამსახურიდან მოხსნა, რატომ კარგი დაგიდგამს და კარგად გიკეთებია დიდი საქმეებიო!

აი, ამნაირი ადვოკატები — მინდია უგრეხელიძისნაირი ადვოკატები სჭირდება არა მარტო საქართველოს, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობის აფერისტები, იმპერიალისტები, კოლონიალისტები და ფაშისტები ათას ცრუ ბრალდებას უყენებენ! და ამ დროს ჩვენც მტრის ნისკვილზე უნდა ვასხათ წყალი, სისხლი და ცრემლი?

ათასი საინტერესო რამ მოხდა დღეს, მაგრამ ჩემი მთავარი შთაბეჭდილება დღევანდელი — მაინც მინდია უგრეხელიძეა!

მე რომ ხელისუფალი ვიყო, ასეთ კაცს გვერდიდან არ მოვიშორებდი!

ამას რომ ვწერ, მკითხველს შეიძლება დიდი ძმაკაცები ვეგონოთ მე და ბატონი მინდია, არადა შორი, ძალიან შორი გამარჯობით ვიცნობთ ერთმანეთს! თქვით კიდევ ერთი ბოდიში, რა ქვეყანა დაიქცევა ამით! ხომ მოვიბოდიშეთ ამასწინათ, ჯერ რომ გავაუქმეთ რუსთაველის პრემია და მერე რომ აღვადგინეთ — მოვიქცეთ სწორად! რად უნდა ამას ამდენი დავა, სირცხვილი არაა?

პოლ ვალერი...

ხელისუფლება, მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს, ბრძანა პოლ ვალერიომ!

საქართველოს ხელისუფლებამ გადამწყობა, ახალი, გაუგონარი არგუმენტებით დაედასტურებინა პოლ ვალერიის მაქსიმის ჭეშმარიტება! ის, რაც საქართველოში მოხდა და ხდება, ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე ნამდვილად ცივილურ, ნამდვილად კულტურულ, ნამდვილად ადამიანურ ქვეყანაში!

ეტყობა, უნდა გადადგეს... ქართველი ხალხი...

გონაშვილი ყველაზე კარგად მღეროდა ქართულად!

გუნაშვილი ყველაზე კარგად ცეკვავდა ქართულს!

ყველაფრიდან ჩანს, ერთი გვარისანი არიან!

დასასრული მე-6 გვერდზე

დრო და თინა

გინეკოლოგიური კაბინეტის საპროცედურო განყოფილება. ნახევრად გახდილი ქალი დგას და კარისკენ იხედება.

— სად არის? ხუთი წუთის წინ უნდა დაბრუნებულიყო. გავიდა ხუთი წუთი? მითხრა, სანამ საბოლოო პასუხს გეტყვი, კიდევ ერთხელ უნდა გაგსინჯო. რატომ ვაჩუქე ის საათი ევას? საათიანად დაიკარგა და სულ მცირე იმედიც კი არ მაქვს, რომ დაკარგულ დროს ოდესმე დავიბრუნებ. ეს კაცი კიდევ მეკითხება, სქესობრივი აქტის დროს მცირეოდენ ტკივილს ან აქტის შემდეგ წვას თუ გრძნობო. რა უნდა ვუპასუხო? არა, ევა ერთადერთი ქალი არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, ვისთან ერთადაც გულისწასვლამდე ვიცინოდი. ჰო, ადრე ბევრს ვიცინოდი. საკმარისი იყო, გამვლელის პალტოზე შერჩენილი იარაღი ან რამე ასეთი დამენახა, მაშინვე სიცილი მიტყდებოდა ხოლმე. ამ დღით კი ისე გავბრაზდი მეტროში იმ წვეილზე, ერთმანეთს ხელიდან რომ სტაცებდნენ მოკლადის ბატონს და რიგ-რიგობით კბეჩდნენ. მგონი, ინდოელები იყვნენ. გოგოს წარბებს შორის ნითელი ლაქა ჰქონდა. ჩემ გვერდით ისხდნენ და მთელ ვაგონში მხოლოდ ისინი ხმაურობდნენ. ხელებზე დავაკვირდი და... ახლა რაღაც ისეთი უნდა ვთქვა... ვიცი, რომ ბუნებრივად მუქი ფერის კანი აქვთ, მაგრამ ეს ხელები დიდი ხნის დაუბანელ, ჭუჭყით გაშავებულ ხელებს ჰგავდა. გული გამისკდა: ნუთუ ყველაფერთან ერთად რასისტიც ვარ? ან იქნებ ესეც ევას ბრალია, რომელმაც ყველა დადებითი ემოცია თან გაიყვანა და ურჩხულის პირისპირ დამტოვა? მას ჩემი სახე აქვს, ჩემი თვალები, ჩემი პირი და ის ძალიან მოწყენილი ურჩხულია. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა. ან საერთოდ თუ გავიდა დრო. როგორც მითხრეს, „კასაბლანკას“ რიმიკში იღებენ. არადა, პირველად მე ვუთხარი, რაღაცით ინგრიდ ბერგმანს ჰგავხარ-მეთქი. მაშინ დამწყები მსახიობი იყო და ყველა კომპლემენტი უხაროდა. ერთ საღამოს თმა ისე დავეკარცხე, როგორც ინგრიდ ბერგმანს აქვს „კასაბლანკაში“ და დედამისის საღამოს კაბაც ჩავაცვი. ჰო, კაბა ისეთი არ იყო, სხვანაირი იყო და მერე ისევე მე გავხადე... იტირებს, როცა ჩემი სიკვდილის ამბავს გაიგებს? ჩამოვა დაკრძალვავ? არა, არ ჩამოვა. პოლიგუდში გულს იოლად გადააყოლებს. ერთ დროს აქაც ყველაფერი იყო: გადაღებები, პრემიერები, შეხვედრები, წვეულებები, სიყვარული. დღეს, უბრალოდ, ვკვდები: ჩემს სხეულში ყველაფერი გადაგვარებულია. ყველაფერი დამთავრებულია. რა საჭიროა ამდენი ანალიზი? ამდენი პროცედურა? ნავაღ და ამ კაცთან აღარასდროს მოვაღ.

ქალი ჩაცმას იწყებს.

— სიკვდილს სახლში დაველოდები, სადაც ევას ნაჩუქარი თიხის ქოთანია მაქვს. დრო თიხაში გამოცვალა, გესმით? ეს კიდევ მეკითხება: ჩვეულებრივ დღეებში სისხლიანი გამოწვევა ხომ არ გექვთ? ძუძუებზე რომ ისრესო, სიმკვრივეს ხომ არ გრძნობ? ოჰ, ევა, ევა... უკვე ძალიან გვიანია, უკვე ველარაფერს გამოვასწორებთ. ისე დაჭკნა შენი ნაჩუქარი მცენარე, რომ სახელიც ვერ გავიგე. ქოთნიდან მიწა ამოვიყარე და ახლა შიგ წერილები დევს — შენი, სხვების. არა, ერთადერთი ნამდვილად არ ყოფილხარ. ახლა მარტო ვარ. ყველა გაიქცა ჩემი შავ-თეთრი ფილმიდან და არ ვიცი, მე სად გავექვეცე საკუთარ თავს. პაუზა.

— მორჩა? გადაღებულია?

გაყინული ღღე

ავტობუსის გაჩერება. გრძელ სკამზე უძრავად წევს მანანალა. მას პოლიციელი ქალი უახლოვდება.

ცოტა ხნის შემდეგ გაუბედავად ამბობს:

— გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი საბუთები.

მცირე პაუზა. ოდნავ უფრო ხმამაღლა იმეორებს:

— გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი საბუთები.

ისევ მცირე პაუზა. ქალი ხმას უწევს:

— წარმოადგინეთ თქვენი პირადობის მოწმობა!

ქალი მანანალას მხარზე ხელს ადებს და ცდილობს, გააღვიძოს.



— გძინავთ? რა დროს ძლია! თან ასეთ ყინვაში. ახლავე წამოდექით და საბუთები წარმოადგინეთ. თუ პირადობის მოწმობა არ გაქვთ, პოლიციის განყოფილებაში წამობრძანდით და იქ ყველაფერს გავარკვევთ. თან ცხელ ყავასაც დაგაღვებთ. არ იცით, რომ ავტობუსის გაჩერებაზე ძალი აკრძალულია? დაიხ, კანონით არის აკრძალული! კანონის ძალით გიბრძანებთ: ახლავე გაიღვიძეთ! წარმოადგინეთ, რა მოხდება, ყველა მოქალაქემ რომ იქ დაიძინოს, სადაც მოისურვებს. რას დამგვაცვებოდა ეს ქვეყანა, რომელსაც ასეთი სრულყოფილი კანონები აქვს. თან რა ვიცი, რა გესიზმრებთ ამ ყინვაში... იქნებ ის გარყვნილი ბებერი ხართ, ავტობუსში პატარა გოგოებს გვერდით რომ მოუჯდებოდა და მუხლებზე ბიძაშურ ხელებს უსვამს ხოლმე... არ გეწყინოთ, თქვენზე ხომ ჯერ არაფერი ვიცი.

გარშემო უვლის. აკვირდება.

— მსოფლიოში წესრიგი ვერასდროს დამყარდება, თუ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი ნაბიჯების კონტროლი არ ისწავლა. თქვენ გგონიათ, მსოფლიო წესრიგის არსებობა სხვებზეა დამოკიდებული — ვიღაც უხილავე ადამიანებზე, რომლებიც უხილავე ოფისებში სხედან და მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ? არა, წესრიგი მე და თქვენ უნდა დავამყაროთ, თანაც აქვე და ახლავე. ჩვენი წესრიგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. იცით, არასდროს მჯეროდა, რომ უმალესი დონის შეხვედრებზე პირისპირ დარჩენილი პრეზიდენტები რაღაც მნიშვნელოვანზე საუბრობდნენ. ალბათ თანამშრომლები კარს მიუხურავენ თუ არა, ესენი პერანგებს მოიდგებენ და სკოლის მოსწავლეებივით მაიმუნობენ ხოლმე. რა, მე და თქვენ რომ მათ ადგილას ვიყოთ, სხვანაირად მოვიქცეოდით?

ჩუმდება. თითქოს პასუხს ელოდება.

— აი, ამიტომ ავირჩიე პოლიციელის პროფესია. მიინდა, ირგვლივ წესრიგი თვითონ დავამყარო და დავიცვა — კანონიერების ფარგლებში, რა თქმა უნდა. მიინდა, რომ ყოველ დამით მშვიდად დავიძინო. იცით, რას ამბობს ჩემი ქმარი? მსოფლიო ტერორიზმის საფრთხეს შენი ლოკალური წესრიგით ვერ დაუპირისპირდები. სანამ დეკრეტულ შევებულებაში გავიდოდა, დისერტაციას წერდა ახლო აღმოსავლეთში ისლამისტური მოძრაობების შესახებ და მგონი, გარეკა: სულ დიდ და ბუნდოვან საფრთხეებზე ლაპარაკობს. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ საფრთხე რაც უფრო მკაფიო და კონკრეტულია, მით უფრო საშიშია. ბავშვობაში პირიქით იყო: ყველაზე მეტად ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის ემშინოდა. მეშინოდა, რომ მოულოდნელად რაღაც ისეთი მოხდებოდა, რაც ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა და სანამ მომხდარში გავერკვეოდი, სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელი გახდებოდა. საერთოდ, ძალიან უცნაური, ერთი შეხედვით, უსაფუძვლო შიშები მქონდა: მაგალითად, როცა დედასთან ერთად ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი და ტრანსპორტის მოსვლას ველოდი, ყოველთვის იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩვენი ლოდინი ამაო იყო. მჯეროდა, რომ მე ის სიმართლე ვიცოდი, რაც დედამ არ იცოდა: სამართლად ავტობუსის გაჩერებაზე დგომისა და ლოდინისთვის ვიყავით განწირულები. მიკვირდა, რომ მას თავის სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა, ისე მშვიდად, იმედიანად იდგა... მე შიშით გული მისკდებოდა: მეგო-

ნა, წესრიგი, რომელსაც ასე შევჩვევდი, თვალსა და ხელს შუა გაქრებოდა, მის ადგილს კი სასონარკვეთა და უაზრო, უმიზნო ლოდინი დაიკავებდა. რა თქმა უნდა, ავტობუსი ყოველთვის დროულად მოდიოდა და ეს იმდენად მიხაროდა, რომ როგორც კი ავიდოდი და სკამზე დავჯდებოდი, მაშინვე სიმღერის ხასიათზე ვდგებოდი. ხანდახან ვმღეროდი კიდევ დაბალ ხმაზე.

საბავშვო სიმღერას წამოიწყებს, მაგრამ მალევე ჩერდება.

— ავტობუსში ხალხს ყოველთვის დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი. საერთოდ, მეჩვენებოდა, რომ ყველგან იმაზე მეტს ვხედავდი, ვიდრე დედა ხედავდა. არ მომწონდა, ნაცნობები რომ მიესალმებოდნენ და გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. ამით მხოლოდ ყურადღებას უფანტავდნენ. არადა, რამდენი რამის დანახვა შეეძლო, ავტობუსის ფანჯრის მიწაზე თავის მიდების, მოდუნების და თვალების დახუჭვის ჩვევა რომ არ ჰქონოდა. დღეს მე ვიცი, რომ ტრანსპორტში ფიზიკურად უნდა ვიყო. მე ყველგან ფიზიკურად უნდა ვიყო, იმიტომ რომ ღამით მშვიდად დავიძინო.

ისევ იმ საბავშვო სიმღერას აგრძელებს. მოულოდნელად ჩუმდება და ავტობუსის მოძრაობის განრიგს ამტყურდება.

— როგორ მომწონს ავტობუსის მოძრაობის განრიგი? წარმოგიდგინიათ სამყარო ავტობუსის მოძრაობის განრიგის გარეშე? აი, ლოკალურ სივრცეში განხორციელებული მსოფლიო წესრიგის ნიმუში! რა სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ ზუსტად 2 წუთისა და 18 წამის შემდეგ ავტობუსის კარი გაიღება და ყველა ჩვენი შიში გაქრება! თქვენ კი ისევე გძინავთ და როგორც ვატყობ, გაღვიძებას არ აპირებთ. უკვე გითხარით, რომ დღეს ჩემი პირველი დღეა იმ სამსახურში, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი? დღეიდან ჩვენს 8 თვის გოგონას ჩემი ქმარი მიხედავს, რომელიც პროფესიით პოლიტოლოგია, მე კი ირგვლივ წესრიგს დავამყარებ და დავიცავ. არა, იმას არ ეშინია მსოფლიო უწესრიგობის, რადგან თეორიები მასზე ტრანკვილიზატორებით მოქმედებენ. კიდევ კარგი, დოზას მაინც აკონტროლებს... და საერთოდ, ყველაფერი, რაზეც ახლა ვსაუბრობ, ჩემს ქმარს ნაკლებად ადარდება. სხვათა შორის, ბავშვობაში ჩიტების ეშინოდა — ჩვეულებრივი ბელურების. რა დროს ბელურები? ჩემი პირველი სამუშაო დღეა და პირველი ამოცანა უნდა გადავჭრა. ახლა ეს უფრო თხოვნაა, ვიდრე ბრძანება: თუ შეიძლება, გაიღვიძეთ და თქვენი საბუთები წარმოადგინეთ. თუ პირადობის მოწმობა არ გაქვთ, თქვენი სახელი და გვარი მითხარით და პოლიციის განყოფილებაში ყველაფერს გავარკვევთ. არ გინდათ ცხელი ყავა? დასაწყისი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დღე აუცილებლად წარმატებით უნდა დაიწყო და იცით, როგორ გავიმართლათ? მე თქვენ არასდროს დამავინებებთ. ყოველთვის გავიხსენებ, რომ ზამთრის ცივ, სუსხიან დღეს ერთი კეთილი მოხუცი გაყინვას გადავარჩინე. თუმცა რა ვიცი, კეთილი ხართ? პატარა გოგოების მუხლები არ გესიზმრებთ? მცირე პაუზა.

— რატომ არ იღვიძებთ? იცით, თუ არა, რომ კანონს არღვევთ, როცა ავტობუსის გაჩერებაზე გძინავთ და თან ალბათ ათასი საძაგლობა გესიზმრებთ? აბა, როგორ დავრწმუნდეთ, რომ წესიერ სიზმრებს ხედავთ?

მანანალა სკამიდან ვარდება. ქალი დასტურებს.

— მოიცა... თქვენ რა... მკვდარი ხართ? მიპასუხეთ: მკვდარი ხართ? კი მაგრამ, როდის მოკვდით? სულ მკვდარი იყავით? რატომ არ მპასუხობთ: მკვდარი ხართ? მკვდარი ხართ? მკვდარი ხართ? მკვდარი ხართ?

შავ-თეთრი შოკა

ცარიელი საგრიმიორო, რომელიც საძინებელსაც ჰგავს. კედელზე ჰკიდია ნაციონალური ფორმა (მამაკაცის). იქვე აწყობა ერთი წყვილი ჩექმა.

შემოდის მსახიობი ქალი, რომელსაც აცვია სადად, თანამედროვედ და თვალშისაცემად ქალურად.

ქალი სარკეში იხედება, აუჩქარებლად იხდის ტანსაცმელს და ნაცისტურ ფორმას იცვამს. თმას კეფაზე აიკეცავს და ქუდს დაიხურავს. შარვლის ჩაცმას გადაიფიქრებს, ისევ თავის ქვედაკაბას ჩაიცვამს. ჩექმებს ხელში დიდხანს ატრიალებს, მერე კი ფეხებთან ახლოს დაიწყობს (ან შეიძლება ცალი ჩექმა ჩაიცვას, მეორე კი არა).

ქალი: მე შენ მიყვარხარ. მე შენ მიყვარხარ.

პირველად უფრო ბუნებრივად გამოივიდა. ამ სიტყვების თქმა სულ უფრო რთული ხდება. ამიტომ უცებ უნდა თქვა — თითქოს ენაზე ცეცხლი გიკიდია და ტკივილს ვეღარ უძლებ. რა თქმა უნდა, ამ დროს მახვილებს სწორად ვერ დასვამ, სიტყვებს სწორი ინტონაციით ვერ იტყვი. ენა პირში იგრძობება და ზედმეტი ტვინით მოცილებას ცდილობს. ცეცხლი ენის ზედაპირს ედება. იტყვი და უკვე ნაცრის ნაცნობ გემოს გრძნობ.

მოსახდენი მოხდა. სიტყვები ნათქვამია.

მე ის მივატოვე და სახლიდან წავედი. მე დღეს კაცი უნდა ვიყო, რომლისთვისაც სახელი და გვარი ჯერ არ მოუფიქრებიათ. პიესაში ჰერმან გერინგი ეწერა, მაგრამ რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ ჩემი პერსონაჟი, ზოგადად, ნაცისტი მაღალჩინოსანი იყო და არა ისტორიული პიროვნება. ეს როლი კი იმიტომ მომცეს, რომ მსუქანი ვარ. ბოლო რამდენიმე წელში 15 კილო მოვიმატე.

„იუთუბიზე“ ყველა ვიდეო ვნახე, რომელშიც ჰერმან გერინგია. ვეფხვის ბოკერებს ეფერება. ბავშვებსაც. ნაცისტური შობაა. დიდი ნაძვის ხე უდგათ და ბავშვებს კანფეტებს ურიგებენ — გულწრფელი ღიმილით, საყოველთაო ზემოთის განცდით.

არა, ეს ამბავი არ მადლებებს. ვიქნები უსახელო ნაცისტი მაღალჩინოსანი. აქამდე კაცი არასდროს ვყოფილვარ. ესეც რეჟისორის ახირებაა — მსახიობი ქალი იმ კაცის როლში, რომლის სახესაც გაადამიანურება სჭირდება. ჩვენ ხომ გვჯერა, რომ ნაცისტები ადამიანები არ იყვნენ.

10 წლის წინ 44 კილო ვიყავი და როცა ალექსანდრეს თვალწინ ვიხდიდი, ძალიან მრცხვენოდა. სულ ვეუბნებოდი, იქით გაიხედე-მეთქი. ხან იხედებოდა, ხან — არა. მრცხვენოდა, რომ ბავშვის სხეული მქონდა, რომ ყველა ნეკნი მეტყობოდა, რომ ჩემი წვევიც, მაჯებიც და თითებიც ძალიან წვრილი იყო. ერთხელ ალექსანდრე მარცხენა ხელის ნეკა თითზე დიდხანს მიყურებდა და მერე მკითხა: „ეს ადამიანის თითია?“

დღისით სექსი არასდროს გეკონია. დღის შუქზე ტანსაცმელს არ ვიხდიდი.

ჩემი გამოსწორების იმედი ჰქონდა. ეგონა, რომ წლები მომემატებოდა და შიშს და სიმორცხვეს დაძვლევდი. მე წლები და კილოგრამები მომემატა. თეატრშიც სულ უფრო სერიოზულ როლებს ვიღებ.

რეჟისორი მეუბნება, რომ საკუთარ თავში ნაცისტი უნდა ვიპოვო, რომ ეს შეუძლებელი სულაც არ არის.

როცა ვბანაობდი, სააბაზანოს კარს ყოველთვის ვკეტავდი და ვამოწმებდი, კარგად იყო ჩაკეტილი თუ არა. ალექსანდრე კარზე აკაკუნებდა და მეხვებებოდა, შემომიშვიო. მეუბნებოდა, მაინც გხედავო და იმის აღწერას იწყებდა, რასაც წარმოსახვით ხედავდა. ხანდახან გაღვიძებული აბრაზუნებდა სააბაზანოს კარზე და შემუქრებოდა, თუ არ გამიღებ, შემოვამტყვრებო.

ერთხელ იტირა კიდევ. დერეფანში, პირდაპირ ხის იატაკზე იჯდა და სველი



კატო
ჯავახიშვილი

მკითხველისთვის ნასაკითხი ამბავი

(ფრაგმენტები პოემიდან)

ისტორია პირველი ამბავი კაცისა და შვილისა

იყო დილა.
კაცმა თითები ამოიღო ჯიბიდან და
ჯიბის კუთხეებში შემორჩენილი
მტვრის ნამცეცეებით შეკონიწეული,
მისი წარსულით მოხელილი
მზიანი დღეებით გამოშხამარი
მინის ბელტი
სახლის წინ კუპრით სავსე წყალში უხმოდ ჩაუშვა.
ჭას კი, წვერივით სქელი ჩალა გადააფარა,
ცნობისმოყვარე გამვლელთაგან რომ დაეფარა.

ეს ჩრდილოეთის გრიგალი თუ ჩალას ნაიღებს,
ეს ჩრდილოეთის გრიგალი თუ ჭას თავს გადახდის,
ეს ჩრდილოეთის გრიგალი თუ ცოდვას გაამხელს,
კაცს თავს ნააცლის
სხვისი არა, — მისი წარსული.

ბავშვი ჯერ კიდევ გაზაფხულის ფრანებს დასდევდა
ეზოში, სადაც იმ ჭის თავზე ჭიამაიას
წვიმის ლოდინში, ფრთამოკეცილს ჩასძინებოდა.
სახე დამანჭა და ჭის კედლებს გზად ჩააყოლა
თვალი. პერანგის სახელოში უხმოდ მალავდა
მინიან თითებს, მზეები რომ უნდა ეხატათ.
წყლის ზედაპირზე წყალმცენარე გადაშლილიყო,
თეთრი. დუმფარას მიუგავდა სველი სხეული.
ფსკერიდან, როგორც საზვერედან,

უთვალთვალელებდნენ:

მჭრელი დანები,
სიპის ქვები,
ბასრი ქლიბები.
და მაკრატლების რაკა-რუკი
არღვევდა დუმისს,
წყალს რომ მისი მამის ემართა.

— ბავშვი აღარ ხარ, უკვე დროა დაცვა ისწავლო
იმის, რაც უფრო მეტი არის, ვიდრე სიმართლე. —
უთხრა კაცმა და გმირობა გამოიგონა.
ბავშვმა ირწმუნა, რომ გმირობა ნიშნავს

მჭრელ დანებს,

და ბასრ მაკრატლებს,
სიპის ქვებსაც —
ანუ სიმართლეს.
უთხრა: დავიცავ.
რადგან შენ ვარ,
ან ხვალ ვიქნები.
რადგან შენ გგავარ.
რადგან მე ხარ.
ვიდრე მინამდე.

იყო შუადღე.
კაცმა იარაღს ცივი ლულა გაუპრიალა,
წარბებსქვეშიდან მოქუფრულ ცას მშვიდად გახედა:
— ავდარს აპირებს.
შინ შემოდი.
სახლში შემოდი.

და შინ შევიდა.

არადა, ცაა ისე სუფთა, ისე კრიალა,
ღრუბლის ფთილაც კი არსად მოსჩანს
მთელ ჰორიზონტზე.
ბავშვი გაერთო, და ღრუბლებზე გადაიარეს

მუქმა ჩრდილებმა და დიდურად სიტყვა მოზომეს,
ისე, რომ ხელში შეაჩეჩეს მისი ბავშვობა,
როგორც ბრჭყვიალა სათამაშო, რომ არ ჰქონია.
და ხიფათს იქით — საკუთარი თავის გაშვება.
და ხიფათს აქეთ — დარჩენილი სიტყვის სქოლიო.

ბავშვი ჯერ კიდევ ზღაპრის გმირებს თავს ადარებდა
და სიზმარეთში ოქრო-ვერცხლის ჩუმი წკრიალი
გამოუცდელ თვალს უჭრებოდა.

არადა, ოქრო ისე ბრწყინავს, ისე პრიალებს,
ჭის უკან გარბის, თვალებს ხუჭავს და იმალებს.
და ამ ზღაპარში მისი არის მეფის ტიარა
და ამ ზღაპარში რა ახლოა უკვე გმირობა,
თუ საგანძური მას ეკუთვნის, მისთვის აგროვეს
მისმა მონებმა, ყველაფერი ხელენიფება.
რა მოხდა თუ სახლს ჩამოენგრა ერთი აუური,
და თუკი წყალი ერთით მეტი ცოდვით ნითლდება..
ბავშვს დაავინყდა:
უთხრა, დავიცავ.
რადგან შენ ვარ,
ან ხვალ ვიქნები.
რადგან შენ გგავარ.
რადგან მე ხარ.
ვიდრე მინამდე.

სალამო იყო.
კაცმა თითები ამოიღო ჯიბიდან და სათითაოდ
ფიჩხებოვით გადაიმტვრია.

ბავშვმა წვერივით სქელი ჩალა ჭას გადახადა,
ცნობისმოყვარე გამვლელებს რომ შეემჩნიათ და...

ეს ჩრდილოეთის გრიგალი თუ ჩალას ნაიღებს,
ეს ჩრდილოეთის გრიგალი თუ ჭას თავს გადახდის,
ეს ჩრდილოეთის გრიგალი თუ ცოდვას გაამხელს,
კაცს თავს ნააცლის
სხვისი არა, — მისი წარსული.

კაცმა ცივი სასხლეტს ერთადერთი თითი გამოჰკრა,
ბავშვი აღარ ხარ, გაფრთხილება უნდა გესწავლა
იმის, რაც უფრო მეტი არის, ვიდრე სიმართლე. —
თქვა და შევიდა.
შინ დაბრუნდა.
დაბრუნდა. ანუ.

მაინც, რას ნიშნავს დაბრუნება?
თუკი არავის არ აღეღებებს შენი ფეხისხმა,
რადგან იქ უკვე არავინ არის.
არც შენი
და არც უშენობის ჭირის უფალი.

ისტორია მეორე ამბავი ანაფორიანისა და ღმერთისა

„როცა სოფელში ხანძარია, შენ შეგიძლია გადაარჩინო
ვინმე, ვინც ელის შენს დახმარებას,
რამე, რაც აუცილებლად უნდა გადარჩეს,
საკუთარი თავი, რომელსაც უკვე აღარ გგონია,
რომ ვინმე გადაარჩენს,
ღმერთი, რომელსაც ეს გადარჩენა
მხოლოდ იმაში სჭირდება,
რომ გმირად გაგრძნობინოს თავი
და სინანულში დათოვლილი საფლავივით გაუჩინარდე“.

— ჩემს სოფელში სიმშვიდეა —
კაცმა მტვრიანი ანაფორა დაიბერტყა და ხატებს
შეხედა.
დილის ლოცვის დრო ედგა სოფელს.
დილის ლოცვას ელოდა მრევლი.
კანდელში პატრუქს ზეთის ნაცვლად ევალა ღვინო,
სოფელში გლეხს კი ლოცვის ნაცვლად ევალა პური.
გასული ღამის სიზმრებიდან ახსოვდა მხოლოდ:
სისავსე. ლოცვა. მონაზონი.
სხეული. ფული.
კაცმა მტვრიანი ანაფორა გაიხადა და მლაშე ცრემლით
სავსე გობში უხმოდ ჩააგდო.

სოფელი ესე არს, სოდომის ცოდვიდან
თვალეების ფშვნეტამდე
ცეცხლი და გოგირდი; შუბი და მახვილი;
ალტქმა და დარღვევა;
სოდომი ესე არს, უბრალოდ იჯდე და
უბრალოდ მხედავდე
და შავ მდინარეში თეთრი კენჭებივით
ჩნდებოდეს ჭალარა.
სოფელი შავია, ცოდვის კიდობანში ერთია ყოველი,
მკვდარია ზღვები და მკვდარია სოფლები,
რომლებსაც ვეძებდით.
სოდომი ესე არს, გულიდან ვინყვეტდეთ
პირ-ყვირულ ყვავილებს,
სამყაროს ქოთანში ტერფები გვეწყოს და
მინაში გვეძინოს.

„როცა შენს ტანში ხანძარია,
შენ შეგიძლია გადაარჩინო
ის, ვინც შენსავით ელოდება ტანში ხანძრის ჩაქრობას,
საკუთარი ცეცხლმოდებული თავი,
რადგან უკვე სულერთია ცეცხლი ვის
მოედება,
ნივთი, რომელიც ხანძრიდან აუცილებლად
უნდა გამოიტანო,

ღმერთი, რომელიც ხშირად ჯვარია,
რომ აღამიანად იგრძნო თავი,
ან სულაც, შეიძინო ინდულგენცია,
და ერთხელაც აღამიანობაც გეპატიოს,
რომ ერთხელაც სიძულვილიც გეპატიოს.
რომ ერთხელაც ბოროტებაც გეპატიოს“.

— ჩემს სოფელში სიმშვიდეა —
კაცმა მლაშე ანაფორა გადაიცვა და
კისერზე ძვირფასი თვლებით მოჭედული,
მძიმე ჯვარი ჩამოიკიდა.
თითებიდან სდიოდა წუთი.
თვალეებიდან აფრქვევდა ბაღამს.
დილის ლოცვას ელოდა მრევლი.
დილის ლოცვამ ინათა გაღმა.
სადაც მდინარე თან წაიღო ავიც და კარგიც,
სადაც კალმახის ფარფლებშუა მდინარეც დაშრა.
კაცმა სინანულის პატრუქს ცეცხლი წაუკიდა
და საკუთარი ცხოვრების მეკორეობა
ღმერთს დააბრალა,
ღმერთს, რომელსაც იოლია რამე დააბრალო,
ღმერთს, რომელსაც ვერაფრით ხედავ,
ღმერთს, რომელსაც ვერაფრით ისმენ.
— ეს ცხოვრება, ნაოსნობაა — თქვა კაცმა
გაცვეთილ ნიგნში ერთ ფურცელი ჩაკეცა
და სენაკიდან გავიდა.

სოფელი ესე არს, დაშვებულ ცოდვიდან
დიდების სკიპტრამდე
ცეცხლი და გოგირდი; შუბი და მახვილი.
შვილში თუ და ბადიში —
სოდომი ესე არს, ზიძირი და სიბილნეც
გინდა რომ გიყვარდეს.
სოდომი ესე არს, კაცთაგან
დაფარულ სიმართლეს ამიშვლებს.
სოფელმა რა იცის, რომლისთვის
რომელი ჯვარია საზიდი,
ალტქმის კიდობანში რა უფრო მეტია,
ცოდვა თუ სიმართლე.
სოფელმა რა იცის, სხეულს კი ხანდახან
ლოცვაც კი აზიდებს,
როცა კედლებს შორის დამსკდარი ხერხედიდან
იღვრება სიმართლე.

„როცა შენს გულში ხანძარია,
შენ შეგიძლია გადაარჩინო საკუთარი თავი,
რადგან სხვა შემთხვევაში ვერასდროს გადაარჩენ მათ,
ვისთვისაც გადარჩენა უკვე წარსულია“.

— ჩემს სოფელში სიმშვიდეა —
თქვა კაცმა,
მონაზვნის დამტვერილ ტანისამოსს თვალი მოავლო
და მრევლს წინ წარუძღვა.

ისტორია მესამე ამბავი ოქროსთმიანისა და დროსი

„ამ დღე-ღამეებს რა გაასწორებს.
ნახე, მდინარე როგორ მოდის,
წყალნაღებული კაცივით,
როგორ გვიქნევს ხელებს მე და შენ?..“

სავსეა მთვარე,
 ყველაზე უკეთ ამან იცის,
 ჩემს უფსკრულში როდის ვმარხავ ციციანთელს.
 არ იხმაურო, ჩუმიად გაქრი, დღევანდელი დღევ,
 ხვალ გათენდება ისევ ისე,
 და ხელმეორედ, დავიწყებად გამოგიგონებ.
 მე ისევ აღმართს ვეჭიდები.
 შენ თავდაღმართი გირჩევნია,
 და ნადირივით გზა-გზა გაშლილ ფაფარს ისწორებ
 და სადაც ვხვდებით — იქ გლალატობ.
 ისევ ქარია..
 ქალაქებში რომ იცის ხოლმე — მშრალი, უცრემლო.
 ნახე, მდინარე აღარ მოდის,
 ჭაობია და შენ სიტყვაზე ფეხი გიცდება“.

— „ოჰ, ყველაფერი რომ უკულმა ყოფილიყო“ —
 ბიჭმა ოქროსფერი კულულები სარკეში შეისწორა
 და თვალი საკუთარ ანრდის გაუსწორა.
 შარვლის ჯიბიდან მონიკნივე ოქროს საათი ამოიღო,
 საათი დროს აჩვენებდა,
 დროს, რომელიც უნდა გასულიყო,
 დროს, რომელსაც ის გაჰყავდა,
 დროს, რომელსაც მთელი ძალით ებლაუჭებოდა
 მისი მარადიული ახალგაზრდობა.

„ხმელეთი, ისევ.
 დიდ დახლებზე ყრია დღეები,
 რახათ-ლუხუმის ფასად ისევ მარილს ყიდულობთ,
 პირში თუ სათქმელს ჩაიგუებ — მოინამლები.
 სიტყვას თუ გარეთ გამოუშვებ — ისე მნარეა.
 არ იხმაურო, ჩუმიად გაქრი, დღევანდელი დღევ,
 „გუშინ“ მეძინა, „ხვალ“ ორმოსთან ყეფენ ძაღლები,
 და ვდგავარ ისე, გეგონება ჩამარტყი ზურგში
 დანა და მაინც ნაბიჯს ვერ ვდგამ —
 რადგან გეყრდნობი.
 და სადაც ვრჩებით — იქ გლალატობ.
 იქვე ვმთავრდები“.

— „ოჰ, ყველაფერი რომ უკულმა ყოფილიყო“ —
 თქვა ოქროსთმიანმა, გულში დანა ჩაირტყა და მოკვდა.

ავტორისაგან წყალნაღებულთათვის

1.
 „ამაოა ნუთისოფელი და ყოველივე ამაოა
 ქვეყანასა ზედა“ —
 თქვა კაცმა და ტაძარში შევიდა.
 სახლიდან წამოღებული კელაპტრით გაანათა
 ჩაბნელებული კედლები.
 დაიჩოქა და ილოცა.
 დედის სიცოცხლეზე ილოცა,
 სიკვდილის წინ, მინა თავისას ითხოვსო, რომ დაუბარა
 და ვერ შეუსრულა.
 გარდაცვლილ მეგობარზე ილოცა, ნატყვიარში
 სოფლის ცრემლი რომ ჩააყოლა
 და მისი ფოტო „ზალა-ოთახის“ ცენტრში ჩამოკიდა.
 სიყვარულზე ილოცა, ღმერთს სთხოვა, მოსთხოვა,

მრუშობისგან დაეცვა და ნაყოფი მისი ეკურთხებინა,
 პატიება — არა.
 სინანული ითხოვა,
 თავისი წილი სინანული.
 ქალი ენატრებოდა.
 ქალს კლავდა, ყოველდღე კლავდა
 და ყოველდღე თავიდან იბადებოდა.

ქვეყანა ენატრებოდა.
 მასაც კლავდა.
 კლავდა და ხელები მინით ევსებოდა.
 გადასძალა.
 „ამაოა ნუთისოფელი და ყოველივე ამაოა“ —
 თქვა კაცმა და ტაძრიდან გამოვიდა.

2.
 „ძონძებია ეს ყველაფერი,
 ჩემი ძვირადღირებული ჯინსიდან დაწყებული,
 შენი მაისურით დამთავრებული“ —
 თქვა ქალმა და გაიხადა.

ხის პატარა სახლში იწვნენ.
 ხის პატარა საწოლზე იწვნენ.
 ხის საწოლს ფეხები უჭრიალებდა.
 მუხლებში წყალი ჩასდგომოდა.
 გაზაფხული ჯერ არ დამდგარიყო.
 მინა იძრა და აღმა-დაღმა აატორტმანა ტივი.
 მინა იძრა და ჩაჩუმდნენ.
 დანყნარდა ურჩხული.
 ჩაესვენა მნათობი.
 დაიძინეს.
 როგორც შექმნეს — ისე ეძინათ.
 როგორც უნდოდათ — ისე უყვარდათ.
 ერთმანეთს ჭამდნენ და ვერ ძღებოდნენ.
 ჩამოთოვა.
 ერთმანეთი ჰყავდათ და ათბობდათ.
 ქარმა ღრიჭოებში შემოატანა.
 ერთმანეთი გადაიფარეს.
 მინა უყვარდათ და
 მინა იძრა.

3.
 „დაბადება სჯობს“ —
 თქვა ბავშვმა და ცხოვრების არტახებიდან
 ხელი გამოყო.

აირჩია:
 ქალისგან — თვალი, ცოდვა, გემო.
 კაცისგან — მუხლი, ყნოსვა, გამძლეობა.
 ქალს რძე გაშრობოდა.
 ჩხაოდა ბავშვი — შიოდა.
 გავიდა კაცი ტყეში და ვერაფერი მოკლა.
 გავიდა ქალი ტყეში და ნაყოფი ვერ მოიტანა.
 გაბობლდა შვილი ტყეში და ნადირმა შეჭამა.
 შებრუნდნენ.
 ისევ ხის პატარა სახლში დაწვნენ.
 მუხლებში წყალი აღარ დგებოდა.
 ხის საწოლს ფეხები აღარ უჭრიალებდა.
 გაზაფხული დამდგარიყო.
 არ სციოდათ და ძონძები აიფარეს.

არ ათოვდათ და სახურავი გადახურეს.
 პატიება — არა,
 სინანული ითხოვეს.
 — „ამაოა ნუთისოფელი და ყოველივე ამაოა
 ქვეყანასა ზედა“ —
 თქვა ქალმა და ჩაიცვა.

4.
 მოვიდა და ხმელეთი წაიღო.
 მოვიდა და დარჩა.
 მოვიდა და დაიბადა.

შენ შეგიძლია ყველაფერი გამოიგონო:
 ქარი, რომელიც ღრუბლებს ფანტავს,
 მზე, რომელიც კანზე დაგცქერის.
 შენ შეგიძლია ყველაფერი გამოიგონო
 და გაცრა ფქვილი
 და თითებით ფანტო ნაცარი.
 ზურგით რომ წევხარ, ეს არ ნიშნავს არ გიყვარს ვინმე.
 ზურგი რომ გიჩანს, ეს არ ნიშნავს ვინმეს ამაგრებ.
 შენ შეგიძლია ყველაფერი გამოიგონო,
 შვილის ტირილი. შენი დაღლა. მშობლის ამაგი.
 ფერად-ფერადი დღეები და რიკულებიდან
 ცის ის ნაგლეჯი, მეზობელს რომ ადევს სახეზე.
 შენ შეგიძლია ყველაფერი გამოიგონო
 და ფარდის უკან შეშინებულ თვალს ახელდე:
 — თვალბადგადაქცეული მოდიან გზები.
 ეს უკვე იყო.
 და შენს სიზმარში ვილაც რომ კვდება,
 ეს ახლა არის.
 ნურბელებივით ჩამომასხდნენ მთები მხრებზე და
 რამსიმძიმეა ეს დედამინა,
 მხოლოდ მაშინ ვუძღებ სიმძიმეს,
 როცა თვალბადგადაქცეული კვერცხს გინვავ.
 გარეთ ისეთი ხმაურია,
 ისეთი უღვთო,
 დღეში ათასჯერ ტყუილის თქმა ღმერთისთვის მინევს.
 ვამბობ: — დახურეთ მეტროები. იარეთ ფეხით.
 ხელით გაგუდეთ ის ბავშვები, ქუჩას რომ ანდეთ.
 გადმოაბიჯე ამ საფეხურს.
 მინდა შენს სიზმარს გახლეჩილი ვაშლივით ვგავდე.
 ვამბობ: — დალუქეთ ბანკები და გახსენით გზები.
 თვალბადგადაქცეული ვაახილეთ, როდესაც ხუჭავთ.
 ზოპარკიდან მიყურებს ზებრა
 და შავ-თეთრ კაბას გულამდე მინევს.
 შენ შეგიძლია ყველაფერი გამოიგონო:
 ცხოვრება, სადაც ყველაფერი ვილაცას ანდე.
 ქარი, რომელიც ღრუბლებს ფანტავს.
 მზე — რომელიც კანზე დაგცქერის.
 იმ უხმაურო დღეებიდან დარჩება სიტყვა —
 არაფერს ვამბობ.

5.
 „ამაოა ნუთისოფელი და
 ყოველივე ამაოა ქვეყანასა ზედა“ —
 თქვეს და მოიგონეს.
 თქვეს და მოიგონეს.



ტარიელ ჭანტურია ვიკილიქსი

დასასრული

მეცნიერებს დაუდგენიათ, რომ, ბიბლიის მიხედვით, ჯოჯოხეთის ტემპერატურა 718 გრადუსია! არ ვიცი, როგორ დაადგინეს, მაგრამ ბევრია! წარმოვიდგინე და საშინლად დამცხა!

ვეცნობით პრასას...

ერთი პირმოთენე და აბეზარი კაცის ლექსებია აგერ გაზეთში დაბეჭდილი. არ ვარ პირმოთენე და აბეზარი, წერია ერთ ლექსში! ბევრი ვიცინეთ ამაზე! აბა, რა ხარ, ბიჭოო, ისმოდა აქეთ-იქიდან!

ანდაზა, რომორც ასეთი

კ.ლ. „ცისკრის“ რედაქტორი გახლდათ, ხ.ბ. – „ნაკადულის“ დირექტორი! ერთ დღესაც პარტიის ცეკამ „რეფორმა“ გაატარა: „ცისკრის“ რედაქტორი „ნაკადულის“ დირექტორად გადაიყვანა, „ნაკადულის“ დირექტორი – „ცისკრის“ რედაქტორად!

ყოფილმა პოლიტპატიმარმა, მწერალმა ოტია ჰაჭკორიამ პარტიის მიერ გატარებულ „რეფორმას“ ციმბირიდან ჩამოტანილი ანდაზა მიუყენა: ხუი ნა ხუი მენიაც, დარომ ვრემია ტერიაცი-ო!

მთელი ქალაქი იცინოდა მთელი კვირა, ცხადია, „ხუების“ გარდა!

სიულ-პრიზი!

1901 წლის ნობელის პრემია – სიული პრუდომის სიულ-პრიზი! ორასამდე ფრანგისთვის შეიძლებოდა იმ წელს ნობელის პრემიით დაჯილდოება, ოღონდ არა სიული პრუდომის! ეს არაა ჩემი აზრი, ეს – საფრანგეთის აზრია!

ამას სიული პრუდომის გასაკვილად არ ვამბობ, ცხადია!

ღევილა

საქართველო, შე საცოდავო, მთლად ნუ გამოსულეღეფი, ნუ გამოშტერდეფი, ნუ გამოქლიავედეფი, ნუ გამოსირდეფი, ნუ გააფერისტდეფი, ნუ გაჩათახდეფი...

მთელი კულტურა ერთ იდიოტურ დეფილედ რომ აქციე, მე ნუ გავლიზიანდეფი? ნუ ავლედეფი? ნუ გავმწარდეფი? დაფიქრდი, და შენც დარწმუნდეფი, სწორად რომ ვარ შენუხებელი!

დაასრულე ეს აბსურდული დეფილე და მიხედე დიდ ქართულ კულტურას! მაშინ მეც დავმშვიდდეფი, დავწყნარდეფი და შენც უფრო შემიყვარდეფი!

გვედრები, ნუ გამოღეფილდეფი!

შოთა ჩანტლაქის ნიბნი, გამოცემაული უყურადღებო

შოთა არასოდეს საუბრობდა ანდერგრაუნდის სახელით – იცოდა, ეს მისი განცხადებების გარეშეც ყველამ იცოდა, მისმა მტერმაც და მისმა მოყვარემაც! განსაკუთრებით მგრძობიარე იყო მისი დამოკიდებულება მისი თაობის პოეტისადმი – შოთა ნიშნაინიძისადმი. ერთად მოდიოდნენ, და მერე უცებ მათი გზები გაიყარა! შეეძლო თუ არა შოთა ჩანტლაქის ევლო იმ გზით, რომელიც მისმა პოეტმა ძმაკაცმა აირჩია! რა თქმა უნდა, შეეძლო, მაგრამ მან სხვა არჩევანი გააკეთა! ამ გადაწყვეტილების მიღება, როგორც ჩანს, არ იყო იოლი – იგი ბევრს ყოყმანობდა! ამ ყოყმანის შედეგია მისი „პარავოზი“ – მისი ლექსი ლენინზე (ლექსი, რომელიც მას სიცოცხლეში არ დაუბეჭდია და რომელიც მისი „რჩეულის“ გამომცემ-ლებმა – იმავე იზა ორჯონიკიძემ და კომპანიამ „შოთას დაუკითხავად“ შეიტანეს ნიგნში...). სანყენია, პოეტის შედარებით სრული კრებული ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას შემდგენელთა კომპეტენციის თვალსაზრისით. მრავალი საბუთის მოტანა შეიძლება ნათქვამის დასადასტურებლად, მაგრამ მე მხოლოდ ერთს დავჯერდები – ნიგნში შეტანილია ჩემი იუმორესკები, რომლებიც ორჯერ თუ სამჯერაა დაბეჭდილი ჯერ – ჟურნალ „ნიანგში“ და მერე ჩემს იუმორისტულ კრებულებში. ეს იუმორესკები, როგორც ჩანს,

მაგიდაზე ედო შოთას, შემდგენლებიც ადგნენ და მის რჩეულში შეიტანეს! ბევრს იცინებდა ამაზე ალბათ შოთა, მის სიცოცხლეში რომ მომხდარიყო ეს – დიდი გრძნობა ჰქონდა იუმორის, გაანათლოს ღმერთმა მისი მალალი სული!

არ მინდა დავიჯერო, რომ სამყაროში რჩეული პლანეტა და რჩეული ცივილიზაცია სწორედ ჩვენა ვართ! ამაში თავმოსაწონებელი არაფერი იქნება იმავე სამყაროსათვის... და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმავე ღმერთისთვის...

გადავივლო საქართველო ნობელისმადიებლებით! გზააბნეული და ტვინარეულია საქართველო! ეტყობა, ნამეტანი დაბერდა! ეხუმრები შენ ამდენ ათასწლეულს? მაგის ხნის ქვეყნები მართო ისტორიაში წერია...

რამ გალაპარაკა ეს ყველაფერი მწერალ კაცს, ხომ იცი, ყველაფერი წინ დაგიხვდება-მეთქი! ვერაფერიც ვერ დამიხვდება წინო, მე მწერალი იმით კი არა ვარ, რასაც ვლაპარაკობ, არამედ იმითი, რასაც ვწერო!

ასე, სოკრატეს არაფერი დაუნერია თავის სიცოცხლეში და, მაშინ რა გამოდის-მეთქი! რა გამოდის და ის, რაც მე ვითხარო! ლაპარაკობდა? ესე იგი, მწერალი არ არისო! ყველაფერი, რასაც სოკრატეს მიაწერენ, პლატონისააო! ახლა ამასაც მოგკითხავენ-მეთქი! რას მომკითხავენო! ვერაფერსაც ვერ მომკითხავენო! სად მიწერია ის, რაც ახლა ვთქვიო! არც მომავალში ვაპირებ ამის დაწერასო!

გამეცინა, მართლა კარგი პახმელია იცი-მეთქი! ახლა ამას ყველაფერს შენდა ნათქვამად დავწერ-მეთქი! დანერ და შენი დაწერილი იქნება, მე არაფერ შუაში ვიქნებიო. პლატონის დიალოგები შენ მართლა სოკრატესი ხომ არ გგონიაო!

კიდევ ერთხელ გავიცინეთ და ლუდხანაში შევედი.

ასე, ერთი თვის მერე დაიღუპა საგვებით მოულოდნელად. აპენდიციტს ემსხვერპლა.

მისი გარდაცვალების მერე წერილი დავწერე – პირველი წერილი მის პოეზიაზე: „დღეს ჩემი დაბადების დღეა!“

ახლა, ამ ძველ ჩანაწერს რომ გადავყარე, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, იმ წერილში ჩვენი ეს საუბარიც შემეტანა!

სიბერის კიდევ ერთი სიმპტომი: ოთხმოცს მიტანებული კაცი მინაზე უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვინემცაში – თვით ყველაზე საინტერესო ქვეყნის მოსანახულებლადაც კი არ სიამოვნებს თვითმფრინავში ჩაჯდომას... ეს არ არის შიში! ეს – ალბათობის შედეგის გამორიცხვისთვის ფიქრია! რა ქნას, ნიგნის დასრულება ურჩევნია სიცოცხლის დასრულებას...

(„არა, ირაკლი! ვერა, ირაკლი!“ – უარი რჩეულ მიპატიჟებას...).

გვარებს არ ჩამოვთვლი – დღევანდელი ახალგაზრდა პოეტების ერთ ნაწილზე ვამბობ იმას, რასაც ვამბობ: მათ იციან მთავარი! მთავარი ლექსი არაა, მთავარი – პოეზია! ამიტომაცაა მათ ნაწერებში ცოტა ლექსი (ან თითქმის არაა ლექსი) და მეტი – პოეზია! რა შეიძლება იქნება ამაზე! მხოლოდ ის, რაც თქვა და რასაც დღესაც იტყობა რუსთაველი! გაიხსენეთ მისი სწავლება ამ თემაზე – პოეზიასა (შაირობასა) და ლექსის – ვერსიფიკაციის თემაზე! ვიცით კი დღეს, რომელია პირველი ლექსი, რომელია მეორე, რომელია მესამე! რუსთაველის მასტერკლასი არ გაგვივლია? და ისე ვაპირებთ პოეტობას?

იმ გოგონებმა და იმ ბიჭებმა, რომელთა გვარების დასახელებისგან ამჯერად თავს ვიკავებ, მშვენივრად იციან ეს ყველაფერი! ამიტომ მაქვს მათი იმედი, მათი მომავლის რწმენა!



ირმა ტაველიძე

შვედური მონოლოგები

დასასრული

თვალეები ჰქონდა.

მერე მეუბნებოდა, რა სისულელეა, შენ თვალნი არასდროს მიტირიაო.

ერთ დღეს კარის დაკეტვა დამავიწყდა და ბანაობის დროს საბაზანოში შემომივარდა. თავზე შამპუნი მესვა და თვალეები დახუჭული მქონდა. ვიდევით და გიჟებივით ვიცინოდი ძალიან დიდხანს.

თანდათან შევეჩვიე მის ახიერებას და საბაზანოში ვუშვებდი ხოლმე. ისიც შეეჩვია ჩემს სიგამხდრეს და უცნაურ შეკითხვებს აღარ მისვამდა.

ერთად ოთხი წელი ვიცხოვრეთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი პირველი როლი იყო. გამხდარი ქალის როლი. დღეს მსუქანი კაცის როლი უნდა შევასრულო.

გუშინ, რეპეტიციის დროს, თითქმის მოვახერხე — საკუთარ თავში ნაცისტი მალაჩინოსანი აღმოვაჩინე, რომელსაც ათასობით და ათიათასობით ადამიანის სიკვდილი არ აღეღებდა. ეს ადამიანები მისთვის ისედაც არ არსებობენ. ბავშვი კი არსებობს. ის ბავშვი, რომელიც შობის დადგომას მთელი გულით ელოდა და ახლა დაპირებული ტკბილეულის მიღებას ელოდება. მე ეს ბავშვი მიყვარს. მე ყველაფერს ამ ბავშვის ბედნიერებისთვის ვაკეთებ.

ალექსანდრე თვლიდა, რომ ახლოს არ ვუშვებდი, რომ მასთან ბოლომდე არ ვიხსნებოდი. მე კიდევ დღის შუქზე გამოშვლება არ შემეძლო.

ბოლოს ამასაც მივჩვიე. მის თვალნი ვშიშვლდებოდი და ჩემი სხეულის დათვალეების უფლებას ვაძლევდი. ვხვდებოდი, რომ ეს ძალიან სიამოვნებდა და ამ სიამოვნებას იოლად არ დათმობდა.

დღის შუქი ყველაფერს აუბრალოებს და აჩვეულებრივებს. მაგრამ თვალის თავისას ითხოვს. თვალის ხარბი და გაუმადლარია. საშინელი მესაკუთრეა. თუმცა ხანდახან კეთილი და გულმონყალებიც არის. ჩემმა თვალმა არაერთი ადამიანი დაინდო, თუნდაც ის ებრაელი მედღეები, რომლებმაც ავსტრიულ ბოსპიტალში მზრუნველობა და ყურადღება არ დამაკლეს.

რეჟისორი ამბობს, რომ ჩემი ცხოვრება ერთი დიდი კომპარია — ეს კარგად უნდა გავაცნობიერო. მე ვიცი, რომ ამ კომპარის ნათელი მხარეც აქვს: საშობაო ნაძვის ხე, ხელნაკეთი დეკორაციები, ბავშვები, ცხოველები. მართალია, ყველა მოკვდა, ვინც კი მიყვარდა, მაგრამ სიყვარული არ მომკვდარა.

არა, ასე არ უნდა გავსუქებულიყავი. რას იფიქრებდა ჩემი საყვარელი ადამიანი, ასეთი რომ დავეცხებ?

ის დიდი ხნის წინ მოკვდა.

ჩემი ენა სიკვდილის ენაა.

მე ის ძალიან მიყვარდა.

მე შენ მიყვარხარ — იმდენი ხანია, ეს სიტყვები არ მითქვამს, რომ უკვე მეშინია. უკვე მრცხვენია ამ სიტყვების თქმის.

ერთხელ ალექსანდრეს თავზე წავადექი: მუხლებზე იდგა და ჩემს გაურეცხავ ტრუსებს ათვალეებდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ლოცულობდა. თავიდან ვერ მივხვდი, რას აკეთებდა. უბრალოდ, ვათვალეებო, მითხრა და დავიჯერე, რომ გულში სხვა არაფერი ედო. ვიჩხუბეთ და ყველაფერი ავუკრძალე, რის უფლებასაც მანამდე ვაძლევდი. უფრო სწორად, ნაწილობრივ ავუკრძალე. რაღაც-რაღაც

ცებს ჯერ კიდევ ვათვალეებინებდი. სულ გააფრინა. ეჩვენებოდა, რომ მისგან წასვლა მინდოდა, რომ გული სხვისკენ მიმინევდა.

გგრძნობდი, რომ ერთ დღეს ჩემი გაურეცხავი ტრუსების თვალეების უფლებასაც მივცემდი. იმასაც ვგრძნობდი, რომ ძალიან ვუყვარდი და მჯეროდა, რასაც მიმეორებდა: მსგავსი რამე არასდროს გამიკეთებია, საერთოდ, ასეთი აზრი თავშიც არ მომსვლიაო.

ერთმანეთის დაკარგვის შიში. მუდმივი დაძაბულობა. სიტყვების მავნე ზემოქმედება.

მისი სურვილების ლოგიკა სულ უფრო უკეთესად მესმოდა. ვიცოდი, რომ არც გაურეცხავი ტრუსების თვალეებით დაკმაყოფილდებოდა და რაღაც ახალს და გაუგონარს მოიგონებდა.

მე საკონცენტრაციო ბანაკში ვცხოვრობდი. რეჟისორი მეტყვის, რომ ეს სასარგებლო გამოცდილებაა. რა უნდა ვუპასუხო?

საკონცენტრაციო ბანაკში საკუთარი სურვილით არავინ ჩერდება. ჩვენ მყუდრო სახლი გვექონდა — სულ ორი ოთახი, მაგრამ ბედნიერებისთვის საკმარისზე მეტი იყო.

ბოლო თვეებში ტულეტში ჩემთან ერთად შემოდიოდა. მეუბნებოდა, რომ იმ ნუთების ატანა არ შეეძლო, როცა მარტო რჩებოდა, რომ, უბრალოდ, უჩემოდ ვერ ძლებდა. მიყურებდა, როცა უნიტაზზე ვიჯექი. ამ დროს ჩვეულებრივად მეხუმრებოდა, ამბებს მიყვებოდა. თითქოს უჩვეულო და არაბუნებრივი არც არაფერი ხდებოდა.

ჰერმან გერინგიც ასე ეფერებოდა იმ ვეფხვის ბოკვრებს — ძალიან ბუნებრივად და ადამიანურად. მასაც თავდავინყებით უყვარდა თავისი ცოლი.

იმ ქალის სურათებიც ვნახე. ჩემსავით სახე სახე აქვს.

მინდა, რომ ისევ შემეყვარო, ალექსანდრე. მერე რა, რომ ახლა სქელი ვარ და ნაცისტი მალაჩინოსნის როლს ვასრულებ. მერე რა, რომ ქალიც და კაციც ერთდროულად ვარ. დღეს უკვე ვიცი, რომ სიყვარული მხოლოდ ისეთი არანორმალური შეიძლება იყოს. წლები მომემატა. გავიზარდე.

პირში ნაცრის გემოს ვგრძნობ. ენის ზედაპირზე ცეცხლი მიკიდა. ენა პირში დაიგრიხა, დაიკლაქნა და დაიფერფლა.

ბავშვები.

საშობაო დეკორაცია.

ერთი ცალი კანფეტი.

ქალის ფოტოსურათები.

შიში და სიმორცხვე.

სიკვდილის ენა.

მე ის მივატოვებ და სახლიდან წავედი.

საკონცენტრაციო ბანაკში კარი დაკეტილი არ ყოფილა.

გერმანელმა მალაჩინოსანმა სიკვდილით დასაჯის წინა დღეს მოიკლა თავი. მისი სახელი და გვარი ჩემი მოსაფიქრებელია. ბიოგრაფია სხვებმა მოუფიქრეს.

მე ის მიყვარდა.

მე ის მიყვარდა.

ქალი ნაცისტურ ფორმას იხდის და თავის ტანსაცმელს იცვამს. მერე თმას ჩამოიშლის, მსუბუქ მაკიაჟს გაიკეთებს და ოთახიდან გადის.

ნანა ქელეხიძე

სადღაცა, ნამგალა ხიდქვეშ

მე, შენი მორჩილი ცოლი,
მტევნებად ავკინძავ ქარვებს,
ფოთლებში სურვილად გამცრის
და ზღვისკენ გამფანტავს ქარი...
მერე მე —
დადლილი სუნთქვა,
შენ ალბათ —
ლიმილი ჩუმი,
მოიმწყვდევე მკლავებში ნათქვამს
ჩემსას.
მე ჩავუთქვამ სურვილს —
სადღაცა, ნამგალა ხიდქვეშ
დარწულ ტალღების ტიტინს...
გავიყოფთ
უსიტყვოდ ნაზიდ
შენს ხმაში დაფარულ ტვირთსაც...
შენ, ჩემო ძლიერო სულო,
ლოდინი მემსხვერევა ძვლებში,
წრეს ვკრავ და შენამდე სავალ
ბოლო გზას ფიქრებში ვეძებ
მე,
შენი ჯიუტი ცოლი...

მოლოდინი

თითქოს,
თევზი ვიყავი და ლაყურებთან კავი ამომდეს.
ამომიყვანეს მდინარიდან და ახლა ქვებზე
მახეთქებენ გამეტებით —
აქეთ და იქით...
აქეთ და იქით...
იქნებ როგორმე მლაშე წყალივით სული დავლიო.

მე კი თვალწინ ჩემი უბნელი
ქმარ და შვილმკვდარი ბებო მიდგას,
მთელი დღეები სკამზე რომ ზის და
უსასრულობას გაჟონილი თვალებით უცქერს —
იქნებ დღეს მაინც იმ სამიწე სიკვდილმა
ისევე ჩამოიაროს.

და როცა ესმის, ახლოს მივედი,
თითქოს ბოდიშობს, უხერხული ხმით მეუბნება —
ვაიმე, შვილო, რა უნდა ვქნა, რა აღარას ვარ —
არც საიქაოს, არც სააქაოს...
და მაშინ ვხვდები,

სული წყაროს წყალი არ არის,
ასე ადვილად რომ დაილიოს —
ცეცხლზე შემოდგმულ ცხელ თაფლივით მწველსა
და ტკბილს,

თუ აიღებ და ტანზე კანივით ცოცხლად გამაძრობ —
მეც აღარას ვარ —
არც საშენო და რა უშენო,
რა შეუმჩნევლად შეჩვეული უჭაერობას.

CATATHYMICA

ყველაზე მეტად დღის სათავეები მიყვარდა,
მოგზაურობის დასაწყისი,
საქარე მინებიდან მოვარდნილი ცხელი ჰაერი
და გზა,
რომელიც არავისთან მიდის —
მეტი არ მახსოვს ჩემი თავი ადრე.
დამავინყდა, მანამდე როგორი ვიყავი.
ჩვენ ვიზრდებოდით დიდი ხეების ქვეშ.
მე არ მახსოვს ჩემი თავი ადრე,
მხოლოდ,
დიდი ხეების ჩრდილი,
მეტი აღარ მახსოვს.
მერე დაფრთხნენ და
ჩრდილები საკუთარ ხეებზე აცოცდნენ.
ველარ დავამშვიდე მერე მთის ქარებიც.
მთელი სადამო ქროდნენ და ქროდნენ.
ახლა ვდგავარ საპირისპიროდ
და ვდუმვარ.

მე აღარ მახსოვს ჩემი თავი ადრე.
დამავინყდა, შენამდე როგორი ვიყავი.

მსხვილფეხა სახელმწიფო მაურნაოვიდან

ნამუსიც კაი საქონელია,
მსხვილფეხა.
ამტანი.
ჯიშიანი.
ყველაფერს ითმენს —
სიცხეს.
სიცივეს.
ტკივილს,
სიცრუეს...
ზურგის შექცევას,
გადაქცევას,
გადაბიჯებას.
გზის გაგრძელებას მოუხედავად.

ნამუსიც კაი საქონელია —
ცოხნის ბაგაში ხმელ ამბიციებს
და სდუმს...
სდუმს...
არც კი განუხებს.

ნამუსიც კაი ნადირია.
დაგაჯერებს —
ყველა სეზონი ზამთარია.
ზარმაც დათვივით
ამოიტენის პირს სისხლიან,
მსუქანი თათით
და სამუდამოდ თვალებს დახუჭავს.

ნითაი ზონა

„არ გინდა, გთხოვ, მონატრებაზე ლაპარაკი...“

რა მონატრება...
სიცხით გამლვალ ქალაქის ქუჩებს
ხვითქი გადასდის სიჩქარისგან,
რომ არ ჩამორჩეს
გრძელ მართონში ფორთხილა ამ საუკუნეს...

ამოანგრეხი ხის ფანჯრები ძველ კედლებიდან,
მერე მეტალოპლასტმასების უჭაერობით
ადექ, ბოლომდე ამოქოლე შენი ოთახი
და როცა შიგნით ყველა გრძნობა დაიხუთება,
შესაფერისი ნაბიჯებით — აუჩქარებლად,
მიდი შუშასთან და ქვადქცეულ დეკორაციებს
საკუთარ თავით კმაყოფილმა მიაყურადე —

არ ისმის ჩქამიც...

დავსხდეთ და მშვიდად ბარელ ნავთზე ვილაპარაკოთ,
ბევრს რომ ძარღვებში სისხლის ნაცვლად დაუდის
ბლანტად

და გული — ძვირადღირებული ბურლი, თუ პომპა,
ფორმულით გათვლილ დაზუსტებულ შეგრძნებებს
ქაჩავს.

აღარ მომიყვებ ერთი სიტყვაც იმ წიგნის გვერდზე,
სადაც წერია, რომ შენ მიცდი კვეთაზე გზების,
ჩემს შეხებამდე გგონია რომ სიცოცხლე გავა
და მოუთმენლად ჩემს სილუეტს თვალებით ეძებ...
არ გამაგონო! ჩავდოთ ყუთში. შევკრათ ზონარით
და ყუთზე წითლად მივანეროთ:

დუმილის ზონა.
რა მონატრება... სიყვარული... იგაე-არაკი...
მოდი, მსოფლიო კრიზისებზე ვილაპარაკოთ.

ტონალობაზე მწვანე ფერის ვილაპარაკოთ,
მომწვანო ფერის ხმატკაცუნა კუპიურების
ჰოლოგრამებით უკვდავყოფილ პრეზიდენტებზე,
დიდი ქვეყნების ხელოვნურმა დეპრესიებმა
იქნებ როგორმე აგვიჩუყოს მერე გულები...
ჩვენს გაზაფხულს კი (წუთითაც კი არ გამახსენო!),
ჩვენი იანვრის გაზაფხულს კი მოვანყოთ ქვები,
მოვაპირკეთოთ შავად მზინავ მარმარილოთი,
საგულდაგულოდ მოვალაგოთ წყებად და წყებად
და მივანეროთ წითლად:

ზონა დავინწყებისა.
რა მოლოდინი... ერთგულება... რა სავსე მთვარე...
მოდურად კურსის აწევა და დაცემა ვთვალთ.

ჩქამიც არ ისმის.

ხის ფანჯრები შემოილენე.
მარტივ მეტალოპლასტმასების უჭაერობით,
შენს ცხოვრებასაც სათანადო მოუწყე ფართი,
სადაც ზაფხულის სიცხისაგან პირგამშრალ ქუჩებს
ბოშა ქალივით გაუშლია სახლი — კარტები...
მერე დავსხდეთ და ვისაუბროთ პოლიტიკური
დაძაბულობის კერებსა და ეკოლოგიურ
კატასტროფების ზონაში მყოფ აბონენტებზე...
ჰო, რა დროს ჩვენი გრძნობებია,
რა მონატრება —

არ გამახსენო...



მწერალი-წინასწარმეტყველები

ბრიტოლ რობაქიძე წინასწარმეტყველად რომ აღიარებდა ფიოდორ დოსტოვესკის და ამ კუთხით საგანგებოდ შეისწავლიდა თუნდაც მის რომანს „ეშმაკნი“, ამ წიგნის ამიბებზე მინანქრებს თავის რომანში გადმოიტანდა — „ჩაკლული სული“ — და მის იდეურ ბირთვად აქცევდა. ჯერ ისედაც ვინ დაუშლიდა, პერსონაჟისათვის მიეკუთვნებინა თავისი ჩანაწერები, და ახლა სულაც მოვალე ვახლდეთ, რაკილა თამაზ ენგურის პროტოტიპად საკუთარი თავი ეგულისხმება.

მწერლისთვისაც და მისი მთავარი გმირისთვისაც „ეშმაკნი“ — და საერთოდ დოსტოვესკის მხატვრული მემკვიდრეობა — წინასწარმეტყველური წიგნი ვახლდეთ და მხოლოდ უკვირდებოდა, რა უკვე ამხადარიყო და რა ახდებოდა მომავალში.

— მსოფლიოში რუსეთია ის ადგილი, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ისე რომ ოდნავი წინააღმდეგობაც არ შეხვდება.

ინწმუნებოდა დოსტოვესკი და: ეს წინასწარმეტყველება უკვე ახლავს, — ადასტურებდა გრიგოლ რობაქიძე, ისევე, როგორც „შიგალიოვშინაც“ ამიერიდან აღარ იყო გეგმა, რაკილა არსებითად უკვე აღსრულებულიყო:

— შიგალიოვს კარგად უწერია ჯაშუშობაზე. მისი საზოგადოების წევრებში ყველანი ერთმანეთს უთვალთვალებენ, ყოველი წევრი მოვალეა მეორე დაასმინოს.

წინასწარმეტყველნი და რალა ახალი დროის მწერლები, წინასწარმეტყველური მადლითაც რომ აღვსილიყვნენ.

ეს უნარი თავისებურებაა და არა რალაც განსაკუთრებული ღირსება.

უჩვეულო თავისებურება კი არის, რაც მართალია, მართალია.

ლევ ტოლსტოის ხშირად აჯიბრებენ ფიოდორ დოსტოვესკის და სულაც არ მიანიათ, რომ რითიმე ჩამოუვარდება „ანა კარენინას“ შემოქმედი „დანაშაულისა და სასჯელის“ შემოქმედს, მაგრამ წინასწარმეტყველური უნარის მხრივ მათ შეპირისპირებას არავითარი აზრი არა აქვს — ის, რაც ასე გამოკვეთილა დოსტოვესკის თხზულებებში, ტოლსტოისთან ნასახადაც არ მოიპოვება; და ეს მაშინ, როდესაც ტოლსტოიმ მთელი რელიგიური მიმდინარეობაც კი შექმნა, ერეტიკული დოქტრინა ქრისტიანული მოძღვრების წიაღში.

ისე ამ თვალთ საინტერესო იქნება ახალი ჟამის ლიტერატურისათვის მზერის მიმოვლება.

გერმანელთაგან ფრიდრიხ ნიცშე და ფრანც კაფკა აღიარებულიყვნენ წინასწარმეტყველებად.

ამერიკელთაგან — უოლტ უიტმენი. ინგლისელთაგან — ჯორჯ ორუელი.

ჩვენთან? ქართულ მწერლობაშიც თუ მოიძებნებიან ამ უნარით დაჯილდოებულინი?

ილია ჭავჭავაძე აღიარებულიყო წინასწარმეტყველად.

მიხეილ ჯავახიშვილიც.



ეს რთული, მრავალნახნაგოვანი და დრამატიზმით აღსავსე თემა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მაგალითზეც სახიერადაც წარმოჩნდება და გზამკვლევადაც გამოვადგება საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა-განმტკიცების გზაზე.

— ოთარ ჩხეიძე წინასწარმეტყველი იყო, ხილვები ჰქონდა და წერდა, წერდა, წერდა...

ესეც ის ძირითადი თეზისი, რომელიც განზოგადებაა თუნდაც ამ დაკვირვებისა! „ჩემი სავანე“ მომავლის მწარე წინათგრძნობითაც ინერებოდა, გორის გაუქმებული პედაგოგიური ინსტიტუტისა და

ლური ხელოვნებით, ფასდაუდებელი იქნებოდა.

ფასდაუდებელი იქნებოდა ვახუშტი კოტეტიშვილის „აღსარების“ გაშლაც და სწორედაც მონოგრაფიის ქარგაში. ბატონი ვახუშტის მოსწავლეები — სტუდენტებიც და უკვე ლექტორებიც — საიმოვნებით რომ მოიგონებენ ხოლმე მის მასტერკლასებს, ეს ცოდნა და გამოცდილება მთამომავლობისთვისაც იქნებოდა ხელმისაწვდომი...

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს კი არ გასჯიბრებოდა მისი წიგნის სახელწოდების განმეორებით, არამედ იმისებურ თავყვანებას გამოხატავდა ამ ორი სამყაროს მიმართ, აღმოსავლეთი და დასავლეთი რომ ერქვა, და თუ რეალობაში ეგებ მართლაც ვერასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს, მხატვრულ ხილვებსა და წარმოსახვებში შესაძლებელი, ის კი არა — აუცილებელიც ვახლდეთ მათი ურთიერთდაკვეთა.

ასე მოიცავდა ვახუშტი კოტეტიშვილის „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“ სპარსული, ავსტრო-გერმანული და რუსული პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს, დიდ სახელებს, რომელთაგან ზოგიერთი სპარსული პოეტის წინაშე თვით გოეთე მოკრძალებით იხრიდა ქედს. და თუმცა დრამატიზმი სჭარბობდა და მკვეთრადაც სჭარბობდა ამ ანთოლოგიური ყაიდის გამოცემაში, მთარგმნელის იუმორისტული ნიჭი ალაგ-ალაგ კანთიელად იჩენდა თავს და სილალითა და სიხალისითაც განმტყველავდა წიგნის მღელვარე, ჩაპირქუშებულ

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ

ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. ყველა მონაა და ყველას ერთნაირი უღელი ადევს. თუ გაჭირდა, ცილისწამება და მკვლელობა, ისე კი — თანასწორობა.

საგულისხმოა, რომ დოსტოვესკი მართოდენ ზოგადად კი არ გაიაზრებდა მომავალს, ცალკეულ დეტალებსაც ხელშესახებდად ჭვრეტდა და პირდაპირაც აცხადებდა, მეტაფორებისა და სიმბოლოების მოუშეღიებლად.

ბიბლიურ და ანტიკურ წინასწარმეტყველთ მეტაფორული გადმოცემა სჩვეოდათ თავიანთი ხილვებისა, ღმერთსმოკლებულ სინამდვილეს კი თავისი სტილისტიკა მოეტანა და რეალისტურ სურათებად ამჯობინებდა ჩამორიგებას სიზმარ-ცხადის მიჯნაზე გაელვებულნი ნუთებისა.

გინდ რეალისტური ყოფილიყო და გინდ სიმბოლიკაში გახვეული, ვინ იყო მომსმენი და ყოფა-ცხოვრებაში გადმომტანი ან მაშინ და ან ამჟამად: იქნებ მოსალოდნელი დრამატიზმი და სულაც ტრაგიზმი როგორმე ავირიდოთ.

ღიახ, ამ მხრივ რალა ძველი დროის

უფრო აქეთ? თუ „ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედთან უნდა შევწყვიტოთ ყოველგვარი ძებნა?

ის თავი გრიგოლ რობაქიძის რომანში, „ეშმაკნის“ წინასწარმეტყველურ ხილვებზე რომ ამოზრდილა, გვიმუღავნებს, რომ მწერლისათვის მეტად მნიშვნელოვანი ვახლდეთ ამ უნარის არსებობა და, რამდენადაც ვიცნობთ რობაქიძის ფსიქოლოგიურ ნატურას, საკუთარ თავში უსათუოდ დაეძებდა წინასწარმეტყველის თვისებებს, „ჩაკლული სული“ კი „ეშმაკნის“ უშუალო გაგრძელებადაც ესახებოდა ამ თვისებათა გამჟღავნებით.

სად ჰქონდა, თორემ!..

მას კი არა, გაცილებით უკეთეს მხატვარს, კონსტანტინე გამსახურდიასაც არ ახასიათებს წინასწარმეტყველის თვისებანი.

უფრო აქეთ ღირს კი ძებნა-ჩხრეკა? წინასწარვე განწირული ძიებისათვის ანკი ვინ გადადებს თავს, არა?..

თუმცა ასე სრულეობითაც არ ფიქრობს მაკა ჯოხაძე, ვინც დარწმუნებულია, რომ

ახლო მომავალში შუაგულ ქართლში წართმეული უამრავი სოფლის სიმწრითაც, — რომლის ირგვლივაც ადრე თუ გვიან მონოგრაფიული ნაშრომიც შეიკვრება, თორემ ისიც ხომ მოსალოდნელია, რომ მისი ამა თუ იმ რომანის ამიბებზე მინანქრები ახალი თაობის თანამოკალმემ თავისი რომანის სიუჟეტშიც ჩართოს.

არ დაამშვენებს თხრობას თუ რა!..

ილია ჭავჭავაძე — მიხეილ ჯავახიშვილი — ოთარ ჩხეიძე.

ამ გენეტიკური ხაზის არსებობა აქამდეც შეემჩნიათ და აღენიშნათ, მაგრამ აერთიანებდნენ როგორც სატირიკოსებს, საზოგადოებრივ ნაკლოვანებათა დაუფარავად მამხილებელთ. სხვათა შორის, ეს თვისებაც ნიშანდობლივია წინასწარმეტყველთათვის. მაგრამ უმთავრესი, ცხადია, მომავალი ცხოვრების განჭვრეტაა — ზოგადადაც და ცალკეული დანაშრევებითაც, და აი აგერ ამ მხრივაც დასტურდება ამ სამეულის სულიერი ერთობა.

ღიდ არს ძალა მემკვიდრეობითობისაო! — ან თვითონვე იტყოდა ანდა პერსონაჟს ათქმევინებდა მიხეილ ჯავახიშვილი, რალაც ამგვარი ჩანაწერი ხელთ რომ ჩავარდნოდა.

ისე ამ თვალთახედვით კი უნდა დაინხრიკოს საგანგებოდ მისი უბის წიგნაკეზი. ვინ იცის, ეგებ სადმე ჩაინიშნა კიდევ მისი სულიერი მემკვიდრის მოვლინება. ამას ისე ნუხდა და განიცდიდა, შეუძლებელია ხილვა არა სწევოდა!..


ერთი პოეტური თარგმანის საიდუმლო

„აღმოსავლურ-დასავლური დივანის“ შესავალში „მთარგმნელის აღსარება ანუ მხატვრული თარგმანის პარადოქსები“ ვახუშტი კოტეტიშვილი ოდნავ, სულ ოდნავ შეგვიღებდა თავისი ლაბორატორიის კარს.

და ისევე დაგვრჩებოდა გულნაკლულობის გრძნობა მისი ნაკითხვით, როგორც მანამდე ვახტანგ ჭელიძის ასეთივე მოკლე გზამკვლევი დაგვწყვეტდა გულს — იმის შემოქმედებით ლაბორატორიაში შესვლის მსურველთ განა გაცილებით დიდი ტექსტი არ „გვეკუთვნოდა“?..

ის, რასაც მოზრდილი წიგნი უნდა შეედგინა, ახლა ორიოდ მაგალითის მოხმობით ამოინურება.

არადა, ვახტანგ ჭელიძის მთარგმნელობითი პროცესის აღწერა, გადმოცემული მისებური ანალიტიკურ-მწერ-



ფონს, იოსიფ ბროდსკის „ორი საათი რეზერვუარში“ კი სულაც კომიკური ფიორევერკის მხივლელთ ვახვხდით.

„აღსარებაში“ ბატონი ვახუშტი რამდენიმე საიდუმლოს რომ გაგვიმუღავნებდა, თვალსაჩინოებისათვის ამ გრძელი ლექსიდანაც მოიხმობდა ერთ პასაჟს, ლექსისა, რომელშიც:


— ავტორი გერმანულწარევი ჩიქორთული რუსულის ისეთ საოცარ, დიდოსტატურ ეკვილიბრისტიკას გვთავაზობს, რომ მთარგმნელს კი არა, მკითხველსაც კი თავბრუს დაახვევს. აქ ბევრია სიტყვათა თამაში, რომლის თარგმნა, მართლაც, უმადლეს პილოტაჟს მოითხოვს.

რუსული ტექსტის ქართული პნკარედული ვერსია ასე გამოიყურებოდა: ღმერთი ორგანულია. ღიახ. მაგრამ ადამიანი? ადამიანი ალბათ უფრო შეზღუდულია, — მაგრამ იქ ბროდსკის სიტყვათა თამაშით რომ მიეღწია მხატვრული ეფექტისათვის, მათი ქართული შესატყვისები — „ორგანული“ და „შეზღუდული“ — ერთმანეთთან თამაშისა და ლალობის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდნენ. ვერც მათი სინონიმების ძებნას გამოელო სასურველი შედეგი. და ვახუშტი კოტეტიშვილი იძულებული ვახდებოდა გამოეგონებინა ახალი, მანამდე ქართულ ენაში არარსებული სიტყვა და თავის სტვირზე აეთამაშებინა ეს სტრიქონები.

უფალი არის ბუნებრივი. ადამიანი? ადამიანი ალბათ უფრო უნებრივია.

და თავიც გამოედო: რითია დასაწუნე ეს ახალგამომცხვარი სიტყვა? „შეზღუდული“, „უნებისყოფი“, „უნებო“, „უნებრივი“. მე მგონი, ქართულად ჟღერს და ბუნებრივადაც ჯდება ქართული სიტყვებისათვის





ჩვეულ პარტიტურაში. გერმანულნარევი ჩიქორთული რუსულის საოცარი, დიდოსტატური ეკვილიბრისტიკაო...

არადა, მანამდე დიდხანს, დიდხანს უტრიალებდა ამ ლექსს.

კომიზმის, პაროდის, იუმორის, ირონიის სუნთქვა ძალუმად რომ აწვევდა და ეპიგრამებში ხარჯავდა, ენანებოდა ასე უანგარიშო ფანტავა ამ უნარისა და განძობდა, „ორი საათი რეზერვუარში“ მის გასამყლავნებლად საუკეთესო მასალას სთავაზობდა.

ერთი მარჯვე მიგნება, კამერტონის დაჭერა და... კიდევ შეინავრდებდა მისეზური აღმავრენით.

მაგრამ სად იყო ეს მარჯვე მიგნება?! როგორ დაეჭირა ეს კამერტონი?!

და სინანულით ჩაიქნევდა ხელს: არ გამოდის და თან ხომ არ გადავწყვიტო...

უკვე შემთხვევიდან შემთხვევამდეც აღარ ფიქრობდა.

შეგნებულად, გაცნობიერებულად არა, თორემ იქ, სულის სიღრმეში იდუმალად ტრიალებდნენ რუსული სტრიქონები და გამალებით ეძებდნენ ქართულ შესატყვისებს სწორედაც საოცარი, დიდოსტატური ეკვილიბრისტიკის მისალწევად, თორემ სხვაგვარად არ ღირდა — იმ რანგის მთარგმნელისათვის, ვახუშტი კოტეტივილი რომ გახლდათ და პოეტური თარგმანის შედეგები დაეხვავებინა, თუნდ რიგიანი ვერსიის შექმნა ლამის წარუმატებლობად ჩაითვლებოდა.

და, აი, უეცრად...

უეცრად მისი გონებისათვის, თორემ ქვეშეცნეულ, იდუმალ პროცესს თავისი ვალი პირნათლად მოეხადა და ამ რთული ლექსის გასაღები ებოძებინა იმედგადაწურული მთარგმნელისათვის.

ვარ ანტიფაშისტი და ანტიფაუსტი. იპ ლიბე ცხოვრება უნდ აინ ქაოსი. დას ისტ სასურველი, მაინ ოფიცირენ, დემ ცაიტ ცუმ ფაუსტ ცოტა შპაცირენ.

ბრწყინვალეა არა?

თანაც ეს ბრწყინვალეა ერთბაშად გამოიყოლებდა მთელს ლექსს მატარებლის ვაგონებივით და, ვახუშტი კოტეტივილი პოეტური ბურანდიდან რომ გამოერკვეოდა, ეს ამხელა ლექსი გაუმანალებელი ედებოდა მაგიდაზე.

ვერც კი დაიჯერებდა, თვითონ თუ აღმოსაჩენდა კონგენიალური ვერსიის შექმნის უნარი და... საკუთარ თავს შეეხუმრებოდა კიდევ: ნეტა ვინმემ ხომ არ შემომიცურაო!..

თავბრუ დაეხვია მკითხველისათვის იოსიფ ბროდსკის თავისი საოცარი, დიდოსტატური ეკვილიბრისტიკით, და თავიდან — ვახუშტი კოტეტივილისათვისაც, ვინც ბოლოს მაინც არ დაუდებდა ტოლს და ქართულ მკითხველსაც არანაკლებ თავბრუს დახვევდა უმაღლესი პილოტაჟის წყალობით.

ეს სულ იმ პირველი სტროფის დამსახურება გახლდათ, ფესვი გიორგი ერისთავის კომედიებში რომ ჰქონდა. მისი საოცარი, დიდოსტატური ეკვილიბრისტიკა ვერ დაგვიფასებია სათანადოდ, თორემ მხატვრული ეფექტისათვის რუსულ და სომხურნარევი ჩიქორთული ქართულის ისეთი ათამაშება სჩვეოდა, სიცილით ხოცავდა მაყურებელს, და თან... შიშსაც უნერგავდა გულში, თუ სადამდე შეიძლება მისულიყო დარღვეული ენობრივი ცნობიერება.

ერთი ძმაც ყამს რუსეთუმე, ტანცი-მანცი ლავ ლახუმე, ამე თავში არ აქვს ჭკუა, ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!

ღიმილით მღეროდა მიკირტუმ გასპარიჩი და გიორგი ერისთავი ერთსა და ორ ნიმუშს სულაც არ იკმარებდა, რაკილა საზოგადოებას წამდაუნუმ სჭირდებოდა შეხსენება, მოშლილი მეტყველება მოშლილ აზროვნებას რომ განსაზღვრავდა და პიროვნებას აორებდა და ასამებდა, ქაოსში გადავარდნილი საკუთარ თავს რომ ველარც იპოვნიდა.

რა აუცილებელია, ვახუშტი კოტეტივილს უშუალოდ წამოჰგონებოდა გიორგი ერისთავის კომედიებიც და ის პასაჟებიც. ეს კლასიკური ქმნილებანი ისე გაგვჯდომია სისხლსა და ხორცში, მათი სტრიქონების უშუალო გამოხმობა აღარც გვჭირდება, ჩვენი ცნობიერების, ჩვენი სულის განუყოფელ ნაწილად რომ განვიცდიდეთ. მითუმეტეს, როდესაც რალაც მსგავსის ამეტყველებას ვლამობთ ჩვენს ენაზე.

რაც მოედომებინა ბროდსკის, გიორგი ერისთავს უკვე შეესხა ხორცი იმგვარი პოეტური თამაშისათვის და ახლა ვახუშტი კოტეტივილის პოეტურ წარმოსახვასაც ფრთას ჰკრავდა — მიჰყევ და ბოლომდეც გადიო.

ესეც ამ პოეტური მიღწევის მთავარი საიდუმლო.

გავიფიქროვო — მხატვრულ ექსპრესიასა და აღმაფრენას ისე შეინარჩუნებდა, ერთ სტრიქონსაც არ ჩააგდებდა. და დიდოსტატური ეკვილიბრისტიკისას „გარდანიქმანსაც“ — თითქოს და აქ ყოველად შეუფერებელ სიტყვას — ისე მარჯვედ მოიშველიებდა, ოდნავადაც არ გეხამუშებოდა:

მოვლენ, მიდიან, სტუმრეულნი, ფიქრნი, ეშმანი... მოვლენ, მიდიან, მიღუმდიან ნელთა ეყვანნი... სიტყვები, დარი, სამოსელი თუ კაეშანი მიდის ყოველი, რადგან დროა გარდანიქმანი.

და თუ ბროდსკი ელიმილებოდა ფაუსტსაც, მარლოსაც, გოეთესაც და თომას მანსაც, ეს ღიმილი გადაშუქებულყო ქართულ ვერსიაშიც, „კაცით ნიცშე გავხეო“, ესეც რომ იელვებდა და ყოველივე იძირებოდა ჩიქორთულის გერმანულ ამიგბში.

...რა არის მაინც ეს ორი საათით დაყოვნება რეზერვუარში.

და მისი ფესვიც, გიორგი ერისთავის კომედიებში გამომკრთალი, რა არის, არა?! თანაც — თვეების სადარდებელს ორ საათში რომ მოგხსნიდა და შვებით ამოგასუნთქებდა, თორემ ეს ლექსი დარჩებოდა ერთადერთ მარცხად ვახუშტი კოტეტივილის მთარგმნელობით ბიოგრაფიაში, ახლა შედეგრთა შორის რომ დამკვიდრებულა.

სასკენ ნიშანთა ახალი თიორია

ჩანანარეზის ციკლში „ლექსიდან ლექსამდე“ ვახტანგ ჯავახიძე ერთგან ასეთ თვალსაზრისსაც გამოთქვამს:

— ალბათ რომელიმე ლინგვისტი დანერს ოდესმე — „მრავალწერტილი ანას პოეზიაში“.

მეორეგან კი ასეთს: — საჭიროა მეორე შანიძე, უფრო სწო-



რად — ანტიშანიძე, რომელიც „ლოდი, ნასაყდრალის“ საფუძველზე დანერს „ქართული გრამატიკის ახალ საფუძველებს“ და ამ ანტირომანს დაურთავს.

პირველი შეხედულება რეალობაა, მშვენიერი თემა დისერტანტათვისაც, რაკილა ამ სასვენის ნიშნის სიმრავლეს მართლაც ისევე აკისრია გამიზნული ფუნქცია ანა კალანდაძის მხატვრულ ქმნილებებში, როგორც, ვთქვათ, ტირეს — მარინა ცვეტაევასთან.

მეორე შეხედულება — ჰიპერბოლა, მარტოდენ პოეტური დასკვნა, რაკილა ყოველად წარმოუდგენელია ანტიშანიძის გამოჩენაც და „ქართული გრამატიკის ახალი საფუძველები“ დაწერაც საგანგებოდ გურამ დოჩანაშვილის მხატვრულ ქმნილებათა ერთი წყებისათვის — ამ სტილური მანერის არამარტო გამართლების, არამედ აღიარება-დამკვიდრების მიზნითაც.

ჰიპერბოლაცაა და... უფრო კი პოეტური ხუმრობა იმ შემოქმედისა, ვისაც თავის დროზე ძალიან აუმიღვრევდა გულს უპატივცემლობა სასვენის ნიშნებისადმი („გრძნობის დილეგს უწოდებენ და ვნებათა კარცერს, ზოგი ზოგჯერ გაიხსენებს, ზოგი სულაც არ წერს“), და სწორედ ამ განწყობილების საპასუხოდ დაეწერა „ოდა სასვენის ნიშნებისა“ და აღმტაცი სტრიქონები (ჯერ მარტო დასაწყისი რად ღირს: მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს, ვიცი მათი ფასიო) სულაც ამ პანეგირით დაეგვირგვინებინა: მე კი ისე ერთგული ვარ ძველი მონაპოვრის: სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო სასვენ ნიშნებს შორისო.

ძირს სიტყვა, გაუმარჯოს სასვენ ნიშანს! — რალაც ამგვარს უთუოდ გაივლებდა გულში ტარიელ ჭანტურია იმ ოდას რომ ჩაიკითხავდა, და რალაც მახვილონიერულს კიდევ მიადევნებდა.

ხოლო იმ ქებათა-ქების ავტორს შეუძლებელია საგანგებო ყურადღება არ მიექცია, თუ როგორ აქტიურად უერთგულდება გურამ დოჩანაშვილი შევიწროებულ და უგულვებელყოფილ სასვენ ნიშნებს, ალადაც კენდა თავის უფლებებში, დამატებით ფუნქციებსაც დააკისრებდა, ტირესა და დეფიზს წამოახმარდა და უსიტყვო კომბინაციებსაც კი შემოგვთავაზებდა: სასვენ ნიშნებს — ასონიშნების გარეშე, თანაც — ამ ნიშნების მხოლოდ ავტორისათვის გასაგებ მრავალსახოვან კომბინაციებს ანუ გამოცანა-განტოლებებს.

გურამ დოჩანაშვილის ბოლოდროინდელი სტილური მანერა — თავის სასვენ ნიშნებთანა — დიდ მღელვარებასა და შეფიქრიანებას რომ გამოიწვევდა მკითხველებში (გარდა სწობებისა, აღფრთოვანებით რომ შეხვედებოდნენ მის მხატვრულ ექსპერიმენტებს!), ვახტანგ ჯავახიძე მის შესაფასებლად ამ იუმორისტულ ფრაზას იკმარებდა: ანტიშანიძის ახალი საფუძველებიო.

ხოლო ანა კალანდაძე ბოლოდროინდელ ლექსებში პუნქტუაციის ორიგინალურ სახეს რომ გამოიყენებდა: ნაცვლად სამი წერტილისა — ერთ მიმდევსა და ორ წერტილს (.,.), თურმე ბატონი ვახტანგი გაასწორებდა სამ წერტილად... მაგრამ მოგვიანებით, ეტყობა, ინანებდა ასეთ რედაქციულ ჩარევას: არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეციო.

და ამ შეხედულებას ანას მომავალ გამომცემლებსაც გაუზიარებდა და მკითხველის თანადგომის საფუძვლიანი იმედიც გაუჩნდებოდა:

— იქნებ სასურველია არსებობდეს ორი სახეობა: სამი წერტილი წინადადების ბოლოს და ერთი მიმდევსა და ორი წერტილი წინადადებაში — ანა ხომ სამ წერტილს ძალიან ხშირად ხმარობს წინადადებაში ანუ სტრიქონში?!

მაინცდამაინც გრამატიკოსებს რომ არ შეეეჭრათ თავიანთ სამფლობელოში, მხატვრულ ტექსტში ეს — და საერთოდ ამგ-

ვარი ცდები — არამცთუ სასურველი, არამედ — აუცილებელიცაა.

ეს ხომ ანას ქმნილებანია. ასე დაისაჭიროვა?

უნდა აღდგეს მისი ნება და ასეც უნდა დარჩეს ერთხელ და სამუდამოდ.

სხვათა შორის, ეგებ გრამატიკოსებმა მაინც გაითვალისწინონ, რომ მიმდევსა ორი წერტილი მარტოდენ ანა კალანდაძეს კი არ მოეჭრებია, არამედ ხშირად მიმართავენ ამ ორიგინალურ სასვენ ნიშანს ირაკლი ლომოური და რეზო ესაძე: ერთი ბელეტრისტიკაში და მეორე — ლირიკაში.

რა გგონიათ — ესეც, ეს სასვენ ნიშანიც შესაძლოა სამეცნიერო თუ კრიტიკულ-ესთეტიკური ნაშრომის თემად იქცეს...

საგანგებოდაა შესასწავლი ორი წერტილის წამდაუნუმ მომარჯვება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში — როგორც ბელეტრისტულ, დრამატულ, პოეტურ თხზულებებში, ისე ესეისტიკაში. და წერტილი — ოთარ ჩხეიძის ბოლო-



დროინდელ მხატვრულ მემკვიდრეობაში. დიხ, წერტილი — ყოველი სიტყვის შემდეგ, კავშირებისაც კი, რიტმის, მელოდიის გასაძლიერებლად, რაკილა მუსიკალობა მისი სტილური მანერის ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენად წარმოგვიდგება.

საგულისხმოა, რომ მას მაინცდამაინც არ მოსწონდა სასვენ ნიშნების დადგენილი ნორმები, კერძოდ, მიმდევსა გაუთავებელი მოშველიება, რაც სქოლასტიკად მიაჩნდა და საგანგებო სტატიის დაწერასაც აპირებდა მიმდევსისაგან ქართული წინადადების განტვირთვის მოთხოვნით, ამ მხრივ სასურველი რომ გახლდა სასვენ ნიშანთა ევროპული ტრადიცია გაგვეთვალისწინებინა — მიმდევსა თვალს რომ აღარ ღლის თავისი აშკარა ზედმეტობით.

შესასწავლია ფრჩხილების მომარჯვება ნაირა გელაშვილის ბელეტრისტულსა თუ ესეისტურ თხზულებებში. მოგესხენებათ, გრამატიკის კანონების მიხედვით, ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი, რამხელაც უნდა იყოს, შედარებით მეორეხარისხოვანია. და მთავარი წინადადების დასაზუსტებლად თუ შესავსებად არის გამოზნული. თუ ამოაკლებთ, ტექსტის შინაარსს არსებითად არაფერი დააკლდება. ნაირა გელაშვილთან კი პირიქითაა — მისთვის ძირითადი სწორედ ის ფრჩხილებში მოთავსებული ფრაზებია, „მთავარი წინადადება“ კი მის დასაზუსტებლად თუ შესავსებად არის მოხმობილი და, თუკი ამოაკლებთ, თხრობასა თუ მსჯელობას არსებითად არაფერი დააკლდება.

...მაინც ტექსტის მხატვრულობაზე რომ ვამახვილებ ყურადღებას და გრამატიკოსებს ვერიდები.

თუმც, კაცმა რომ თქვას, მოსარიდებელიც რა არის!..

როსტომ ნერეთლისა არ იყოს: ჩაინერონ ეს ყველაფერი და სასვენ ნიშანთა ახალი თეორიაც ის იქნება, კლასიკური ნორმების ფარგალში მოქცეული, ოდონდ სქოლასტიკისა და სტერეოტიპისაგან განტვირთული, თორემ ვილაცამ შესაძლოა ანა კალანდაძის მიმდევსა ორი წერტილი ისევე ასწოროს სამ წერტილად, როგორც ოთარ ჩხეიძის წერტილებიც ამოყაროს დაუნანებლად, ასე უადგილოდ მათი დასმა როგორ შეიძლება. და გურამ დოჩანაშვილის მრავალსახოვანი კომბინაციები თუ გამოცანა-განტოლებანიც ზედ მიაყოლოს.

...ჩვენ კი მერე გინდ ვეძებთ სიტყვები და გინდა არა — სასვენ ნიშანთა შორის ჩასანერად!..

– **გვიმონდა მხოლოდ ცოტა ნიორი და ხახვი. ძალა ამითა უნდა შეგვენარჩუნებინა. ნავი მთლიანად დაიმტვრა მარილიან წყალში. წინსვლა შეუძლებელი იყო და კლდოვან ნაპირზე გაჩერება მოგვიხდა. კლდე ტალღები ურტყამდა და მშრალი ადგილი არ იყო... დამტვრეულ ნავს გზის გაგრძელება არ შეეძლო...**

ასე აღწერს თავის მგზავრობას სინოპიდან კონსტანტინოპოლისაკენ 1654 წლის 16 იანვარს იტალიელი ბერი ქრისტოფორო დე კასტელი.

იგი სამშობლოში ბრუნდებოდა. თითქმის მეოთხედი საუკუნე დაჰყო კასტელის საქართველოში, როგორც მოქალაქე ბერმა, რომის კათოლიკური მისიის რიგითმა წევრმა თურქმენის პროპაგანდის კონგრეგაციის მოციქულებრივმა ლეგატმა.

ეს ერთადერთი კატასტროფა არ ყოფილა, რომელიც იტალიელ ბერს შეემთხვა. მანამდე ორჯერ გადაურჩა ხანძარს, ხოლო კიდევ ერთმა საზღვაო კატასტროფამ მისი საუკეთესო ნახატების ალბომი იმსხვერპლა.

მაგრამ ნაწილი ნახატებისა იმ გემზე არ ყოფილა და გადარჩა, ბერი კი ბერმა სიცოცხლის ბოლო წლებში აღადგინა.

ამ ნახატებით დღემდე მხოლოდ ისტორიკოსები და ეთნოგრაფები იყვნენ დაინტერესებული. ხელოვნებათმცოდნეთა, ხელოვნების ისტორიკოსთა და მხატვართა ყურადღების საგნად ისინი არ ქცეულა. ბერს მხატვრად თითქმის არავინ თვლიდა.

არადა, ის ნახატები, რომლებიც ხანძრებსა და საზღვაო კატასტროფებს გადაურჩა, მას დიდ მხატვართა შორის უმკვიდრებს ადგილს.

კასტელის ნახატების გამოვლენა მიხეილ თამარაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მან მიაკვლია მათ პალერმოში, მან გადაიღო მათი პირველი ასლები და მასვე ეკუთვნის პირველი ცნობა ამ ნახატების შესახებ, რომელიც 1905 წლის 20 დეკემბრით არის დათარიღებული და თამარაშვილისეული ასლების ალბომს ერთვის. ეს ალბომი 1976 წელს გამოსცა ბეჟან გიორგაძემ თავისი ვრცელი გამოკვლევითა და საფუძვლიანი კომენტარებითურთ.

იმთავითვე ასე იყო და დღესაც კასტელი მხოლოდ მოგზაურ მისიონერად ითვლება მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მკვლევართათვის. ბეჟან გიორგაძესაც მთავარი ყურადღება მისი რელაციების ტექსტებზე გადააქვს.

კასტელის რელაციები მართლაც უმნიშვნელოვანესი წყაროა იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოს სინამდვილის შესასწავლად, მისი ცნობებით ვატიკანის არქივში მუშაობისას ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონს უსარგებლია.

თუ სხვა მისიონერები თავიანთ მოხსენებებს – აღწერებსა და დასკვნებს – წერილობითი ფორმით აგზავნიდნენ რომში, კასტელი თავის შთაბეჭდილებებს ნახატებზე ინიშნავდა ალბომში და პატარა წარწერებს ურთავდა. ნახატი მისთვის მთავარი იყო, უფრო მეტი და ზუსტი ინფორმაციისა თუ უფრო მეტი და ზუსტი ემოციის დამტკევი.

– **თვალის ერთი გადავლებით მთელი ამბის დანახვა შეიძლება, მაშინ როდესაც აღწერას მეტი დრო დასჭირდებოდა,** – წერდა კასტელი.

სამოგზაურო თუ მისიონერულ ლიტერატურაში ეს სრულიად ორიგინალური ხედვა გახლავთ, რომლის პრაქტიკული განხორციელება ყველას არ ხელნიფებოდა. მართლაც, ფოტოგრაფიის გამოგონებამდე არც ერთ მისიონერსა თუ მოგზაურს ვიზუალურად ასე ზუსტად და სახიერად არ გადმოუცია თავისი შთაბეჭდილებები, როგორც ეს კასტელის გააკეთა. ნახატების დონესა და ოსტატობის ხარისხზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, კასტელი ამ მხრივ უნიკალური პიროვნებაა ისტორიაში. კი, ცნობილია დევიდ ლივინგსტონისა და ზოგიერთი სხვა მოგზაურის მართლა სამოყვარულო ჩანახატები, მაგრამ მათ არათუ მხატვრული, აღწერილობითი, ინფორმაციული ღირებულება ცნობილად აქვთ და ტექსტის გარეშე არავის არაფერს ეუბნებიან. ცნობილია XVII საუკუნის პოლანდიელი მოგზაურის ნიკოლაას ვიტსენის ნახატები, შესრულებული მისივე წიგნისათვის „მოგზაურობა მოსკოვში 1664-1665 წლებში“, რომლებიც შე-

დარებით განსწავლული და დახვეწილი ოსტატის შესრულებულია, მაგრამ მარტივი პეიზაჟებსა და არქიტექტურას არ სცილდება და მათში თითქმის მთლიანად გამორიცხულია ადამიანი, მით უმეტეს – პორტრეტი.

კასტელის პორტრეტები კი XVII საუკუნის საქართველოს მთელ გაღერეას ჰქმნის.


– **„კოლხეთის ყველა მეფე-მთავრის სურათები მაქვს“**, – მიუწერია კასტელის იმერეთის მეფის გიორგის მისეულ პორტრეტზე.

კასტელის ალბომში ათეულობით ასეთი პორტრეტი: თეიმურაზ პირველი, გიორგი სააკაძე, ნიკიფორე ირბახი, ქართლის მეფე როსტომი – იგივე ხოსრო-მირზა, იმერეთის მეფეები – გიორგი და ალექსანდრე, სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, გურიის მთავრები – მამია, სიმონი, ვახტანგი, მალაქია და ქაიხოსრო,

პაატა ნაცვლიშვილი

ალეოჩენის მოლოდინი

დონ ქრისტოფორო დე კასტელი ახალი თვალთ



აფხაზეთის მთავარი სეტემან შარაშია, მარიამ დადიანი, პოეტი ქალი ვომინიჯა ბერიძე, მხატვარი და მომღერალი ქალი როდია მიქელაძე, პოეტი სულხან აფთხედიაშვილი...

ჩვენთვის დღეს უცნობია ვომინიჯა ბერიძის, როდამ მიქელაძისა თუ სულხან აფთხედიაშვილის ვინაობა და მათი შემოქმედება, თუმცა ყველა ეს პორტრეტი ნატურად უნდა იყოს შესრულებული. სულხან აფთხედიაშვილის სახე კი მოგვიანებით, როგორც ჩანს, შოთა რუსთაველის ცნობილ პორტრეტს დაედო საფუძვლად, თუმცა ძნელი დასადგენია, როგორ და რა გზებით.

კასტელის ალბომების საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ყურადღებას იქცევს მისი არაერთი ავტოპორტრეტი, რომელიც მუდამ ნახატის მეორე პლანზეა და ნაკლებად არის დამუშავებული. აქ უგულვებელყოფილია პორტრეტული მსგავსება და ფიგურაც მხოლოდ ესკიზური შტრიხებით არის გადმოცემული, იმის მიუხედავად, რამდენად დასრულებულია ნახატის მთავარი პლანი.

ასეთია კასტელის ავტოპორტრეტები, როცა იგი ყურადღებით უსმენს ვინმეს, ჩანახატებს აკეთებს ან ავადმყოფს სინჯავს. ამ ავტოპორტრეტებში კასტელის ყოველდღიური ცხოვრება და ღვაწლია აღბეჭდილი.

დასავლეთ საქართველოში კასტელის მოღვაწეობის ერთი ყველაზე საინტერესო ხაზი ელენე ათაბაგს – შემდგომში სპარსეთის დედოფალს უკავშირდება. ამკარაა, რომ ამავდროულად ხაზის ნაწილია მონაზონი ქრისტინე, რომლის პორტრეტები და ტექსტები კასტელის ალბომშია შესული.

მიხეილ თამარაშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ წერს, როგორ მოინდომა გამაჰმადიანებულმა ათაბაგმა სულთნის თვალისთვის განერიდებინა თავისი უღამაზესი ასული ელენე და რო-

გორ ჩაბარა იგი მალაქია კათალიკოსს, როგორ მიიღო მან კათოლიკობა მისიონერთაგან და როგორ იქცა მის სულიერ წინამძღვრად პატრი ქრისტოფორო.

თურქეთის სულთნის თვალსა და ყურს კი დაუმალა ათაბაგმა ქალიშვილი, მაგრამ სპარსეთის შაჰისას – ვერა. წლების შემდეგ სპარსეთის მსტოვარმა მას ლევან დადიანის კარზე მიავგო.

ელენე ათაბაგმა მასთან ჩასულ კასტელის გული გადაუმალა და შესჩვილა:

– **მამაო, იციო, თქვენ პიროვნებას როგორ პატივს ვცემ. თქვენ გარეშე ჩემი სული საშიშროების წინაშე დგას, რადგან მთავარი ლევანი სპარსეთის შაჰის შვილიშვილის შაჰ-სეფის საცოლედ მაგზავნის... ჯვარცმულისადმი იმ სიყვარულის გამო, რომელსაც ბავშვობიდანვე მასწავლიდით, გაფიცებთ და გვევდრებით, სპარსეთში გამოწყევით, რადგან იქ გამგზავრებას მაიძულებენ.**

ტიფიკაციასაც მიმართავს.

ერთ მშვენიერ დღეს დედოფალი ელენე წერილს ლეზულაშვილს საქართველოდან, რომელსაც ხელს მონაზონი ქრისტინე აწერს. დედოფალი ხვდება, რომ მამა ქრისტოფორო ასეთი ფორმით ცდილობს მის გამხნეებას.

დედოფალი კი ხვდება, მაგრამ სხვა, სამწუხაროდ, დღემდე ვერავინ მიხვდა, რომ ცოდვილი მონაზონი ქრისტინე, ქრისტოფორო დე კასტელის ალტერეგოა, მის მიერ გამოგონილი „ცოცხალი ფსევდონიმი“, რომელიც, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ელენე დედოფალთან კავშირისათვის სჭირდება, მეორე მხრივ კი ყოველივე იმის გამოსახატავად, რისი უფლებაც რომის ეკლესიის მოციქულებრივ ლეგატს, წესით, არ უნდა ჰქონოდა.

ბეჟან გიორგაძე მონაზონ ქრისტინეს შესახებ წერს:

– **„კათოლიკობაში მოქცეული და შემონაზონებული ქართველი ქალის ქრისტინეს ვინაობა ჩვენთვის უცნობია. დე კასტელის ერთ ნახატში იგი წარმოდგენილია რომის პაპის ურბანო VIII-ის ფერხთა წინაშე მუხლმოდრეკილი. დე კასტელის ალბომით ვიგებთ, რომ იგი ავტორია რამდენიმე ლოცვისა, რომელნიც რელიგიურთან ერთად ყურადღებას იქცევენ ეროვნული გრძნობის გამოხატულებით. მათ მთავარ მოტივად გასდევს ვედრება ღვთისადმი, რომ მტრისგან იხსნას საქართველო. ქრისტინე სპარსეთის დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში ამქვეყნიურ წარმავლობასა და სულიერ სიმტკიცეზე ესაუბრება, რამდენადაც სპარსეთის დედოფალი მესხეთის ათაბაგის ქალიშვილი ელენე იყო, რომელსაც მკაცრადაც უსაყვედურებს და ურჩევს, მიატოვოს სოფლის ამოება და შეუდგეს ქრისტეს მოღვაწეობას“.**

განა რა ისეთი ფიგურა იყო ეს „უცნობი ქართველი ქალი ქრისტინე“, რომ მკაცრად უსაყვედურებს სპარსეთის დედოფალს ან თუნდაც ათაბაგის ასულს? ან განა რა ისეთი ფიგურა იყო ეს „ცოდვილი მონაზონი ქრისტინე“, რომ რომაპას მიუღია რომში და დაულოცავს?! ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ რომაპასის წინაშე მუხლმოდრეკილი სწორედ ქრისტოფორო კასტელია იმ სურათზე და არა ვირტუალური მონაზონი. ქრისტინე სწორედაც რომ ქრისტოფოროა, ხოლო მისი ის ლოცვები და ქადაგებანი, კასტელის წიგნში რომ არის შეტანილი, თავად კასტელის ლოცვები და ქადაგებანია.

ბოლოსდაბოლოს „თავად“ ქრისტინეს წერილშია ყველაფერი გამოფრული, მხოლოდ დაკვირვებით ნაკითხვია საჭირო:

– **„მე, და ქრისტინე (როგორც უკვე ვითხარი) ვწერ და ვხატავ ჩემს ამდენ შრომას, რათა ჩვენი სარწმუნოება მომავალი მისიონერებისათვის სარწმუნო გახდეს“...**

მეტი რაღა უნდა თქვას კასტელი, მეტი რაღა უნდა ათქმევინოს ქრისტინეს – ქალადქცეულ ქრისტეფორეს, რომ მიგზვდეთ: „უცნობი ქართველი მონაზონი ქალი“ თავად ის მისიონერია, რომელიც მომავალი მისიონერებისათვის ამდენს „წერს და ხატავს“. ხატავს!

სახელის შეცვლაც რომ არ დასჭირვებია: ქრისტოფორო – ქრისტინე.

არ არის გამორიცხული, რომ კასტელი მანამდე ამოეფარა ფსევდონიმს, სანამ მას ეს ელენე ათაბაგის ასულთან მიმონერისას დასჭირდებოდა. ბერი მხატვარი უფრო შორსაც მიდის: კასტელი თავის ფსევდონიმს „ხორცი შეახსა“ – არაერთი გამოსახულება შექმნა „მონაზონ ქრისტინესი“: „ჯვარცმავზე მტირალი ქრისტინე“, „ღრმად მსასოებელი მონაზონი ქრისტინე“, „ქრისტეს განცდებზე ექსტაზში მყოფი ქრისტინე“, „მტირალი ქრისტინე“, „გულმხურვალედ მლოცველი მონაზონი ქრისტინე“...

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გამოგონილი ქართველი მონაზონი იტალიელი ბერის გაორების დასტურია, სახელში და სახეში გაცხადებული. ამ სახესა და სახელს კასტელი მაშინ ირგებს, როცა თავისი ნამდვილი სახითა და სახელით მოქმედებდა არ შეუძლია. არ არის გამორიცხული, სპარსეთის ქართველი დედოფლისა თუ საქართველოსათვის მხურვალე ლოცვის ექსტაზში იგი მართლა გარდაისახებოდა ქართველ მონაზვნად.

ამ დროს რომაპასის ლეგატი ალბათ გარედან უყურებდა მხურვალედ მლოცველ მონაზონს და ქალადღე გადაჰქონდა

ნანახი.
 მის ლოცვებს მთავარ მოტივად გასდევს ვედრება ღვთისადმი, რომ მტრისგან იხსნას საქართველო, — ბეჟან გიორგაძე წერს.
 ამადაც მოხდა ქრისტოფოროს მეტამორფოზა ქრისტიანად, ამადაც სჭირდებოდა კასტელის „მტირალი და მოქვიტინე ცოდვილი დაი“: მისიონერი, რომელსაც კონკრეტული დავალება ჰქონდა საქართველოში, ასე გახსნილად და პირდაპირ, თანაც წერილობით ალბათ ვერ შესთხოვდა ღმერთს საქართველოს დახსნას მტრებისაგან და ვერც თავის ლოცვებსა თუ ქადაგებებს განმსჭვალავდა ესოდენი „ეროვნული გრძნობის გამოხატულებით“, რასაც აკაკი ბაქრაძე აღფრთოვანებულად მოუყვანია. აი, რას წერს იგი ქრისტიანზე 1979 წელს დაწერილი თავის წერილში „დონ ქრისტოფორო დე კასტელის ნახატების თვალთვლიერებისას“:

„ეტყობა, ამ ქალის ღრმადმორწმუნეობა იტალიელ მისიონერებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, რადგან კასტელის ბევრჯერ ჰყავს ის დახატული და თან სურათებს მრავლად ახლავს წარწერებიც. ჩანს, არ უნდოდა იტალიელ ბერს დაეკარგა ამ ქალის ქადაგების არც ერთი სიტყვა, რამეთუ იგი ქართველთა გამოფხიზლების სანიღრად მიაჩნდა.“

ყველაფერი ზუსტად არის ნათქვამი, გარდა იმისა, რომ „დაი ქრისტიანე“ გახლავთ ძმა ქრისტოფორო, რომელიც უკვე იტალიაში დაბრუნებული იტყვის, მთელი 26 წლის მანძილზე საქართველო ჩემი სატრფო იყო.

პირველად კასტელის ნახატების რეპროდუქციები მიხილ თამარაშვილმა გამოაქვეყნა წიგნში „ქართული ეკლესია“.

კასტელის 18 ნახატი ლევა ასათიანმა დაბეჭდა არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ მეორე გამოცემაში 1938 წელს.

კასტელის ნახატების რეპროდუქციები აქვთ გამოყენებული საქართველოს შესახებ გამოცემული თავიანთი წიგნების საილუსტრაციოდ ცნობილ ქართველოლოგებს უილიამ ალენსა და დევიდ ლენგს.

იმის მიუხედავად, რომ კასტელის შესახებ გამოცემული ყველა წიგნი ილუსტრირებულია მისივე ნახატებით, ხოლო ორი გამოცემა — ერთი ქართული და ერთი იტალიური — სულაც ნახატების აღბოძრებს წარმოადგენს, იგი ჯეროვნად არ არის შეფასებული, როგორც მხატვარი. ეს შეფასება არ გაცხილებია მიხილ თამარაშვილის კომპლიმენტარულ ფრაზას — „სხვათაშორის ეს იყო შესანიშნავი მხატვარი“ და ლუდმილა ხრუშკოვას ამგვარივე კომპლიმენტს — „ამ ნიჭიერმა მხატვარმა ასობით ნახატი დაგვიტოვა“. ხოლო კასტელის ნახატების ყველაზე სრული გამოცემის შემდგენელმა ესეც არ გაიმეტა და თავის გამოკვლევაში მას თვითნასწავლი მოყვარული უწოდა:

— ცხადია, კასტელი პროფესიონალი მხატვარი არ იყო და მისი ნამუშევარი არ შეიძლება იმაზე მეტად შევაფასოთ, ვიდრე თვითნასწავლი მოყვარულისა.

ბეჟან გიორგაძის ეს დამოკიდებულება კასტელისადმი, როგორც მხატვრისადმი, მის მიერ ნახატების პრეზენტაციაშიც აისახა — გიორგაძისეულ გამოცემაში დედის ორგვერდიანი კომპოზიციები ხშირად დაშლილია და ცალ-ცალკეა დაბეჭდილი, არცთუ იშვიათად არეულია ნახატების ორიენტაცია, შემთხვევითია მათი თანმიმდევრობა და ურთიერთგანლაგება, მდარეა რეპროდუქციების ხარისხი, ნახატების უმეტესობა ტლანქი რეტუსითაა შერყენილი.

შუადარებლად უკეთ არის წარმოდგენილი კასტელის ნახატები სალვატორე პედონეს მიერ შედგენილ ალბომში, მაგრამ აქაც აშკარაა, რომ საქმე გვაქვს არა მხატვრის, არამედ მისიონერის ალბომთან, სადაც ავტორის ნახატები მხოლოდ დამხმარე ილუსტრაციის როლს ასრულებს.

არადა, თვითნასწავლი მოყვარული კი არა, კასტელი უდიდესი პროფესიონალი მხატვარია, რომლის ხატვის ტექნიკა და კომპოზიციის გრძობა ყველა ქვეყნის ყველა დროს საუკეთესო მხატვრებისას არაფრით ჩამოუვარდება. ბევრ შემთხვევაში კასტელის შტრიხსა და მის მიერ უაღრესად ძუნწი გამომსახველობითი საშუალებებით გადმოცემულ ხასიათსა თუ მოძრაობას გენიალურობის ნიშანი აზის.

კასტელის, როგორც მხატვრის მაღალ პროფესიონალიზმსა და უაღრესად დახვეწილ ოსტატობას პირველად ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ვახტანგ რურუამ მიაქცია ყურადღება. ჩემი ინტერვიუც მან აღძრა კასტელისადმი, ახალი თვალთვლით მან დამანახა იგი და მასზე სამუშაოდაც მანვე შემავალიანა რამდენიმე წლის წინათ. 1978-1980 წლებში ვახტანგ რურუამ მუშაობდა სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტზე ნიშანდობლივი სათაურით — „მხატვარი დონ ქრისტოფორო დე კასტელი“, რომლის განაცხადში იგი არგუმენტირებულად ამტკიცებდა, რომ კასტელი, პირველ ყოვლისა, მხატვარი იყო, თანაც დიდი მხატვარი და შემდეგ — ყველაფერი დანარჩენი. სამწუხაროდ, ჩანაფიქრის რეალიზაცია ვერ მოხერხდა, მაგრამ ბევრი რამ, რისი თქმაც მაშინ ვახტანგ რურუას ფილმით სურდა, ნათქვამი იქნება კასტელის ალბომში, რომელსაც იგი ახლა ამზა-



ვებს გამოსაცემად. დარწმუნებული ვარ, ეს ალბომი კასტელის ისეთივე აღმოჩენა იქნება, როგორც ფიროსმანის აღმოჩენა იყო ვახტანგ რურუას მიერ მომზადებული „ნიკო ფიროსმანაშვილის 100 კვადრატი“.

კასტელის შემოქმედების, მისი მხატვრობის საფუძვლიანი გაცნობა და შესწავლა ბადებს მისი ადგილის მონიშვნის აუცილებლობას მისი დროის იტალიურ მხატვრობაში და სახვითი ხელოვნების ისტორიაში საერთოდ.

თუ ევროპის სხვა ქვეყნებში XVII საუკუნე წინა საუკუნეებზე უფრო მდიდარი იყო დიდი სახელებით, ამას ვერ ვიტყვით იტალიურ სენჩენტოზე. ლეონარდოს, მიქელანჯელოსა და რაფაელის ეპოქა წარსულში დარჩა. ხელოვნებათმცოდნეთა საერთო აღიარებით, კარავაჯო, რომელიც 1610 წელს გარდაიცვალა, უკანასკნელი დიდი იტალიელი მხატვარია. ბუნებრივია, ამ უდიდეს მხატვართა გარდა, იტალიაში იყვნენ სხვა მეტ-ნაკლებად სახელოვანი მხატვრები, რომელთა ნამუშევრებით ნებისმიერი მუზეუმი იამაყებს და ამასობს კიდევ, მაგრამ XVII საუკუნის იტალიელ მხატვართა შორის საერთოდ არ იხსენიებენ ქრისტოფორო კასტელის. არადა, ამ საუკუნეში იგი ალბათ ყველაზე დიდი იტალიელი მხატვარია კარავაჯოსა და ანიბალე კარაჩის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, არაფრით ნაკლები, ვიდრე, ვთქვით ანდრეა დელ სარტო ან აგოსტინო კარაჩი.

კასტელის, როგორც მხატვრის „უბედურება“ ის იყო, რომ მხატვრობის გარდა, მას სხვა პროფესიებიც ჰქონდა და თანამედროვენიც და შთამომავლებიც მას, უპირველეს ყოვლისა, მისიონერად, ბერად, ქადაგად, რელიგიონისტად აღიქვამდნენ. არადა, მხატვრები, რომლებიც იტალიური სახვითი ხელოვნების ისტორიაში XVII საუკუნეს წარმოადგენენ — იგივე აგოსტინო კარაჩი ან დომენიკინო, გვიდო რენი ან ჯოვანი ბენედეტო, სტეფანო დელა ბელა ან სიმონე კანტარინი, ერკოლე ბაზიკულა-

ვა ან ჯოვანი ბარბიერი, მიქელანჯელო მარულო ან ჯოვანი ბალიონე, აგოსტინო ტასი ან ბერნარდო სტროცი, ძმები კანტაგალინი ან სხვები არაფრით კასტელიზე მეტი არ არიან, თუ მეტობად იმას არ ჩავთვლით, რომ მათ მხატვრობის გარდა სხვა რამ საქმე არც ჰქონიათ და არც უკეთები-

ათ. თუ დღემდე ითვლებოდა, რომ XVII საუკუნის იტალიური მხატვრობა სამ დიდ სახელზე იდგა — ანიბალე კარაჩი, კარავაჯო და ბერნინი, კასტელის მხატვრობის ახალი თვალთ შეფასების შემდეგ შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ამ სამ აღიარებულ სახელს მეოთხე დიდი სახელიც უნდა დაემატოს — ქრისტოფორო დე კასტელის სახელი.

შეიძლება ითქვას, რომ კარავაჯო კი არა, სწორედ ქრისტოფორო დე კასტელი გახლავთ უკანასკნელი დიდი იტალიელი მხატვარი.

მერე რა, რომ მას დიდი ტილოები არ შეუქმნია, მერე რა, რომ მას არ მოუხატავს ტაძრები რომსა და ფლორენციაში, მერე რა, რომ მისი ნამუშევრები არ ამშვენებენ ვატიკანსა და უფიცის, — მას სხვაგვარი გზა ჰქონდა გავლილი, როგორც ადამიანსა და როგორც მხატვარს: შეგნებულ ცხოვრების დიდი ნაწილი, მეოთხედი საუკუნე, მან არათუ იტალიაში, ევროპიდანაც მოწყვეტილმა გაატარა, სადაც არც დიდი ტილოების შექმნის შესაძლებლობა ჰქონდა იგი იაპონიისაკენ მიიღტვოდა, მისგან დამოუკიდებლად სამოღვაწეო ასპარეზად საქართველო ერგო. და მანაც უსაზღვროდ შეიყვარა ეს ქვეყანა. ხოლო დიდი მხატვარი თავის თავში კასტელიმ ბერის სამოსითა და რიგითი მისიონერის რელიციებით დაფარა. მისი ტექსტები, თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული კუთხით, მით უმეტეს — საქართველოსთვის, ახლოსაც ვერ მოვა იმ მსოფლიო მასშტაბის შედეგებთან, რომლებიც ამ ტექსტებს ერთვის, თუ რომლებსაც ეს ტექსტები ერთვის.

ჯერჯერობით კასტელის არც ერთი გამოფენა არ გამართულა, არც ერთი მისი ნამუშევარი არც ერთ მუზეუმს არასოდეს გამოუფენია, იტალიური ხელოვნების ისტორიაში, თუნდაც ყველაზე დანერგვით, მისი სახელი არასოდეს უხსენებიათ. არადა, XVII საუკუნის იტალიელ მხატვართაგან თუ ვინმე აგრძელებს იტალიური ალორძინების ტრადიციებს, თუ ვინმე ოსტატობისა და დიდოსტატობის ხარისხით მეტ-ნაკლებად ჩამოჰგავს ლეონარდოს, მიქელანჯელოს ან რაფაელს, ეს — სწორედ კასტელია.

დღეს ძნელი სათქმელია, იცნობდა თუ არა კასტელი კარავაჯოს შემოქმედებას. იმის მიუხედავად, რომ სწორედ XVII საუკუნეში გაჩნდა მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა ნახეტი ნიგნი თუ გაზეთი, ეს იყო პერიოდი, როცა არც მასობრივი კომუნიკაცია იყო და არც გამოფენები იმართებოდა, მხატვრები ერთმანეთის შემოქმედებას ნაკლებად იცნობდნენ და უმეტეს შემთხვევაში მათი ინფორმირებულობა ერთი ქალაქის ან ერთი სკოლის მასშტაბით შემოიფარგლებოდა. მით უმეტეს ბერისთვის, რომელიც ადრევე მოწყდა მშობლიურ გარემოსაც, მშობლიურ ქალაქსაც, მხატვართა წრესაც და მხო-

ლოდ სიცოცხლის მიწურულსა და უბრუნდა ერთსაც, მეორესაც და მესამესაც.

მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოში გამოჩენილი მხატვრებამდე კასტელი მხატვართა წრეში ტრიალებდა, ექვს არ იწვევს. მხატვრობაში ჩახედული ნებისმიერი ადამიანი მისი ნახატების ზერეულ გადათვალიერებითაც ადვილად მიხვდება, რომ კასტელის სერიოზული სამხატვრო სკოლა აქვს გავლილი. არათუ თვითნასწავლი, იგი ღრმად განსწავლული მხატვარია, რომელიც კარგად იცნობს სახვითი ხელოვნების თეორიასაც და პრაქტიკასაც, იცის პერსპექტივის კანონები, სრულყოფილად ფლობს ადამიანის პორტრეტისა და ფიგურის ხატვის ხელოვნებას, იმდენად, რომ სულ რამდენიმე უზუსტესი შტრიხით ახერხებს ადამიანის მოძრაობისა თუ განწყობილების გადმოცემას. ზოგიერთ მის ნახატში ის დამხმარე ხაზებიც ჩანს, რომელსაც პორტრეტისა თუ ფიგურის აგებისას არასოდეს იყენებენ თვითნასწავლი მხატვრები და რასაც მხოლოდ სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებში ასწავლიან სპეციალური მეთოდით.

კასტელის ოსტატობა არ არის მხოლოდ ღვთით მომადლებულ ნიჭზე დაფუძნებული ფლობა ხაზისა, როგორც ვთქვით, ნადია რუშევასთან ან რუსუდან ფეტვიას ვილთან, ეს მრავალწლიანი შტუდირების, ხატვის აკადემიური კურსის კარგად ათვისების შედეგია.

თუმცა უეჭველია კასტელის მაღალი ნიჭიერება, მას კარგი პედაგოგები უნდა ჰყოლოდა, კარგი სამხატვრო განათლება უნდა მიეღო და კარგი პრაქტიკული გამოცდილება შეეძინა ახალგაზრდობაში. სხვაგვარად ასე პროფესიონალური არ იქნებოდა მისი მრავალფიგურიანი კომპოზიციები, ასე ზუსტად არ იქნებოდა ერთმანეთისგან გამიჯნული მთავარი და მეორეხარისხოვანი.

სავარაუდოდ, კასტელი უნდა იცნობდეს ბრწყინვალე ოსტატ არჩიმბოლოდოს შემოქმედებასაც. ამას გვაფიქრებინებს ცხოველების რამდენიმე მისეული ჩანახატი და ბოსტნეულისა თუ ხილის პორტრეტული ტრანსფორმაციები. უნდა იცნობდეს იგი აგრეთვე წინა საუკუნის მანერისტი მხატვრის ჯაკოპო პონტორმოს შემოქმედებას, რომელსაც დიდებული ნახატები აქვს.

მაგრამ კასტელის ნახატებს უფრო მეტი აქვთ საერთო ლეონარდოს, მიქელანჯელოს, რაფაელის, დიურერის ნახატებთან და, როგორც სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები და არა როგორც რელიციოზა და მხატვრული ნიჭი, ისინი სწორედ დიდი ევროპული მხატვრობის კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ამასობაში ლამის მეოთხედი საუკუნე მიილია, 22 წელიწადი. კასტელი საქართველოში 1632 წლის 7 ივლისს ჩამოვიდა და 1655 წლის ზაფხულში უკან დაბრუნდა ვენეციაში. სამშობლოში 58 წლის დაღლილ და სწულ მისიონერს კიდევ უფრო დაღლილი და კიდევ უფრო სწული დედა ელოდა.

იტალიაში დაბრუნებას კასტელი ღმერთის დიდ წყალობად თვლიდა. მისიონერთა უმეტესობა საქართველოში მიიქცავა. მხოლოდ კასტელისა და ლამბერტის გაულიმა ბედა და მათ სამშობლოში დაბრუნების უფლება მიიღეს.

რა გაჭირვებით და რა დანაკარგით ჩააღწია კასტელი სამშობლოში, ჩემი ამ წერილის დასაწყისშივე ჩანს.

შთამომავლობას კი დიდმა მხატვარმა ანდრეოვიტო დაუტოვა შემდეგ სიტყვები:

— საცოდავმა მოხუცმა ავადმყოფმა დავენერე და დავხატე ის, რაც უფალმა მომცა აღმოსავლეთში. ნულა დაჰკარგავთ ამას, არამედ იზრუნეთ მის შენახვაზე...

იტალიას, და არა მარტო იტალიას, ჯერ კიდევ წინ აქვს ამ დიდი მხატვრის აღმოჩენის სიხარული.

სურათი 36 — დონ ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი: „მისიონერთა თავშესაფარში კასტელი ხალხს აჩვენებს თავის ნახატებს“; „ღრმად მსასოებელი მონაზონი ქრისტიანი“.

მწერალი

ნინო ხარატიშვილი

უცნაურია, მაგრამ გერმანიაში უკეთ იცნობენ, ვიდრე მშობლიურ საქართველოში. ნინო ხარატიშვილმა უკვე მოახერხა გერმანელი მკითხველისა და მკაცრების გაოცება. მისმა პირველივე ნაშრომებმა თეატრალური საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. პიესა სახელწოდებით „Z“, რომელიც 26 წლის დრამატურგმა და რეჟისორმა ჰამბურგის თეატრის აკადემიაში სწავლისას დადგა, არაერთ ფესტივალზე მიიწვიეს. ამას მოჰყვა შემდგომი პიესები და ნარმატივები. 2010 წელს გერმანული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ადალბერტ-ფონ შამისოს პრემია გადასცეს. იმავე წელს გამოვიდა მისი პირველი რომანი „ჟუჟა“, რომელიც წლის საუკეთესო წიგნების ოცეულში შევიდა, 2011-ში კი საუკეთესო დებიუტისთვის Budenbrookhaus-ის პრიზი დაიმსახურა.

2011 წელს გერმანელმა მკითხველმა ნინოს მეორე რომანი — ჩემი ნაზი ტყუპის-ცალი“ იხილა, რომელმაც ასევე პრესტიჟული Buchpreis-ის პრემია მოიპოვა. მის შემოქმედებას გამოეხმაურნენ ნამყვანი გერმანული მედიასაშუალებები. ამ ფონზე ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში გამეფებული დუმილი (თუ თითო-ორი პატარა სტატიას არ ჩავთვლით) ოქროდ ნამდვილად არ ფასობს. ცოტა ხნის წინ ნინო ორიოდე კვირით სტუმრობდა თბილისს — სამეფო უბნის თეატრში თავისივე პიესა — „ლივ შტაინი“ დადგა და პრემიერას თამაშობდნენ. ამ ფაქტით ვისარგებლე და თავის შემოქმედებაზე გავესაუბრე.

— უპირველესად, შენს თავზე გვიამბე. ვინ არის მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი ნინო ხარატიშვილი და როგორ აღმოჩნდა გერმანულ ლიტერატურაში?

— ბავშვობიდან ვწერდი, თუმცა არ მიფიქრია, რომ ეს ჩემი მთავარი პროფესია გახდებოდა. პირველი პიესა სკოლაში დაგწერე, ადგილობრივი დასისთვის. ამ საქმიანობას თეატრალური ინსტიტუტშიც ვაგრძელებდი, სადაც კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, თუმცა სერიოზულად არც მასში მოვკიდებივარ. მხოლოდ გერმანიაში მივხვდი, რომ ეს საქმიანობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ჰობი. მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც დიდი ფიქრის შემდეგ ჩემი პიესის დადგმა გადავწყვიტე. თავიდან გაუკვირდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც უამრავ ფესტივალზე მიგვიწვიეს, ყველა კმაყოფილი დარჩა. მერე უკვე უჯერიდან დანარჩენი პიესებიც ამოვალაგე, რომელთაც მანამდე გასართობად ვწერდი. სხვათა შორის, სრულიად უპრობლემოდ დავბეჭდე. ხმაურიანი დებიუტის შემდეგ გამომცემლები თავად მიკავშირდებოდნენ. რომანს რაც შეეხება, აქ უფრო რთულად იყო საქმე. ძალიან გამიჭირდა გამოცემა, რადგან იქ თეატრისა და ლიტერატურის სამყარო დაყოფილია და ჩემი თეატრალური ნარმატივა არაფერს წყვეტდა. დიდი ხნის განმავლობაში „ჟუჟას“ ხელს არავინ ჰკიდებდა. ბევრი დაიბნა, ვერ გაიგეს რა ჟანრი იყო. სამწლიანი ძებნის შემდეგ (რომანი 2006-ში დაინერა) მივაგენი „ბანდიტების გამომცემლობას“ (Verbrecher Verlag), რომელმაც გარისკა და ეს ტექსტი დაბეჭდა.

— არაორდინარული სახელწოდება აქვს. რა ტიპის გამომცემლობაა?

— მემარცხენე მიმართულების ანდერგრაუნდული გამომცემლობაა, რომელიც ხარისხიან, თუმცა ნაკლებად კომერციულ ლიტერატურაზე მუშაობს. „ჟუჟას“ დიდი გამომხმარებელი მოჰყვა, რაც გამომცემლობისთვისაც მოულოდნელია აღმოჩნდა. ძალიან კარგი რეცენზიები დაიწერა და გერმანიის მთავარი ლიტერატურული პრემიის ოცეულში შევიდა. ამის შემდეგ გზის გაკვლევა აღარ გამჭირვებია.

— რამდენად მოულოდნელი იყო ასეთი გამომხმარებელი მკითხველისა და კრიტიკის მხრიდან?

— ნამდვილად არ ველოდი. ყველაზე მეტად გამიხარდა, რომ, როგორც იქნა, მკითხველი ჩანდა რომანის რეალურ არსს. ამაში ვადასმენევი რომელი კრიტიკამ ითამაშა. „ჟუჟას“ ერთ-ერთი ნამყვანი თემა თვითმკვლევლობაა, რის გამოც დუბრისიულ ტექსტად მიიჩნიეს, ამ ტიპის ნაწარმოებებს კი ბევრი ერიდებოდა. მას შემდეგ, რაც დაინერა, რომ ავტორისთვის მთავარი ლიტერატურაა და არა სუიციდი, ეს ბარიერი მოიხსნა და ინტერესიც გაჩნდა. საერთოდ, მწერლობაზე ცოტა სხვა წარმოდგენა მქონდა. მეგონა, ხელნაწერს ჩავაბარებდი, დაიბეჭდებოდა, უკეთეს შემთხვევაში, დაინერგებოდა რეცენზია და საქმე ამით დამთავრდებოდა. რეალურად კი მიკროსკოპის ქვეშ აღმოვჩნდი, სადაც პუბლიკა გამადიდებელი მინით მაკვირდებოდა. გამუდმებული რიდი მკითხველი, ლიტერატურული სალაშქროები, ჟურნალისტებთან ურთიერთობა... ამ ყველაფერს შეუჩვევლი ვიყავი, რადგან თეატრში ძირითადად კულისებში ვიდექი, ლიტერატურაში კი თავად აღმოვჩნდი სცენაზე. ამან ცოტა დამაბნია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა, მათ შორის, ურთიერთობა გამომცემლებთან. მეორე რომანის შემთხვევაში გაცილებით დიდი არჩევანი მქონდა. აგენ-

ტიც გამოჩნდა და კომერციული მხარეც გავითვალისწინე. ერთ-ერთი საშუალო სიდიდის გამომცემლობა შევარჩიე, რომელიც თავის ავტორებს მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო კარგი რედაქტირება — დამახასიათებელი ენობრივი თამაშები მაქვს და თუ



რედაქტორი არ ამყვია, არაფერი გამოვა.

— ერთმა გერმანელმა კრიტიკოსმა „ჟუჟა“ „მარტოხელა ქალთა გამყინვარების ხანა“ მონათლა, მეორემ მთავარი გმირის სახელების მიხედვით „ახალგაზრდა სარეს ვნებანი“ უწოდა. რეალურად რაზეა ეს რომანი და რამდენად არის გენდერულ თემაზე დაწერილი ტექსტი?

— წიგნს საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი, რომელიც შემთხვევით აღმოვაჩინე. საერთოდ, ბიოგრაფიული სიუჟეტი ნაკლებად მიზიდავს, მაგრამ ამ ისტორიით ძალზე დაინტერესდები. „ჟუჟა“ გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ თანამედროვე ვარიანტია. ვასული საუკუნის 50-იან წლებში საფრანგეთში ცხოვრობდა გოგონა, რომელმაც 17 წლის ასაკში თავი მოიკლა — მატარებელს შეუვარდა. მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ ერთ-ერთმა გამომცემლობამ დღის სინათლეზე გამოიტანა დღიურები, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლოს წერდა. ეს ფაქტი 70-იანი წლების კულტურული რევოლუციის ფონზე მოხდა, რამაც გარკვეულ ლიბერალურ და ფემინისტურ წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ლეგენდის მიხედვით, დღიურის გამომცემის შემდეგ 14 ქალმა მოიკლა თავი. საინტერესოა, რომ 1982 წელს ერთი პოლანდიელი ენათმეცნიერი პარიზში ჩავიდა, ამ საქმის გამოძიება დაიწყო და დაადგინა, რომ ასეთი პიროვნება რეალურად არ არსებობდა, ვერც ამ გოგონას დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობას მიაგნო. ამის შემდეგ ნამდვილი ავტორის ძებნა დაიწყო.

— დღიური რეალურად არსებობს?

— დღიურიც არსებობს და თვითმკვლევლობის ფაქტიც, თუმცა არც ისაა ბოლომდე გამოძიებული. მოგვიანებით გაჩნდა მითი, რომ ტექსტი თავად გამომცემელმა დაწერა. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ეს ადამიანი ამას არც უარყოფდა, არც ადასტურებდა. ამასობაში გამოჩნდა ქალბატონი, რომელიც ამ დღიურების ავტორობას იბრალედა. ერთი სიტყვით, ბევრი რამ დღემდე გაურკვეველია, თუმცა თუ ყველაფერი გაცხადდა, მითიც დაიმსხვრევა. ეს კი მთელს ამ ისტორიაში ჩემთვის ყველაზე საინტერესოა. მითისა და რეალობის აღრევა ლიტერატურის ფონზე — ამაზეა ჩემი რომანი. ფაბულა ძალიან მომეწონა და ნახევარ წელიწადზე მეტხანს ვიკვლევ-

დი, თუმცა მინიმალური ფაქტობრივი მასალა მოვიპოვე. მერე ამ მითზე ჩემი ვერსიის განვითარება დავიწყე და „ჟუჟაც“ დაიწერა.

— ანუ გამოკვეთილი ჩანაფიქრი, დაგენერათ ფემინისტური რომანი, არ გქონიათ?

— რომანში ბევრი ქალი პერსონაჟია და სულ ორი მამაკაცი — გამომცემელი და სტუდენტი ბიჭი, რომელიც ამ თემას იკვლევს. რეალურ ისტორიაშიც ასეა. ფემინიზმს რაც შეეხება, გარკვეულწილად ასეთი დისკურსი იყო, რადგან სუიციდის მსხვერპლნი ძირითადად ქალები ხდებოდნენ, თუმცა გაცნობიერებული არჩევანი არ ყოფილა — მოვლენათა რეალურმა განვითარებამ განაპირობა.

— მეორე წიგნი, „ჩემი ნაზი ტყუპის-ცალი“ 2011 წელს გამოიცა და არანაკლები ნარმატივა ჰქონდა: კრიტიკოსთა ნაწილმა შეაფასა, როგორც „თანამედროვე კლასიკა“, წლის 10 საუკეთესო წიგნის ჩამონათვალში შევიდა და დამოუკიდებელ გამომცემლობათა ასოციაციის პრიზიც მიიღო. სხვათა შორის, აქ ქართული თემატიკაც შემოდიხ.

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არ გავმეორდე, ამიტომ მიწოდდა არა მხოლოდ სიუჟეტურად, სტილისტურადაც

„ გზის გაკვლევა არ გამჭირვებია “

განსხვავებული წიგნი დამეწერა. „ჟუჟას“ ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ ყველა მთავარ პერსონაჟს (ასეთი კი შეიძლება) საკუთარი ენა აქვს: ლირიული, დრამატული, თანამედროვე და ა.შ. მოქმედებაც სხვადასხვა დროში ხდება. „ჩემი ნაზი ტყუპის-ცალი“ შედარებით კლასიკურად აგებული ტექსტია, თუმცა ანმყოფი და წარმოქმნილი აქაც ვინაცვლებობს და სიუჟეტის მათ შორის ვითარდება. ამბავი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთი გერმანიაში ხდება, მეორე — საქართველოში. სხვათა შორის, საქართველოს თემას თავიდან ცოტა ფრთხილად ვუდგებოდი, რადგან დიდი საშიშროებაა, რომ ამ კლიშეს ვერ მოვიშორებ.

— რას გულისხმობთ?

— გაჩნდება მოლოდინი, რომ მხოლოდ საქართველოზე უნდა ვწერო. გერმანიაში დღეს ძალიან ბევრი ავტორია მიგრაციული ბეგრანდით, რომელიც ძირითადად თავის პირადს ყვება. ჩემთვის ეს ნაკლებად საინტერესოა, რადგან ვფიქრობ, რომ ლიტერატურა ვინორ თემატიკით არ უნდა შემოიფარგლოს. ადამიანი ვითარდება, მათ შორის მეც. წინასწარ ნამდვილად არ ვიცი, რა დამაინტერესებს, რაზე დავწერ, ამიტომ ქვეცნობიერად არ მსურს, რაიმე სახის იარაღი მომაკერონ. პირიქით, მიწადა ყველანაირი მოლოდინი დავამსხვრიო. მართალია, რომანში ქართული თემატიკა შემოვიტანე, მაგრამ საქართველო არ არის მოვლენათა ეპიცენტრი, მოქმედების განვითარების რაღაც ეტაპია.

— რამდენად ვიცი, ამ რომანის სიუჟეტიც ტრაგიკულია.

— მკითხველს ერთი ოჯახის ისტორიას ვუამბობ, უფრო სწორად, ერთ-ერთი პერსონაჟი ყვება. ვითარდება საკმაოდ დაძაბული და ვნებანი სასიყვარულო ამბავიც, რომელიც ტრაგიკულ ფაქტს ეფუძნება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახია დანამაჟის თემა, ანუ, რამდენად შეიძლება კონკრეტულმა გარემოებებმა პიროვნება დამნაშავედ ჩამოაყალიბოს. ასევე ნაჩვენებია ამ ტრამვის ნიადაგზე ადამიანთა არშემდგარი ურთიერთობა, მათი შეკონინების მცდელობა, მარცხი და ასე შემდეგ. ზედაპირზე ეს დევს, უფრო ღრმად კი სხვა დინებებიც იკვეთება.

— პიესებს თუ არ ჩავთვლით, ორი წიგნი დაწერე და ორივე — რომანი. ეს

შეგნებული არჩევანი იყო?

— ჩემი ნატურიდან და წერის მანერიდან გამომდინარე, ეს ჟანრი უფრო ახლოსაა ჩემთან, ვიდრე მოკლე პროზა. მეტი თავისუფლებაა. ორივეგან ფორმა სათქმელმა განაპირობა. არის თემები, რომელთაც მცირე ჟანრში ვერ ჩაატევე. „ჟუჟას“ შემთხვევაშიც ასე იყო. ვიცოდი, რომ ბევრი რამ უშუალოდ წერის დროს უნდა გამერკვია, რისთვისაც მოთხრობა ან პიესა სრულიად შეუსაბამო იყო. პიესას რაც შეეხება, წერის სხვა სტრუქტურა აქვს. ეს არის ჟანრი, სადაც ავტორი ნაკლებად მნიშვნელოვანია, პერსონაჟის ენით უნდა ილაპარაკო. ძირითადი დატვირთვა დიალოგზე ან მონოლოგზეა. ამას მაყურებელი უფრო აღიქვამს.

— რამდენად ახერხებ რომანის წერის დროს თავი აარილო დრამატურგიის პრინციპებს, თუ მაინც „გეპარება“ ასეთი მომენტები?

— ხშირად უთქვამთ, რომ ჩემს რომანებში დრამატურგის ხელი იგრძობა. რა თქმა უნდა, ქვეცნობიერი გავლენა იქნება, მაგრამ რაში მდგომარეობს, ვერ გეტყვი. საერთოდ, ძალიან მიყვარს დიალოგები. თეატრს თავი რომ დავანებოთ, წიგნის კითხვის დროსაც პერსონაჟის საუბარი უფრო მხიბლავს, ვიდრე ყოველმცოდნე ავტორის მონათხრობი. მომწონს, როდესაც პერსონაჟს საკუთარი თავის გამოხატვის საშუალება ეძლევა. ეს კი ყველაზე უკეთ დიალოგითაა შესაძლებელი.

— ძალიან საინტერესოა ენობრივი მომენტი. საერთოდ, რა ენაზეც წერ, იმ ენასთან ახდენ იდენტიფიკაციას. რამდენად რთული იყო შენთვის გერმანულ ენაზე საკუთარი სათქმელის გამოხატვა და ამ ენობრივ სტრუქტურაში გადასვლა?

— გამიმართლა, რადგან ამ ენას ბავშვობიდან ვსწავლობდი და ეს არ ყოფილა ენობრივი ემიგრაცია. ვიცნობ ერაყიდან ჩამოსულ მწერალს, რომელმაც იმისათვის, რომ სათქმელი ეთქვა, გერმანული ისწავლა. ჩემს შემთხვევაში სხვაგვარად მოხდა. საერთოდ, ენა ძალიან მჭიდრო კავშირშია ანმყოფთან. უცნაურად მიმაჩნია, გერმანიაში ცხოვრობდე, შენი სოციუმი, კულტურა ამ გარემოს უკავშირდებოდეს და სხვა ენაზე წერდე.

— ქართულად წერის სურვილი არ გაგჩენია?

— საქართველოში ყოფნისას ქართულად ვწერდი, ცხრანწლიანმა გერმანულმა ბეგრანდმა კი უბუნებრივად გადაამართ ამ ენაზე, თუმცა არის „არაგერმანული“ გადახვევებიც, რაც მათთვის თვალშისაცემია. მაგალითად, პიესებში რემარკების ნაცვლად ხშირად მაქვს ლირიული ჩანარებიც, რაც რედაქტორის შენიშვნას იმსახურებს. „გერმანული ასე არ იტყოდა“ — ასეთია მათი არგუმენტი. ვეთანხმები, მაგრამ ვუხსნი, რომ რალაციის გამო ზუსტად ასე მიწადა. თუ ჩემი მტკიცება საფუძვლიანია, არ შეინაადმდეგებიან. იმის გამო, რომ გერმანული ჩემი მშობლიური ენა არ არის, ბევრი შრომა მიწევს. ამ ყველაფერს ხანდახან საინტერესო სტილისტურ მიგნებებამდე მიყვარ, რაც კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს.

— პირიქითაც ხომ არ ხდება ხოლმე — რადგან გერმანულენოვანი ავტორი არ ხარ, უფრო მეტ ფორას გაძლევენ?

— ასეც მომხდარა. გერმანიაში ძალიან აქტუალურია მიგრაციის, ემიგრაციის, ინტეგრაციის თემები, ეს გლობალური საკითხია. სხვადასხვა რაკურსში აშუქებენ ამ ყველაფერს და მასშტაბურ დისკუსიებსაც მართავენ. სულ მიდის ლაპარაკი იმაზე, ვინ არის სამაგალითო მიგრანტი, როგორ უნდა მოხდეს ერთი კულტურადიდ მფორეში ინტეგრაცია, რა უნდა გააკეთონ გერმანელებმა, რა — უცხოელებმა და ა.შ. ცოტა ყალბი მეჩვენება ამგვარი მიდგომა, ხელოვნურად გაბუქებული. თითქოს ვალს იხდი ვიღაცის ან რალაციის წინაშე.

— რამდენად რთულია გერმანიაში თავის დამკვიდრება უცხოელი ავტორისთვის?

— ადვილია-თქო, ვერ ვიტყვი, თუმცა არსებობენ ადამიანები, რომელთაც ძალიან კარგად შეუძლიათ საკუთარი თავის გაყიდვა. თუ კონკრეტულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებ, პლატფორმაც მოგეცემა და მასმედიის ყურადღებასაც დაიმსახურებ, თუმცა რამდენიც უნდა იზიარო თავი, თუ სათქმელი აღარ გაქვს და

მკვლევარი

ნინო სამსონია

„იგი იყო, რომელმან ყოველი იხილა ქვეყნის საზღვრამდე, განიცადა ყოველი, ისწავა ყოველი, ერთბაშად განსჭვრიტა ყოველი საიდუმლო, სარქველი სიბრძნისა, რომელი ყოველსა დაჰფარავს. დამარხული იხილა, დაფარული ცხად-ჰყო მან, წარღვნის წინა ამბავი მოიტანა, წავიდა შორს შრომითა და ზრუნვითა და დასწერა დაფაზე ერთობ განსაცდელი“ — ასე იწყება კაცობრიობის პირველი ეპოსი, ეს გახლავთ პირველი სახე შემოქმედისა, სახე გმირისა და მწერლის, რომელმაც იხილა, განიცადა და განსჭვრიტა ყოველი და ერთობ განცდილი დაწერა დაფაზე (ქვაზე გადაიტანა), რაც უკვდავყოფას ნიშნავს ძველალმოსავლურ სამყაროში.

„გილგამეშის ეპოსი“ აღმოაჩინეს XIX საუკუნის 70-იან წლებში და მისი კვლევა, გაშიფრვა, თარგმნა უმაღლესი მსოფლიოს ელიტარული უნივერსიტეტების ფუძემდებელმა მეცნიერებმა. მათ შორის იყო ქართველი მეცნიერი მიხეილ წერეთელი, რომელიც 1910 წლიდან ბრიტანეთში და შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში იმყოფებოდა. გერმანულ და ფრანგულ ენებზე თარგმნის შემდეგ კაცობრიობის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, 1917 წელს, ერთდროულად ითარგმნა ინგლისურ და ქართულ ენებზე. რამდენიმე წელიწადში მიხეილ წერეთელმა ახალდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა ჩაიბარა. მისი „გილგამეშისანი“ გამოცემა კი მხოლოდ 1924 წელს, სტამბულში, ქართველ კათოლიკეთს სავანის მესვეურთა მეოხებით მოხერხდა. იმ დროს მეცნიერი უკვე ემიგრაციაში იმყოფებოდა. თარგმანი გამოცემისთანავე „დაიკარგა“ საქართველოსთვის.

გასაბჭოების შემდეგ სამშობლოდან გადახვეწილი მიხეილ წერეთლის სამეცნიერო საქმიანობა ათწლეულების განმავლობაში მიუწვდომელი რჩებოდა ქართველი საზოგადოებისთვის, თუმცა მსოფლიო მას აღიარებდა, როგორც დიდ აღმოსავლეთმცოდნეს, ფუძემდებელ ასირიოლოგს და „გილგამეშისანი“ უპირველეს მთარგმნელს მსოფლიოში. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმი ასეთი უღმობელი მხოლოდ რამდენიმე ემიგრანტი მოღვაწის მიმართ თუ ყოფილა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

ბოლო წლებში მდგომარეობა შეიცვალა. მიხეილ წერეთლისეული „გილგამეშისანი“ 2010 წელს საქართველოში პირველად დაიბეჭდა. ახლახან კი თსუ-ს გამომცემლობამ ხელმეორედ გამოსცა თარგმანი. წიგნი გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო აღმოსავლეთმცოდნეობის დოქტორმა ნინო სამსონიამ. სწორედ ქალბატონ ნინოს ვთხოვეთ ესაუბრა დიდ მეცნიერსა და მთარგმნელზე.

— ქალბატონო ნინო, გამოცემის წინათქმამში მადლობას უხდით კემბრიჯის უნივერსიტეტსა და ბრიტანულ მეცნიერებს, „რომელთა უშუალო დახმარებით თითქმის საუკუნეების წინ დაკარგული თარგმანი ქართველ მკითხველს დაუბრუნდა“. როგორ გამოიხატა მათი დახმარება?

— 2010 წელს ბრიტანეთმა ძველი ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესს უმასპინძლა. ღონისძიების ნაწილი, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტში გაიმართა, „გილგამეშის ეპოსს“ დაეთმო. „გილგამეშისანი“ ჩემი სადისერტაციო თემა გახლდათ და ვფიქრობდი, თარგმანთან დაკავშირებით მოხსენება წამეკითხა, მაგრამ კონგრესის ორგანიზატორებმა მოისურვეს, თარგმანის პრეზენტაცია გაგვემართა. ასე შედგა საუკუნის შემდეგ „გილგამეშისანი“ წარდგინება მსოფლიო მეცნიერების წინაშე და მისი ხელმეორედ აღიარება ბაბილონური ეპოსის უპირველეს თარგმანთა შორის. თარგმანის აღიარებაზე, მიხეილ წერეთლის, როგორც მსოფლიო რანგის მთარგმნელის მიმართ დამოკიდებულებაზე მიუთითებს ალბათ ისიც, რომ საგანგებოდ პრეზენტაციისთვის ბრიტანეთის მუზეუმთან დადგინდათ უნივერსიტეტის უძველესი მუშეპერული საკრავი, ურის I დინასტიის დროინდელი ლირა, რომლის ჰანგებზეც კითხულობდნენ ამონარიდებს გილგამეშის ეპოსიდან. პრეზენტაციას დიდი რეზონანსი მოჰყვა, სწორედ ამან გახადა შესაძლებელი „გილგამეშისანი“ საქართველოში დაბეჭდილიყო. მადლობა მინდა ვუთხრა თსუ-ს გამომცემლობის დირექტორს, თათი ებრაელიძეს, რომელმაც უმაღლესი ხარისხით თარგმანის გამომცემის მნიშვნელობა საქართველოსთვის, პრობლემების მოგვარება საკუთარ თავზე აიღო (წერეთლის ნაშრომების გამოცემა დღემდე არ არის ადვილი) და 2010 წლის შემოდგომაზე წიგნი გამოვიდა კიდევ.

— ცხადია, პრეზენტაცია ვერ შედეგობოდა, რომ არა 1924 წელს სტამბოლში დაბეჭდილი „გილგამეშისანი“ ორიგინალი. თქვენ ხელთ გაქვთ სტამბოლური გამოცემის ეგზემპლარი, რომელიც ერთადერთია საქართველოში. კონგრესზე სწორედ ის წარადგინეთ. როდის და სად მიაკვლიეთ მას?

— წიგნი ჩემმა ახლობელმა, გია თარხან-მოურავმა სტამბოლის ერთ-ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში 2007 წელს შემთხვევით იპოვა, შეიძინა და ჩამომიტანა. იქამდე მეცნიერები გამოცემის ქსეროასლით ვსარგებლობდით. მოგვიანებით ისიც უცნაურად გაუჩინარდა.

— მიხეილ წერეთლის შრომები საბჭოთა საზღვრებს რომ ვერ „გადაკვეთდა“, ეს გასაკვირი არც არის. თუმცა მის მიმართ განსაკუთრებულ დევნაზე მიუთითებს ალბათ ის ფაქტი, რომ სტამბოლში, საქართველოდან არც ისე შორს დაბეჭდილი „გილგამეშისანი“ ლამის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუწვდომელი იყო ქართველი მკითხველისთვის. მართალია, ემიგრანტი მოღვაწეების ნაშრომები, თხზულებები საბჭოთა პერიოდში იკრძალებოდა, მაგრამ რეაბილიტაციის შემდგომ მათი მემკვიდრეობა თანდათან დაუბრუნდა სამშობლოს. მიხეილ წერეთლის შემთხვევაში კი გაცილებით რთულად არის საქმე. რატომ?

— საქმე ის გახლავთ, რომ მიხეილ წერეთლის დამსახურება არ შემოიფარგლება მარტოოდენ მეცნიერების სხვადასხვა

1933-55 წლებში კი ყველა ურარტული ტექსტი წაკითხული, კომენტარებული და გამოკვლეული მოგვანოდა.



„ მიხეილ წერეთელი საქართველოს დაუბრუნდა “

დარგების განვითარებით საქართველოში. მისი, როგორც მეცნიერის, მკვლევარის ღვაწლი სცდება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიო მნიშვნელობას იძენს. დიხს, ის არის სოციოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, მუშაობდა ქართველოლოგიაში, იკვლევდა შუმერული და ქართველური ტომების ნათესაურ კავშირებს, წერდა ხეობებისა და ქართველთა წინაპრების ისტორიულ-ენობრივ-რელიგიურ კავშირებზე, გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ფრანგულად — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიკრუისა“ და ასე შემდეგ. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი იყო საქართველოში, მაგრამ მიხეილ წერეთელი მსოფლიო რანგის მეცნიერად აქცია მისმა „გილგამეშისანი“ — ეს გახლავთ ერთადერთი ქართული თარგმანი, რომელსაც მსოფლიო მეცნიერება პირველ სამეფლოში აღიარებს — და მისმა ურარტოლოგიურმა ნაშრომებმა. ცოტა უხეუმი შედარებაა, მაგრამ მისი, როგორც ურარტოლოგის ღვაწლი, უტოლდება შამპოლონის დამსახურებას ეგვიპტოლოგიაში. მიხეილ წერეთელმა პირველად წაიკითხა სწორად „კელიშინის სტელის“ ასურულ-ურარტული ბილინგვა, ჩამოაყალიბა ურარტული გრამატიკა.

— „გილგამეშისანი“, როგორც თარგმანის განსაკუთრებული ღირებულება რა არის?

— მიხეილ წერეთელმა „გილგამეშისანი“ ორიგინალიდან თარგმნა. იგი დაეყრდნო აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ვერსიას, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. გასაგებად რომ გითხრათ, ის ტექსტის გამშიფრელები არის და მთარგმნელები. აშურბანიპალის ბიბლიოთეკის (მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკის) ვერსია ძირითადი საყრდენია ეპოსისა. მოგეხსენებათ, „გილგამეშის ეპოსი“ შექმნილთანავე აღმოსავლეთის სხვადასხვა ენებზე ითარგმნა. მის ერთადერთ სრულყოფილ ტექსტს სწორედ აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ასურული ვერსია წარმოადგენს. დანარჩენი ვერსიები ფრაგმენტულად შემორჩა. მიხაკო წერეთელი ამ ვერსიებსაც — ძველბაბილონურს, ნეობაბილონურს, ხეთურს, ხურიტურს — იყენებს და მათ შესაბამის ადგილებში ურთავს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რატომ არის „გილგამეშისანი“ ასე ღირებული მეცნიერული თვალსაზრისით. ხოლო რაც შეეხება მხატვრული თარგმანის ხარისხს, ეს მკითხველმა თავად განსაჯოს. ვიტყვოდი, რომ მიხეილ წერეთელმა „გილგამეშის ეპოსი“ ქართულ სიტყვად აქცია.

ყოფილ საბჭოთა სივრცეში „გილგამეშის ეპოსი“ მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე ითარგმნა. აქვე დავძენ, რომ რუსულ ენაზე ეპოსი გაცილებით გვიან, 1963 წელს გამოცა.

წერეთლის თარგმანი გამორჩეულია ევროპულ ენებზე შესრულებული სამივე თარგმანისგან. ეს ბუნებრივია არის. ქართული ენა ძალიან ღრმავა, უფრო გენეტიურია ძველალმოსავლური ეპოსისთვის, უფრო ზუსტად გადმოსცემს აღმოსავლელი ავტორის ნაზრევს. ამიტომ „გილგამეშისანი“ გაცილებით ახლოს დგას დედნის ტექსტთან. დღესაც კი, დიდი ასირიოლოგები ამბობენ, რომ ლურსმულიდან თარგმნისას — რასაკვირველია პროფესიონალ მთარგმნელებს გულისხმობენ — მხოლოდ ენის ფლობა არ კმარა, აუცილებელია, დაეყრდნო შუამდინარელთა აზროვნებას, ამოხვიდეს მათი მეტაფორული ენიდან. წერეთელი კი საოცრად ფლობდა იმ სამყაროს, კულტურას, ისე თარგმნიდა,

როგორც აღმოსავლური აზროვნების, იმ ისტორიული ფესვის გამგრძელებელი, ამიტომ „გილგამეშისანი“ ერთდროულად გახლავთ მითოლოგიური, აზრობრივი, ფსიქოლოგიური თარგმანი.

— ჩანს, რომ მიხეილ წერეთელს საკუთარი ერის ინტერესებიც ამოძრავებდა.

— დიხს, თარგმანს ეს აშკარად ეტყობა. მართალია, „გილგამეშის ეპოსი“ პირველი წერილობითი ძეგლია ზოგადსაკაცობრიო მოტივებით, მაგრამ მას არცერთი ევროპული ერთანი, ახალი (ცივილიზაციის ხალხებთან გენეტიკური კავშირი არ აქვს. შესაბამისად, ევროპელი ასირიოლოგები ეპოსს სხვა მიდგომით თარგმნიდნენ, მათთვის ბაბილონური ტექსტი საკაცობრიო მონაპოვარს წარმოადგენდა, თარგმნის პროცესში მათ საკუთარი ერის ინტერესები არ ამოძრავებდათ. წერეთელს კი ისტორიული, კულტურული ძაფები აკავშირებდა შუამდინარულ ეპოსთან. თარგმანიც შესაბამისი გამოვიდა.

— ალბათ ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ეპოსზე, როგორც პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებზე და მის მნიშვნელობაზე ლიტერატურის განვითარებისთვის.


— „გილგამეშის ეპოსი“ შუამდინარეთში, ძვ.წ. III ათასწლეულში შეიქმნა. შუამდინარული ცივილიზაცია ყველაზე რთულად შესასწავლი აღმოსავლეთი გახლავთ. შეიძლება ითქვას, იგი აღმოსავლეთმცოდნეობის სარჩულია და როგორც ლიტერატურული ძეგლი, როგორც ძველი აღმოსავლეთის აზროვნების ნიმუში საფუძველია მომდევნო პერიოდების ლიტერატურისა — „ილიადასი“, „ოდისეასი“, დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ და „ვეფხისტყაოსნის“. მისი გადადახილი დავით გურამიშვილის, ილიას შემოქმედებებსაც სწვდება.

გილგამეშის ისტორიული პირია. ის ურუქის მეფე გახლდათ. მოგეხსენებათ, ქალაქი ურუქი ლიტერატურის სამშობლოა. ურუქელები ლიტერატურის „მე“-ს ფლობენ. „მე“, იგივე „მეობა“ არის ტერმინი, რომელიც მხოლოდ ქართულად ითარგმნება. ეპოსის მიხედვით, ლიტერატურის არსი, მისი მეობა ციდან ჩამოვიდა ქალაქ ურუქში. შუამდინარული, ბაბილონური წარმოდგენით, ადამიანს ყოველი ნიჭი ზეციდან მიეცემა, მათ შორის ლიტერატურა, დამწერლობა, ხელოვნება. აქ ჭეშმარიტ ნიჭს გულისხმობენ, რაც ზეციდან ჩამოსულია, უფროსი ხელისა და როგორც ცოცხალს და ინარჩუნებენ, რომ არ გაქრეს. სწორედ ეს არის ადამიანის მისია შუამდინარულ რელიგიურ სისტემაში.

გილგამეშის ეპოსის საფუძველი ქალაქ ურუქის ლიტერატურული ტრადიციაა, მისი წინაპრების ე.წ. შუმერ მეფეთა ეპოსებია. აქ გმირ გილგამეშზე საუბარი არ არის, მოთხრობილია მისი მამის, ლუგანანდასა და პაპის, ენმერქარის შესახებ. გილგამეშის პაპს, ენმერქარი დამწერლობის გამომგონებელია. შუმერული ეპოსების მოტივი ძალზე საინტერესო და საგულისხმოა: შუმერები უომრად იპყრობენ მამინდელ მსოფლიოს, ისინი შეემცნებოთ იარაღით, დამწერლობით ახერხებენ სამყაროს დამორჩილებას. ამაზე ძლიერ იარაღს ადამიანი ვეღარ გამოიგონებს და ამიტომ, სამყარო უნდა მორჩილებდეს მათ, როგორც ყველაზე მაღალგანვითარებულ საზოგადოებას, რომელმაც კაცობრიობას დამწერლობა აჩუქა. ტექსტში ნათქვამია, რომ ენმერქარმა „ღრმა აზრი“ გადაიტანა თიხაზე, მამასადამე დამწერლობა სიბრძნის დასაფიქსირებლად შეიქმნა. ეს მათი განცდაა, შუამდინარული განცდაა, რომელიც შემდგომში გილგამეშის ეპოსს დაედო საფუძველად.

— თქვენ თქვით, რომ მიხეილ წერეთლის ღვაწლი ურარტოლოგიაში, მისი შრომები განსაკუთრებით აშფოთებდა, აღიზიანებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

— წერეთლის ურარტოლოგიური მემკვიდრეობა ძალზე მდიდარია. ის ინტენსიურად თანამშრომლობდა მსოფლიოში ცნობილ ჟურნალთან „Revue d'Assyriologie“ და აქვეყნებდა თავის ურარტოლოგიურ წერილებს. ძირითადად წერდა ფრანგულად, რამდენიმე ნაშრომი აქვს იტალიურ ენაზეც. გარდა ქართველური ენების საუცხოო ცოდნისა, იგი სრულად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ ენებს. საბჭოთა პერიოდში „Revue d'Assyriologie“ საქართველოშიც იგზავნებოდა, თუმცა ის ნომრები, რომლებშიც წერეთლის ურარტოლოგიური წერ-



ნინო ხარატიშვილი:

„გზის ბაკვლევა არ გამჭირვებია“

დასასრული

ახალს ვერაფერს ამბობ, არც შენს წიგნს ნაიკითხავს ვინმე და არც იყიდის.

— გერმანელი მკითხველი როგორი ფეროშენია?

— იქაც, როგორც უმეტეს ქვეყანებში, ქალები მეტს კითხულობენ; წუწუნებენ იმაზე, რომ მკითხველის რაოდენობამ იკლო, თუმცა ჩემს ირგვლივ უმეტესობა კითხულობს. შესაძლოა, ყველა თანამედროვე ავტორებს არ ეძალდება, მაგრამ ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ყველგან, იქაც არის ფენა, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა არ აინტერესებს. ვერ ვიტყვი, რომ წიგნი ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას, ეს ფუნქცია ტელევიზიას და ინტერნეტს აქვს გადაწაფილი, მაგრამ მის მიმართ ინტერესი არის.

— გერმანულ მწერლობაში რა ვითარებაა, რა ტიპის ავტორები მოდიან?

— ძალიან ბევრი წიგნი გამოდის, რაც, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, არჩევანს ართულებს. თუ ამ სფეროში არ ტრიალებ და პირადად არ იცნობ ვითარებას, უზარმაზარ ბაზარში გარკვევა ძნელია. ამ მხრივ ცოტა ხალხია. ავტორებს რაც შეეხება, არიან საინტერესო მწერლები, თუმცა ესეც გემოვნების საკითხია. ბევრს უსაფუძვლოდ აპირებენ, სინამდვილეში უზარისხო ლიტერატურასთან გვაქვს საქმე, მაგრამ დღეს ეს მთელი მსოფლიოს სენია. ყველაზე მეტად გერმანიაში მომხონს ის, რომ ძალიან ბევრი წიგნი ითარგმნება. ამ მხრივ ერთ-ერთი წამყვანია ევროპაში. ინგლისსა და საფრანგეთსაც უსწრებს.

— ქართულ ლიტერატურას ამ მხრივ საქმე მთლად კარგად არა აქვს. თითზე ჩამოსათვლელი ავტორია თარგმნილი. რატომ არის ჩვენი მწერლობა მათთვის უინტერესო?

— ჩემი აზრით, ქართული ლიტერატურის პრობლემა მის ჩაკეტილობაშია. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ ტექსტების უმეტესობა იმდენად ქართულია, ძალიან კარგადაც რომ თარგმნო, ევროპელი ვერ გაიგებს. ბოლო დროს ნაკითხულთაგან ყველაზე უნივერსალურად თამთა მელაშვილის „გათვლა“ მომეჩვენა. იმდენად განზოგადებულია, რომ მკითხველისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მისი ავტორი გვარად მელაშვილია თუ შმიდტი. გარდა ამისა, გერმანელი გამომცემლისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მოწონება. მან უნდა გაყიდოს კიდევ წიგნი. მაგალითისთვის, თუ ქართველი ავტორი სტალინზე დაწერს, გერმანელისთვის საინტერესო იქნება, ქურდულ მენტალიტეტზე ან ძველი ბიჭობაზე დაწერილი ტექსტს კი უბრალოდ ვერ გაიგებს. სულაც არ მინდა ისე გამოჩნდეს, თითქოს მწერლებს გაყიდვადი ლიტერატურის შექმნისკენ მოვუწოდებ, თუმცა ცოტათი მაინც თუ არ გაიხსნა დახშული წრე, არაფერი გამოვა.

— შენი წიგნების ქართულ თარგმანზე მინდა გკითხო, რამდენადც ვიცი, ამ

კუთხით მუშაობა უკვე დაიწყო.

— ბოლო დროს ბევრი მეკითხებოდა, რატომ არ იყო ქართულ ენაზე ჩემი რომანები. ამაზე ძალიან ვწუხდი, მაგრამ თავად ნამდვილად ვერ მივაკითხავდი გამომცემლობებს. ცოტა ხნის წინ „სიესტა“ და „ინტელექტი“ შემეხმინან. ამ უკანასკნელმა უკვე დაიწყო „უჟუჟას“ თარგმნა. იმედი მაქვს, კარგი თარგმანი იქნება, თუმცა არ ვიცი, როგორ მიიღებს ამ ტექსტს ქართველი მკითხველი. ცოტა რთულად გასაგები მეჩვენება.

— „რთულად გასაგებში“ რას გულისხმობ?

— ჩემი აზრით, „უჟუჟა“ უფრო ევროპული რომანია, საკმაოდ პოსტმოდერნული. არ ვიცი, რამდენად გაითავისებენ მას საქართველოში. განსხვავებული სტილის ტიკის გამო ენობრივადაც რთული სათარგმნია.

— მისი ქართულად დაწერა არ მოგსვლია აზრად?

— არა, რადგან წიგნს რომ ვამთავრებ, აღარ მაინტერესებს. ჩემთვის, როგორც ავტორისთვის, წერის პროცესი ბევრად უფრო მიმზიდველია, ვიდრე სხვა დანარჩენი. გარდა ამისა, არ ვარ კარგი მთარგმნელი, არც საკმარისი დრო მაქვს და არც დისტანცია. ამასობაში ვდგამ პიესას, ვმუშაობ ახალ რომანზე. თარგმანი ძალიან რთული და ცოტა დაუფასებელი შრომაა, ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან ცუდ მთარგმნელს შეუძლია წიგნი გააფუჭოს, კარგს — დაეხმაროს მას. ზაფხულში ინგლისის მთარგმნელთა სკოლაში ვიყავი და მათი მუშაობის შემხედვარემ ძალიან დიდი ინსპირაცია მივიღე. ბევრს საუბრობდნენ ენაზე და კიდევ ერთხელ დავფიქრდი, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საქმე.

— ახალი რომანი ახსენე, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებული გაქვს. უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგვიყვები მის შესახებ?

— ეს არის ერთი ქართული ოჯახის ისტორია, რომელიც XX საუკუნის ფონზე ვითარდება. თავიდან „პერესტროიკაზე“ მიწოდდა დამწერია, მაგრამ მერე მივხვდი, რომ გაუგებარი იქნებოდა, ცოტა ადრეული პერიოდიდან თუ არ დავიწყებდი. ამ გადაწყვეტა-გადაწყვეტაში 1917 წლის რევოლუციის მივადექი. რომანი გასული საუკუნის 20-იან წლებში იწყება და დღევანდელი ბამდე მოდის. ძალიან ბევრი პერსონაჟია, ბევრი თემა. ცოტა რთულ საქმეს შევეჭიდე, თუმცა იმედი მაქვს, გაუმკლავდები. ბოლო ექვსი თვე რუსეთის არქივებში მუშაობას და სოციალიზმის ისტორიის შესწავლას მოვანდომე. უამრავი წიგნი ნაკითხე, ძველი ჟურნალ-გაზეთებიც დავამუშავე, თუმცა, რაც მეტს ვკითხულობ, ვხვდები, რომ სადღაც უნდა შევჩერდე. ამ ეტაპზე მასალების შეგროვება შეწყვეტიდა და წერას ვიწყებ. სამუშაო სათაურია „მერვე ცხოვრება.“ ვფიქრობ, საინტერესო წიგნი გამოვა.

ესაუბრა ნანა კობახიძე

ნინო სამსონია:

„მიხილ წერეთელი საქართველოს დაუბრუნდება“

დასასრული

იღებია დაბეჭდილი, გამქრალია დღე-ისთვის. მისი არქივი დაკარგულია, სამეცნიერო წერილები გაფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში.

მიხილ წერეთლის სახით მსოფლიო ურარტოლოგიამ ამ რანგის მეცნიერი რომ შეიძინა, ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის უდავო დამსახურებაა. სწორედ მათი მოწოდებით, ოცდაათი წლის მიხილ წერეთელი, რომელსაც იქამდე სორბონის უნივერსიტეტში სოციოლოგიის მიმართულებით ჰქონდა განათლება მიღებული, ბრიტანეთში გაემგზავრა და ასირიოლოგიის შესწავლას შეუდგა. მალევე ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორი გახდა. 1920 წელს, ჯავახიშვილისვე მოწვევით იგი თბილისში დაბრუნდა და ახალგაზსნილ უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა ჩაიბარა.

— რამდენადც ვიცი, ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა წერეთლის ემიგრაციაში წასვლისთანავე დაიხურა.

— ზოგადად, ამ კათედრის, ამ დარგის არსებობა ძალიან ბევრს ნიშნავს ქვეყნისთვის. ასირიოლოგია მეცნიერების ელიტარული დარგია, რომელშიც მსოფლიოს რამდენიმე ცენტრი მუშაობს მხოლოდ. ის ფაქტი, რომ კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების დარად, თბილისის უნივერსიტეტსაც ერთ-ერთ პირველს გააჩნდა ეს კათედრა და მას „გილგამეშის“ ერთ-ერთ პირველი წამკითხველი ხელმძღვანელობდა, ცხადია რუსეთის შესაბამის სამსახურებს იმთავითვე ძალზე აშფოთებდა. მით უფრო, რომ ივანე ჯავახიშვილმა დარგის დაარსებას ღრმა საფუძველი დაუდო. მან იცოდა, რომ ძველი აღმოსავლეთის კათედრა საქართველოს ეთნიკური, ტერიტორიული მთლიანობისთვის ფარი იქნებოდა. ჩვენი სახელმწიფოებრიობის უძველესი ისტორია ხომ პირდაპირ კავშირშია ახლოაღმოსავლეთთან, ის ასურულ-ურარტული ტექსტების საფუძველზე იწერებოდა. ამიტომ აიკრძალა ეს დარგი, იდევნებოდა მიხილ წერეთელი და ნადგურდებოდა მისი ნაშრომები ურარტოლოგიაში. მათი გამოცემა დღემდე არ არის იოლი.

— სასიხარულოა, რომ სირთულეების მიუხედავად მოახერხეთ, გამოსაცემად მოგემზადებინათ მიხილ წერეთლის ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი, რომელიც კელიმინის ცნობილ სტელას ეძღვნება.

— ეს ბატონი მიხილის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საფუძვლიანი ნაშრომია. მის გამოსაცემად მომზადებაზე თსუ გამომცემლობამ და მეცნიერთა მთელმა ჯგუფმა იმუშავა. ტექსტი ფრანგულიდან ეკა გამცემლობიდან თარგმნა, რედაქტირება ლევან გორდენიანმა გაუკეთა, გამოცემის რედაქტორ-შემდგენლები მე და ჯემალ შარაშენიძე გახლავართ. „კელიმინის სტელა“ ერთადერთი ქართულად თარგმნილი კვლევაა, რომელიც მიხილ წერეთლის დანარჩენ ურარტოლოგიურ ნაშრომებთან ერთად დაიბეჭდება. შრომები ათასხუთას გვერდს მოიცავს. მისი თარგმნა წლების საქმეა. გამოცემა ოთხენოვანია, განკუთვნილია მეცნიერთა წრისთვის. ვფიქრობ, ამ წიგნის დაბეჭდვას საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ქვეყანას მიხილ წერეთელი აღარ „დაეკარგება“.

— მიხილ წერეთელი თანდათან

ბრუნდება საქართველოში. მხოლოდ „გილგამეშის“ გამოცემასა და ურარტოლოგიური ნაშრომების დაბეჭდვის შესაძლებლობას არ ვგულისხმობ. როგორც ვიცი, მეცნიერის გადმოსვენებასთან დაკავშირებით გარკვეული პროცესები მიმდინარეობს.

— ბატონი მიხილის გადმოსვენებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა საკითხი მოგვარებულია. არსებობს მეცნიერის ანდერძი, რომელშიც ითხოვს მისი ფერფლი საქართველოში დაკრძალოს, იგივე სურთ ქართველ მეცნიერებს, რაც მთავარია მის პირდაპირ მემკვიდრეებს, ქალბატონ ქეთევან რამიშვილსა და მათი წერეთელს. ეს დიდი მეცნიერის, გიორგი წერეთლის ოჯახია. სამთავრობო კომისიამ ამასთან დაკავშირებით აქტიურად იმუშავა. იმედი გვაქვს, წინააღმდეგობა არც ახლა შეგვექმნება, მალე ბატონი მიხილის უკანასკნელი სურვილი აღსრულდება და მის ფერფლს ლევილიდან მთაწმინდის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გადმოვასვენებთ.

— ბრძანეთ, რომ მიხილ წერეთლის სახელს საბჭოთა პერიოდში ვერავინ ახსენებდა, მის შრომებს მეცნიერები ვერ უთითებდნენ, მაგრამ ალბათ მაინც იყვნენ ადამიანები, დინების წინააღმდეგ რომ ბედდევნენ სვლას. ახლა, როცა ბატონი მიხილის რეაბილიტაცია დაწყებულია, ვფიქრობ დროა, იმ ხალხზეც ითქვას რამდენიმე სიტყვა.

— თავდაპირველად აკადემიკოს გრიგოლ გორგაძეს გავიხსენებდი. მან 1992 წელს ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა აღადგინა, წერეთლის შრომებთან დაკავშირებული თემები შეგვირჩია სადისერტაციოდ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიხილ წერეთლის დაარსებული კათედრის აღდგენა ოთარ ჯაფარიძის ერთ-ერთი რექტორობის პერიოდში გახდა შესაძლებელი. ცხადია, ამ საქმისთვის მხოლოდ ბატონი გრიგოლის მოწოდება საკმარისი არ იქნებოდა. აქვე ვიტყვი, რომ ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა რომ არა, მის სურვილს განხორციელება არ ეწერა.

მიხილ წერეთლის დიდი მეგობარი და ქომაგი იყო კონსტანტინე გამსახურდია. როცა 1945 წელს საბჭოთა ჯარები ბერლინს მიადგნენ, ქართველ მწერალს ხმაშალა უთქვამს სტალინისთვის, იქ მიხაკო წერეთელია და ხელი არავინ ახლოსო.

წერეთლის ხსენებას არასოდეს ერიდებოდა ივანე ჯავახიშვილიც. ის იყო ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომელიც უთითებდა მის ნაშრომებს.

ალსანიშნავია რეზო თაბუკაშვილის დამსახურება. მან იმ დროს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დარგიც კი არ იყო აღდგენილი, თავის რამდენიმე წუთიან ფილმში მოახერხა ზუსტად ეთქვა მეცნიერის ფასსა და ასირიოლოგიის დარგის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის, შეძლო ელაპარაკა იმაზე, რაც ყველაზე მტკივნეული იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის. ბატონ რეზოს მიხილ წერეთელზე სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღების ნებას არავინ მისცემდა, თუმცა ფასდაუდებელი, ზედმინწევით პროფესიონალური მასალა გაბნეული მის სხვადასხვა ფილმში.

მიხილ წერეთლის სამშობლოში დაბრუნების საქმეში ამ ადამიანების წვლილიც დიდა.

ესაუბრა თამარ ჟურული




კეთილი ზღარბი

— სად მიდიხარ ზღარბუნია? გარეთ დიდი თოვლია. — გავიგე, რომ თავუნიებს ნაძვის ხე არ ჰქონიათ.

ეკლები მაქვს წინვებივით, ჩამოკიდონ, რაც უნდათ, მიმაქვს ბევრი ბრჭყვიალები, ვერცხლის წვიმა საჩუქრად.

მოკლედ, მინდა კარგად მომრონ, ცოტას გავახალისებ, მე ვიქნები თავუნიების საახლწლო ნაძვის ხე.



მე და ჩემი თუთიყუში

ლექებს ვსწავლობ საახლწლოდ, მაგრამ მჯობნის თუთიყუში, სანამ ერთ ლექსს ჩავამთავრებ, ათ ლექსს ამბობს თითო წუთში.

ცუდი გოგო კი არა ვარ, საჩუქრების გამო ვდარდობ! თოვლის პაპამ ჩემს მაგივრად თუთიყუშს არ მოუტანოს.

ლელა ცუცქირიძე

ახალი წელი ტყეში

იცი, ტყეში ახალ წელს როგორ ეგებებიან? ნაძვზე შემოსკუპულან ბუ, კოდალა, მელია.

კენწეროზე ციცივი ზის, დაბლა კურდღლის ბაჭია, ყვავს თავისი ბახალა გირჩით გაუპრანჭია.

თოვლის პაპაც მოსულა, თვალებს ველარ აშორებს ნაძვის ხეზე შემომსხდარ ცოცხალ სათამაშოებს.

ჩიტბატონა

თოვლში მიდის ჩიტბატონა მიახობებს ხურჯინს. — როგორ ზიდავს ამსიმიძემს, ნუთუ სულ არ უჭირს?



— თოვლის პაპას ეხმარება, გადაღლილა გუშინ. — ჩავეხუტე მაგ პანიას უზარმაზარ გულში!

თოვლის კაცი

დიდი თოვლი მოვიდა და გავაკეთე თოვლის კაცი, მოვახვიე ჩემი კაშნი, ჩემი ქუდი ჩამოვაცვი.

ჰოდა, ბებოს მე ვეგონე, შეაჭამა სწრაფად ქადა, ბაბუმ ჩასვა მანქანაში და სკოლისკენ გააქანა.

ახლა ალბათ ჩემს მაგივრად კითხულობს და ანგარიშობს, ნეტავ სახლშიც ჩემს მაგივრად გააკეთოს სავარჯიშო.

დაბრუნება

საბა ბერიკაშვილი მონატრება

თითქმის ერთი წელია, ჩემებისგან შორს ვცხოვრობ.

არც კი ვიცი, ჩემი ახლობლები როგორ არიან ან რა ბედი ეწიათ.

ჩემი და-ძმები, ჩემი მშობლები, ჩემი მეგობრები და ჩემი მეზობლები მენატრებიან.

მე მათ ვერ ვუკავშირდები. ძალიან ძნელი ყოფილა კარადაში ცხოვრება.

აქ ხომ იშვიათად გამჩნევენ და უფრო იშვიათად გეხებიან ხელით, გვეყვებიან... გვეყვებიან კი არა, ხანდახან ისე გაივლიან და გამოვივლიან, შეიძლება ვერც შევამჩნიო.

იმ სახლში, სადაც ჩამომიყვანეს, დედა, მამა და მათი შვილი ცხოვრობს.

ცუდი ხალხი არ ჩანს. როცა წიგნი სჭირდებათ, მხოლოდ მაშინ ალებენ კარადას. მხოლოდ მაშინ მამჩნევენ და მგონი მიღიმიან კიდეც...

აი, მაშინ ვარ ბედნიერი. მე რას ვფიქრობ, არ იციან. ისიც კი არ იციან — ვფიქრობ თუ არა საერთოდ...

არც ის ვიცი, რით გამომარჩიეს, რატომ მომაცილეს ჩემს ახლობლებს და ასე შორს რატომ წამომიყვანეს.

მახსოვს, დედამ და შვილმა წამომიყვანეს და მამა სახლში დახვდათ.

მხოლოდ მეორე დღეს გააცნეს ჩემი თავი.

როცა ჩამოვედით, გვიანი იყო. დაღლილები იყვნენ თურმე მგზავრობის შემდეგ და მამას მხოლოდ შორიდან დაანახეს ჩემი თავი. მამა წამოძინარევი იყო. ხო, კარგიაო — ჩაილაპარაკა, მეტი არაფერი უთქვამს.

მხოლოდ დილით მოიცალეს ჩემთვის. მოითათბირეს და წიგნების ვეებურთელა კარადაში მიკრეს თავი.

ჰგონიათ, პატივი მცეს.

მე მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, წიგნი რა იყო...

ვყვირი და არავის ესმის ჩემი — არც წიგნებს, არც ადამიანებს. იმ პატარა ბიჭსაც კი არ ესმის ჩემი, რომელმაც მიპოვნა, დამიჭირა და თავის დედას მიუბრუნებინა ჩემი თავი. აბა, თავისთონ წაეყვანათ მშობლებისგან და თავის სახლიდან შორს...

რას იზამდა მაშინ? მე კვლავ მზე და ზღვის ტალღები მენახებოდა...

წამიყვანეთ იქ, სადაც მზეა. იქ სადაც ზღვის ტალღებია და ცუდ ამინდშიც კი ყველა ჩემნაირმა იცის, როგორ მოიქცეს, რომ არ დაიკარგოს.

ხმაური მომენატრა, მზე მომენატრა. წყალი მომენატრა. ქარიშხალიც კი მომენატრა.

ის შიშიც კი მომენატრა, ქარისაგან გაბერილი ტალღების გამოჩენისას რომ დამეფუღებოდა ხოლმე — მეგონა მომიტაცებდნენ და ველარასოდეს დაეუბრუნდებოდი ჩემს მშობლიურ ნაპირს. ეს დაკარგვის შიში იყო.

ბოლოს მაინც დავიკარგე. მშურს მათი, ვინც იქ დავტოვე, ვინც იმ მზიან სანაპიროზე დამრჩა.

მიშველეთ რამე, მე ხომ ზღვის პატარა კენჭი ვარ და ძალიან მეშინია უზარმაზარი, მტერიანი წიგნების და მარტოობის.



მოგზაურები არასოდეს არიან მარტო

საშინელი მზე იყო. დაგვეყურებდა და დაგვეცინოდა კიდეც... აცხუნებდა... სახეზე ოფლი წვეთ-წვეთად ჩამოგვდმოდა...

მზე კოცონივით იყო, გავარვარებულ, თეთრ ნაკვერჩხლებს ისროდა აქეთ-იქით... თითქოს გვაჩვენებდა, რომ ამ ველის და ბილიკის მბრძანებელი იყო და ჩვენ აქ გავლის უფლება არ გვექონდა...

ირგვლივ სრული სიციხივით იყო. ჰორიზონტამდე გადაჭიმულ ბილიკზე მხოლოდ ჩვენ ორნი მივაბიჯებდით. შორს პატარა ტყე მოჩანდა. ბილიკის მეორე მხარეს სხვა უფრო დიდი ტყეც დაინახეთ. სახლები ჯერ-ჯერობით არსად ჩანდა.

მთელი თვე გადის, რაც დანარჩენებს როგორც იქნა დავაღწიეთ თავი და გზიდან ამ ბილიკზე გადავუხვიეთ.

არ ვიცოდი, ეს ბილიკი სად დამთავრდებოდა ან როგორ დამთავრდებოდა; მხოლოდ იმედი გვექონდა, რომ გადავრჩებოდით.

ზედმეტი ტვირთი მოვიშორეთ, რომ სიმძიმე არ გვეგრძნო; მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს გვშველოდა. მალე მოსაშორებელი და გზაზე დასატოვებელი არაფერი დაგვრჩა. მხოლოდ წყალი დავიტოვეთ და სამი-ოთხი ვაშლი.

ახალი გათენებული იყო. მთელი დღე ნინ გვექონდა. ძალიან ნელა გადიოდა დრო და ამაზე ვწუხდით. ვამშვიდებდით ერთმანეთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ერთი სული გვექონდა როდის მოგვესალმებოდა მთვარე. იქნებ ცოტა ნიავე და სიგრილე მოეტანა ჩვენთვის. მაგრამ ჯერ ადრე იყო.

ფიქრობდი და ვისხენებდი იმ წუთებს, როდესაც გაბრაზებულმა გზიდან გადმოვუხვიე. არ ვიცოდი, სად მივდიოდი, მაგრამ სხვებთან მოგზაურობას ამ გზაზე წამოსვლა ვამჯობინებ.

ამანაც არ გამომიშვა მარტო და წამომყვა;

სულ დამავინყდა ჩემი მეგობრის გაცნობა;

სიმართლე, რომ გითხრათ, მარტო არასდროს მიმოგზაურია. ეს ვუთხარი კიდეც. და ჩემმა ახალმა თანამგზავრმა მითხრა — პრობლემა არ არის, მარტოს აღარასდროს დაგტოვებო.

სხვებთან ერთად როცა ვმგზავრობდით, არავის ელაპარაკებოდა, არც დანარჩენები სცემდნენ ხმას. თითქოს ვერც ამჩნევდნენ. როცა საუბარს გავუბამდი, დანარჩენები გაკვირვებული შემომამტერებოდნენ ხოლმე.

ახლა ხომ მარტო მე ვესაუბრები, მარტო ჩემთან აქვს ურთიერთობა, ჩემს გარდა ვერავინ ხედავს. და ისიც ხალისიანად მიბამს მხარს. ამ გრძელმა და განელილმა გზამ დაგვაახლოვა. მეორე დღეს უკვე სამაგალითო მეგობრები ვიყავით, ყველაფერზე ერთნაირად ფიქრობდით. რამე რომ დამჭირდეს და ღამით გავაღვიძო, ვიცი არაფერზე მეტყვის უარს და დამეხმარება. ყოველთვის იცლის ჩემთვის, გვერდიდან არ მიშორებს.

ამ დილით, მაგალითად, მთხოვა, ტყეში მივიღივარ და გამომყვიო — რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს.

შორს გვეგონა, მაგრამ უცებ აღმოვჩნ-

დით ტყესთან. ამ ტყეში მხოლოდ თხილის ხეები იდგნენ, იდგნენ და სუნთქავდნენ. ახალი, ნედლი თხილის სურნელი იდგა.

გამახსენდა, რომ ახალი თხილი ძალიან მიყვარს. კარგა ხანს ვიბოდიანე ტყეში, თხილი მივირთვით და წამოვედით. გადავწყვიტეთ ხვალ იმ ტყეში წავსულიყავით, ბილიკის მეორე მხარეს რომ იყო. იქ უფრო მაღალი ხეები მოჩანდა, ამიტომ გავიფიქრეთ, რომ იმ ტყეში მარტო ნაბლის ხეები იქნებოდა. ვიცოდი, რომ ნაბლის ხე თხილისაზე მაღალია.

ტყიდან ახალი გამოსულები ვიყავით, როცა შორს დიდი თეთრი მანქანა დავინახეთ. მანქანას პატარა, შავი ფანჯრები ჰქონდა. შეგვეშინდა. თან არ გვინდოდა ვინმეს გადავეყროდით და ისევე ტყეს შევფარეთ თავი.

ტყიდან საღამოს გამოვედით, კინალამ ცუდად გავხდით — ის თეთრი, შავფანჯრისანი მანქანა სულ ახლოს იდგა, გაღებულ კართან ორი თეთრხალათიანი ქალი დავინახეთ. ასევე თეთრხალათიანი, უღვაშე ბიანი კაცები კი წინ გადაგვიდგნენ. ორივე მკაცრი სახით მოიწვედა ჩემსკენ. ჩემი მეგობრისაკენ არც იყურებოდნენ. მასაც შეეშინდა. მე ველარ ვხედავდი. მხოლოდ ვგრძნობდი, როგორ მიყურებდა და შევლას მთხოვდა. ახლა მე მისთვის მეგობარზე მეტი ვიყავი. მისი დაცვა უნდა შემძლებოდა. თეთრხალათიანებმა ხელი მტაცეს და მეტი არაფერი მახსოვს.

დილით თეთრ, მაღალ პალატაში გამეღვიძა. ჩემი მეგობარი აღარ იყო ჩემს გვერდით.

მივხვდი, ეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატა იყო, ლოგინებზე არავინ იწვა. ავადმყოფები გრძელ დერეფნებში დადიოდნენ და ჭერს ათვალეიერებდნენ, ისევე — როგორც ჩვენ ვუყურებდით მზეს გუშინ. იმ მზის გარდა ხომ არაფერი ჩანდა.

საავადმყოფოში ჩვეული სევდა, ნაღველი და შიში გამეფეხულიყო.

მე ყოველი მოგზაურობის შემდეგ მეუფლება ეს გრძნობა.

ვეგრძნობ, რომ იმ მზით დამწვარ ბილიკზე ყოველი მოგზაურობის შემდეგ ძალიან ვიღლები, ტყე მაინც მხვდებოდეს ხშირად.

მაგრამ არა უშავს, მოვა ჩემი მეგობარი, გზას დავადგებით და ბევრი ნაბლის და თხილის ტყეები შეგვხვდება კიდეც.

მასთან ერთად მოგზაურობა ყველაფერს მირჩენია.



მოვძებნით სხვა უკეთეს ბილიკს და სა-
მოგზაუროდ გავყვებით მზეს ზღვამდე და
კოსმოსამდეც კი... მე ეს შემძლია.

და მარტო არ ვიქნები. მოგზაურები
არასოდეს არიან მარტო.

ბიჭები

ქუჩაში მივიდი. კუთხეში დიდი ბი-
ჭები დავინახე. ისინი ყოველდღე ამ კუთხე-
ში დგანან ხოლმე.

ჩემს მეგობრებს აბრაზებდნენ, ხანდახ-
ან ფეხსაც უდებდნენ ხოლმე.

არ შევხებავ, ისე გავივლი-მეთქი, გაე-
ფიქრე.

ყოველთვის ვცდილობდი, თავი ამერი-
დებინა მათთვის. მამაჩემმა მითხრა – ეგე-
ნიც პატარები არიან, ჯერ არ იციან,
როგორ მოიქცნენო. შეეცადე, არ
გაბრაზდე მაგათ სისულელეზე და სახეზე
დაიმახსოვრეო. აი, ნახავ – მალე ეგენიც
შეიცვლებიან, დაჭკვიანდებიანო.

რომ არ დაჭკვიანდნენ-მეთქი?

ხომ გითხარი – სახეზე დაიმახსოვრე
და თუ არ დაჭკვიანდნენ, ამასობაში
თქვენც წამოიზრდებით და თუ ისევ ჩაიდ-
ენენ სისულელეს, შეძლებთ სიფათები
ამოუნაყოთო.

საბა ბერიკაშვილი



ჩემს დანახვაზე გაჩუმდნენ. არ
ვუყურებდი, ისე მივიდი. მაინც დამიდეს
ფეხი.

ნაეიქეცი. ფეხი მეტკინა.

სწრაფად შარვალი გავიწმინდე, თან
სახეზე ვაკვირდებოდი. დიდხანს ვუყურე
ასე. ისინიც მიყურებდნენ. მერე გვერდზე
გაიხედეს. ხმა არ ამოუღიათ. მეც არაფერი
მითქვამს ისე გავაგრძელე გზა.

გვრძნობდი, რომ თავები მოატრიალეს.
ეხლა ისინი მიყურებდნენ ჩუმად.

**ერთი საღამოს
განწყობილება**

სახლში მთელი დღე მარტო ვიყავი.
მართალია, გარეთ ძალიან ციოდა, მაგრამ
სასეირნოდ მაინც გამოვედი. სიცივეს
ახლა ქარიც დაემატა, ეზოში არავინ იყო.
იმდენად მოწყენილი ვიყავი, უკან დაბ-
რუნება არც მიფიქრია. ქურთუკის საყელო
ავინიე და გადავწყვიტე, გზას გავყოლო-

დი. მესიამოვნა გარეთ გამოსვლა, სიცივეს
ყურადღებას არ ვაქცევდი. ამასობაში
ჩამოხვდნენ. ვათვალიერებდი კაშკაშა
რეკლამებს, მაღაზიის განათებულ ვიტ-
რინებს და შიგნით მოფუსფუსე ხალხს
ვაკვირდებოდი. თვალთვალთ ვერთობო-
დი და ასე მივდევი ქუჩას. მალე აღმოვჩნ-
დი ერთ-ერთი კაფის წინ. ამ კაფესთან
ადრეც გამივლია, სულ ახლოს იყო ჩვენს
სახლთან. დღისით სულ სავესე იყო ხალხ-
ით. მართალია, დიდი და ფართო ვიტრინე-
ბი ჰქონდა, მაგრამ დაბალ შუქზე თითქმის
არაფერი ჩანდა. ყველა მაგია და საითაოდ
იყო განათებული. მუსიკის ხმაც შემომეს-
მა, მაგრამ კაფე ახლა თითქმის ცარიელი
იყო. ერთ მაგიდასთან ორი მამაკაცი ბან-
ქოს თამაშობდა. მესამე ფეხზე იდგა, შავი
სათვალეები ეკეთა, ხელეები შარვლის
ჯიბეებში ეწყო და მოთამაშეებს ზემოდან
დაჰყურებდა. შავი სათვალეებით ამ სიბ-
ნელეში რას ხედავს-მეთქი, გამიკვირდა.
მოშორებით განათებული კუთხე იყო. იქ
ვილაც ქალი ბოთლებს და ჭიქებს ალაგებ-
და პრიალა თაროებზე. მოთამაშეებიდან
ერთი ძალიან ახალგაზრდა იყო. გეგონე-
ბოდა, მაგიდასთან მამა და შვილი სხედანო.
უფროს მამაკაცს ალაგ-ალაგ ჭალარა
წვერი ჰქონდა. ჩაფიქრებული ათვა-
ლიერებდა კარტს. თან ენეოდა... მის წინ

გრამ მოკიდებული არ ჰქონდა, მხოლოდ
ეჭირა მაგრად მოკუმული ტურქებით. ის,
ალბათ, უფრო იმაზე ნერვიულობდა, რომ
მისი მონინალმდევე უფროსი იყო და მეტი
გამოცდილება ჰქონდა. ძალიან დაძაბული
სახეებით თამაშობდნენ. ეს დაძაბულობა
თანდათან მეც ისე გადამედო, რომ ხელის-
გულეები გამოიფლიანდა. თუმცა არ ვიცო-
დი, რაზე ვნერვიულობდი. დიდხანს
ვუყურე. მერე ისევ სიცივემ შემახსენა თავი.
ერთ ადგილზე დგომით გავიყინე და ვი-
ფიქრე, ცოტას გავივლი-მეთქი. გაოფ-
ლიანებული ხელეები ქურთუკზე ჩამოვის-
ვი, ჯიბეებში ჩავინყვე და გზა გავაგრძელე.
სულ რაღაც ორმოცდაათი მეტრი მქონდა
გავივლი, რომ ისევ კაფეში ნახაზი მოთა-
მამაშეების სახეები გამახსენდა, ვერ მოვი-
მინე და უკან გამოვბრუნდი, ვიტრინას მი-
ვუახლოვდი, დავინახე, რომ ჭალარაგარ-
ეული კაცი ისევ მაგიდასთან იჯდა, შუბ-
ლზე და თვალეებზე ხელეებს ისვამდა, კოს-
ტიუმზე სიგარეტის ფერფლი ეყარა. ახალ-
გაზრდა კაცი ფეხზე იდგა, შავსათვალე-
ბიან მამაკაცს რაღაცას ელაპარაკებოდა.
შავსათვალეებიანი კაცი ზემოდან
უყურებდა. მერე ჯიბიდან ხელი ამოიღო
და გაუშვირა. ახალგაზრდა მამაკაცმა ხე-
ლში ფული ჩაუდო. ამ დროს ჭალარაგარ-
ეული მამაკაცი ადგა, სიგარეტის კოლოფი
აიღო, მაგრამ იმაში აღარაფერი იყო. დაჭ-
მუჭნა და გადააგდო. მერე პალტო ჩაიც-
ვა. სახელოში როცა ხელს უყრიდა, მაშინ
დამინახა. ვიტრინასთან ახლოს მოვიდა,
დამაკვირდა, მერე თითი დამიქინა. ვერ
გავიგე, მაშინებდა თუ მეხუმრებოდა. მაინც
შემემინდა. სახლისკენ რომ მივდიოდი,
გაზეთების ჯიხურთან გავჩერდი. ამოვე-
ფარე და კიდევ გავიხედე იმ კაფისკენ. ახ-
ალგაზრდა და ჭალარაგარეული მამაკაცი
უკვე ქუჩაში იდგნენ. შავსათვალეებიანი
კაცის შემემინდა. მერე იმან ჭალარა კაცის
წინ კიბის საფეხურს დააფურთხა და კარე-
ბი დახურა. ჭალარა კაცი გაბრაზებული
უყურებდა იმ საფეხურს. მერე უცბად მო-
ტრიალდა, ახალგაზრდას სახეში სილა
გაარტყა და ჩქარი ნაბიჯებით წამოვიდა
გაზეთების ჯიხურისკენ. ახალგაზრდას
ხმა არ ამოუღია, ნელა მოდიოდა. მე მეგო-
ნა ჩემსკენ მოდიან-მეთქი. შიშმა ამიტანა
და შინისკენ გავიქეცი.

სადარბაზოში შუქი ენთო. გამიხარდა.
გავჩერდი და ამოვისუნთქე. სახლში რომ
დავბრუნდი, უკეთეს ხასიათზე ვიყავი. მიხ-
აროდა, რომ აღარ მეშინოდა და იმ ახალ-
გაზრდა კაცზე ვფიქრობდი, ჭალარამ რომ
სახეში გაარტყა.


მეორე დღეს სკოლიდან რომ მოვდიო-
დი, ისევ იმ კაფესთან გამოვიარე. მაგ-
იდებთან ხალხი იჯდა. ვიტრინასთან ბავშ-
ვებიც კი დარბობდნენ. ის ქალიც ვიცანი,
წინა ღამეს ჭიქებს რომ ალაგებდა თაროე-
ბზე. შავსათვალეებიანი მამაკაცი არსად
ჩანდა.

შავსათვალეებიანი მამაკაცი მეორე
ღამეს დამესიზმრა. საზიზმარი სახე ჰქონ-
და, კიბეზე იდგა და იფურთხებოდა. მე მეშ-
ინოდა და ვყვიროდი. დედაჩემმა გამალ-
ვიძა. თურმე მართლა ვყვიროდი, მიშვე-
ლეთ-მეთქი...

აი, რა შეიძლება მოჰყვეს ღამით ქუჩა-
ში მარტო გასეირნებას და ჩაბნელებულ
კაფის ვიტრინებში მოფუსფუსე უცხო
ხალხის თვალიერებას.



გამოსათხოვარი



**თითქოს
ხელახლა
გავიცანი**

გიგი სულაბაშვილი აღარ არის, გავი-
ფიქრე და საშინელი სიცარიელე ვიგრძე-
ნი. მერე ისევ დამიძახეს გიგის ლექსებმა
და მოთხრობებმა. თითქოს ხელახლა გავ-
იცანი, ხელახლა დავმეგობრდი. დროს
შეგრძნება გაქრა და ცხოვრებაც ახლ-
იდან დაიწყო. ასე ხდება, როცა წამდვილი
ადამიანის წამდვილ ლიტერატურას კითხ-
ულობ. ჰო, ეს სხვანაირი სინამდვილეა,
რაც ჩვენს დროში ძალიან გვაკლია —
„მგლები ზღაპრებშიც აღარა ვართ უკვე
საჭირო...“

სხვანაირია გიგის სინამდვილე, ძალიან
ლაკონური, ზუსტი, თბილი და მკაცრი,
ამავდროულად. პოეზიაში სტრიქონებს
მიღმა ჩანს უკიდევანო სივრცე და სილ-
რმე.

გიგი სტრიქონებს მიღმა უნდა იკითხო,
თორემ ვერაფერს გაუგებ, ვერ დაიმეგო-
ბრებ, ვერ შეიყვარებ.

პოეზიის ჰემინგუეი იყო, როგორ
ზუსტად თქვა მწერალმა დათო ჩიხლაძემ,
როცა გიგის ვიხსენებდით — „მე ვწევარ
მარტო და დიდ წვიმებს ველოდები. ველო-
დები დიდ ავდარს მთაში...“

გიგის პროზაც განსხვავებულია, მხ-
ოლოდ მას შეეძლო ასეთი უცნაურად
თავისუფალი დრამატურგიით დაენერა,
ასე ლაღად, თითქოს უნებლიედ, გადმო-
ეცა სათქმელი. თავადაც ხომ ასეთი იყო,
თავისი ყოველდღიურობით არავის აწუხ-
ებდა, არავის ამძიმებდა. უბრალოდ, ასე
ცხოვრება უყვარდა.

ხშირად მიფიქრია და გიგი სულაბაშ-
ვილის წასვლამაც კიდევ ერთხელ დამა-
ფიქრა, როგორ სიცარიელეს და უკუ-
რნებულ სევდას გვიტოვებენ ასეთი ადამი-
ანები, როდესაც მიდიან და ამასთანავე,
როგორ გვეხმარებიან, როგორ საოცარ
ძალას გვმატებენ, იმ შორეული, უხილავი
სამყაროდან.

„რაც ძველი სახლის
აურაცხელ ოთახებშია...
ვტოვებ ყველაფერს... დღეებს,
ღამეებს,
არ მეშინია, რადგან ვიცი...
სიცოცხლეა — ბედნიერება,
სიკვდილი ჩემი მდუმარე ძმაა...
მომკიდე ხელი, გადამატარე
ძველი საგნებით მიმოფანტული
დათოვლილი, მწუხარე ველი“.

გაგა ნახსენებები

ლიტერატურული გაზეთი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com